ხალხი ცვლილებებს მოითხოვს, პრეზიდენტი ცვლილებების წინააღმდეგია A2

„ამორალური არჩევნები" ქუთაისში A8

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 2003 წელი. №288 (500)

ფასი 50 თეთრი


**არჩევნები**

### ხელისუფლება მიზნისკენ ჯიუტად მიიწევს

არჩევნებზე მისული ორი მილიონი ამომრჩეველი, სახელისუფლებო ბლოკის მიერ მოპოვებული მინიმუმ 350, მაქსიმუმ 400 ათასი ხმა და, მთლიანობაში, ოთხსუბიექტიანი პარლამენტი – ეს ის გეგმაა, რომელიც, ხელისუფლების ჩანაფიქრით, კენჭისყრის ჩატარებიდან არაუგვიანეს 18 დღის შემდეგ წარმატებით უნდა დასრულდეს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისი საბოლოო შემაჯამებელი ოქმით ახალი პარლამენტის სწორედ ასეთი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს.

A8

**ეკონომიკა**

### ბანკების ლიკვიდაციით მეანაბრეებს ფულის დაბრუნების შანსი გაუჩნდათ

თითქმის ყველა ბანკი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩამორთმეული აქვს ლიცენზია და ლიკვიდაციას ექვემდებარება, მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო წესით განხილვას. გაჭიანურებული სასამართლო პროცესები კი მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ეროვნულ ბანკს.

A4

**უცხოეთი**

### მიხაილ ხოდორკოვსკი: მე კომპანიიდან მივდივარ

გუშინ ცნობილმა რუსმა ოლიგარქმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ კომპანია "იუკოსის" მმართველობის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება.

A5

**საზოგადოება**

### „ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია - აბა, მე ხომ არ გავაყალბებდი?"

"არჩევნებისგან რა შედეგს ელოდით; გააყალბა თუ არა ხელისუფლებამ საარჩევნო სიები და რა მოჰყვება სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვებას?" – ამ კითხვებზე გამოკითხულმა მოქალაქეებმა, თითქმის, იდენტური პასუხები გაგვცეს.

A6

**სამართალი**

### რას ემსახურებოდა არჩევნების დღეს პოლიცია

რით იყო დაკავებული საქართველოს პოლიცია არჩევნების დღეს – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით თუ ხმათა რაოდენობით სახელისუფლებო ბლოკის უზრუნველყოფით?
მთელი საქართველოს მასშტაბით საარჩევნო უბნების დარბევების, საარჩევნო ყუთების გატაცების, საარჩევნო უბნებს შიგნით თუ სიახლოვეს ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებს თუ დავთვლით, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე რთული ხდება.

A7


**ამინდი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | ☼ |
| ქუთაისი | 24 | ☼ |
| ბათუმი | 24 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1069 |
| ევრო | 2.4590 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5781 |
| რუბლი | 0.0706 |

# ეს აღარ უნდა განმეორდეს!

*ტომას კოქსი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი*

შოთა უტიაშვილი

**- თუ განიხილავს ევროპის საბჭო საქართველოში ჩატარებული არჩევნების საკითხს?**

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა განიხილავს საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს და ამას პირველივე სესიაზე, იანვარში გააკეთებს. ჩვენ უკვე დავნიშნეთ სპეციალური მომხსენებელი, რომელიც ასამბლეას თავის დასკვნებს წარუდგენს.

**- მიიღებს თუ არა ასამბლეა სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ?**

- იმედი მაქვს, რომ არა.

ჩვენი ასამბლეის ძირითადი პრინციპები ძალზე ნათლად არის ჩამოყალიბებული. ამიტომ, ჩვენ ვეტყვით ქართულ დელეგაციას, ვინც არ უნდა შედიოდეს მასში, რომ

გაგრძელება A8 გვერდზე



*ისწავლის თუ არა ჭკუას ეს ქვეყანა და მისი მთავრობა გუშინდელი დღის შემდეგ?*

# მარნეულში ხმებს აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ითვლიდა

*საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დამკვირვებლის, ჩარლზ ფერბენქსის ნაამბობი:*

შოთა უტიაშვილი

"მე ვიყავი მარნეულის რაიონში. ერთი შორეული უბნის გარდა, სადაც ცოტათი მაინც ცდილობდნენ წესები დაეცვათ, ყველა დანარჩენ უბანზე იყო "ახალი საქართველოსთვის" სასარგებლოდ გაყალბების სრულიად გამიზნული მცდელობა.

ჩვენ არჩევნებს ვაკვირდებოდით იმ უბნებზე, სადაც ეუთო-ს მისია არ წასულა, მარნეულის რაიონის უკიდურესი სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით.

უნდა ვთქვა, რომ ერთის გარდა, ყველა უბანზე არჩევნები მთლიანად გაყალბებულია.

იმ უბნებზე, რომელსაც მე დავაკვირდი, გაყალბებამ გავლენა იქონია არჩევნების საბოლოო შედეგზე.

რაიონში იყო ერთადერთი ორგანიზებული ოპოზიციური პარტია: ბურჯანაძე-დემოკრატები. აქ იყო კიდევ სამი სხვა პარტია: "აღორძინება", "მრეწველები" და "ლეიბორისტები", რომელთაც აქ შეიარაღებული ხალხი ჰყავდათ. ერთ-ერთ უბანში, რომელსაც მე ვაკვირდებოდი, ისინი გაურიგდნენ ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" და ხმები გაიყვეს.

მე ვფიქრობ, ხალხის ნაწილი მართლა აძლევდა ხმას ბლოკ "ახალი საქართველოსთვის", თუმცა იყო ამომრჩეველთა იძულების შემთხვევებიც და ბევრჯერ დაფიქსირდა მრავალჯერადი ხმის მიცემა.

ეს, შეიძლება, არ ეხება არჩევნებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ **საქართველო სერიოზულად უნდა დაფიქრდეს იმაზე, რამდენად ვრცელდება მისი სუვერენიტეტი ამ ადგილებზე. ძირითად საარჩევნო უბანზე, მარნეულის გამგეობის შენობის წინ ხმებს აჯამებდა აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი. ზოგიერთ საარჩევნო უბანზე აზერბაიჯანის დროშა ფრიალებდა და აზერბაიჯანის ეროვნული ჰიმნი ისმოდა. ქართული დროშები ბევრგან არ ყოფილა".**



*ყველა უბანზე იყო გაყალბების სრულიად გამიზნული მცდელობა.*

## ცესკო-ს მონაცემები

| | | |
|---|---|---|
| "ახალი საქართველოსთვის" | 1 | 23.4% |
| ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" | 5 | 22.3% |
| საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 4 | 14.0% |
| "ბურჯანაძე-დემოკრატები" | 7 | 8.2% |
| "ახალი მემარჯვენეები" | 12 | 7.9% |
| დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 2 | 7.8% |

## ხმების პარალელური დათვლა

| | | |
|---|---|---|
| ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" | 5 | 26.3% |
| "ახალი საქართველოსთვის" | 1 | 18.9% |
| საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 4 | 17.4% |
| "ბურჯანაძე-დემოკრატები" | 7 | 10.2% |
| დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 2 | 8.1% |
| "ახალი მემარჯვენეები" | 12 | 8.0% |

## ეგზიტპოლი

| | | |
|---|---|---|
| ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" | 5 | 26.4% |
| "ახალი საქართველოსთვის" | 1 | 19.0% |
| საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 4 | 17.5% |
| "ბურჯანაძე-დემოკრატები" | 7 | 10.4% |
| დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 2 | 9.0% |
| "ახალი მემარჯვენეები" | 12 | 7.1% |

# რა ქნას ხალხმა, რომელსაც დასცინიან?

ეკა კვესიტაძე

"ხვალ ნახავთ, ხვალ ნახავთ, თუ არ მოვიგებთ," - არჩევნების ღამეს "რუსთავი 2"-ის ეთერში ამ ფრაზას სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ჯერ კიდევ საარჩევნო უბნების დახურვამდე იმეორებდნენ. იმეორებდნენ დაჟინებით, ცინიზმით და მთელი სითავხედით.

ის, რაც ვახტანგ რჩეულიშვილმა არჩევნების დასრულებამდე იწინასწარმეტყველა, რატომღაც ზუსტად "დაემთხვა" იმ მონაცემებს, რომელიც მეორე დღეს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა.

მათ თავისი მუქარა შეასრულეს. დღეს ხელისუფლება, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ხარჯზე გამდიდრების გარდა, ბედავს იმას, რომ პირველ ადგილს არ თმობს. ამას უბედავს იმ ამომრჩეველს, რომელიც არჩევნების დღეს დილიდან საღამომდე ელოდებოდა, რომ თავისი ხმა მიეცა უკეთესი მომავლისათვის - ამ ხელისუფლებისაგან თავისუფალი მომავლისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ჩვენ, ისე როგორც თქვენ, იმედგაცრუებულნი ვართ"

**შოკირებული უცხოელი დამკვირვებლები დარღვევებზე, ხელისუფლებისადმი უნდობლობასა და "შედარებით პროგრესზე" საუბრობენ**

*"გუშინ შოკირებულები ვიყავით იმით, რაც 2 ნოემბერს თბილისის საარჩევნო უბნებში ვნახეთ: ხალხს, რომელიც შაბათამდე დარწმუნებული იყო, რომ სიაში ირიცხებოდა, კვირას ხმის მიცემის უფლება წაერთვა, სიაში არარსებობის გამო. მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო: ქართველ ხალხს აქვს უფლება, გაცილებით უფრო კარგი არჩევნები ჰქონდეს," - ასეთია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელის ტომ კოქსის შთაბეჭდილება.*

ვერიკო თევზაძე

არც ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის საგანგებო კოორდინატორის ბრიუს ჯორჯის განცხადება იყო საიმედო: **"2 ნოემბრის არჩევნებმა ვერ დააკმაყოფილა ეუთო-ს მიერ აღიარებული პრინციპები. სამწუხაროდ, ეს არჩევნები დემოკრატიული პროცესის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად საკმარისი არ აღმოჩნდა."**

გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე უცხოელ დამკვირვებელთა მისიამ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარება მომავლის იმედად დატოვა: **"იმედი გვაქვს, მომავალში მაინც გვექნება შესაძლებლობა, საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცოს, რომ დემოკრატიული განვითარების გზაზე დგას."**

უცხოელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 2 ნოემბრის არჩევნებმა მოსახლეობაში სახელისუფლებო ადმინისტრაციისადმი ნდობა შეასუსტა. **"ჩემზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ის ფაქტი, რომ მეუბნებოდნენ – ცოტა დრო გვქონდაო,"** - ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი კოქსი საქართველოში საარჩევნო პროცედურის გადასინჯვას აუცილებლობად მიიჩნევს: **"ეს საკმაოდ შრომატევადი რამ არის და ამაზე მუშაობა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე არ უნდა იწყებოდეს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის იაფფასიან შულერობაზე საუბრობს

*2 ნოემბრის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები თავს უკვე გამარჯვებულებად მიიჩნევენ და პარტნიორი ოპოზიციური პარტიების "უფლებების დაცვაზე" იწყებენ ზრუნვას. მიხეილ სააკაშვილი არც მალავს, რომ ამას ის, გარკვეულწილად, პრაგმატული მოსაზრებით აკეთებს. "ხელისუფლებას უნდა, პარლამენტში მარტო დაგვტოვოს და, ამ მიზნით, ოქმების შეცვლის გზით, 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების გაყალბებას ცდილობს. ჩვენ კი საკანონმდებლო ორგანოში სხვა ოპოზიციური ძალების შემოსვლა ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია", - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე "ნაციონალების" ლიდერმა. მით უმეტეს, იგი დარწმუნებულია, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატებმა", ისევე როგორც "ახალმა მემარჯვენეებმა", შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახეს.*

გიორგი ასანიშვილი

**"რეალურად, ჩვენ მივიღეთ ამომრჩეველთა ხმების 26 პროცენტი, მთავრობამ - 18. ეს არჩევნები ჩვენთვის სასურველი შედეგებით დასრულდა, მაგრამ შევარდნაძეს არ უნდა, თავისი დამარცხება აღიაროს. დღეს პრეზიდენტმა უტიფრად იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" იმარჯვებს. არ შეიძლება პრეზიდენტი იქცეოდეს, როგორც იაფფასიანი შულერი.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# პრეზიდენტთან არ ვითანამშრომლებთ

აცხადებენ ბურჯანაძე-დემოკრატები

ლელა მჭედლიძე

**"საქართველოსათვის, მრავალი ათასი ამომრჩევლისათვის ნანატრი ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდა და ქვეყნის ცხოვრებაში გარდატეხის ეტაპი არ დაწყებულა. ამომრჩევლის ხმათა 20-25 პროცენტით გამარჯვება იმ ხელისუფლებამ აიღო, რომელმაც თავისი მმართველობის განმავლობაში ხალხისათვის ელემენტარული სოციალური თუ სხვა სახის პრობლემების მოგვარება ვერ შეძლო..."** - ასეთი იყო საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ბატალიების ნინო ბურჯანაძისეული შეფასება.

**"არჩევნები კი არ გაყალბებულა, არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა. ხალხი კონსტიტუციით მინიჭებული ხმის მიცემის უფლების მაგივრად, რაღაც**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 არჩევნები A3 არჩევნები A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 არჩევნები

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# სააკაშვილის მძღოლს ესროლეს

გუშინ საღამოს, დაახლოებით, რვის ნახევარზე, "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისთან, პარტიის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მძღოლს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

**"სააკაშვილი რამდენიმე წუთით ადრე გადავიდა მანქანიდან და ოფისში შევიდა. ამ დროს ნასვამი პიროვნება მომიახლოვდა. ვურჩიე წასულიყო, მაგრამ მან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. პირველად ოფისის მიმართულებით გაისროლა, შემდეგ კი მე დამიმიზნა,"** – ასე იხსენებს ინციდენტს სააკაშვილის მძღოლი.

ტყვია არავის მოხვედრია, თავდამსხმელი კი "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის დაცვის წევრებმა დააკავეს. თავდამსხმელს დაცვამ ჩამოართვა იარაღი, რომელიც "მარგოლინის" მარკის მცირეკალიბრიანი პისტოლეტია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მამაკაცი, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ გაისროლა, ვინმე ელდარ არღვლიანია. ინციდენტის დროს მას ახლდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც აცხადებდა, რომ არღვლიანის მეუღლეა და დაცვის წევრებს მის გათავისუფლებას სთხოვდა.

შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ და არღვლიანი რაიონის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ამჟამად საქმე მოკვლევაშია. წუხელ სამართალდამცველებმა არღვლიანის დაკითხვა ვერ მოახერხეს. მათი თქმით, იგი იმდენად მთვრალი იყო, რომ საუბარიც არ შეეძლო. აქედან გამომდინარე, "ნაციონალების" ოფისთან მომხდარი ინციდენტისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემამაც ვერ მოხერხდა. გუშინ პოლიციამ მხოლოდ იმის გარკვევა შეძლო, რომ არღვლიანი გულრიფშის რაიონის სოფელ აჟარიდან დევნილია და ამჟამად "ნაციონალების" ოფისის მახლობელ ქუჩაზე – ჩიტაძეზე ცხოვრობს.

საიდან ან რატომ ჰქონდა არღვლიანს ცეცხლსასროლი იარაღი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, პოლიციელთა თქმით, მას ტარების უფლება არ აქვს. პირველ ჩვენებას არღვლიანი სამართალდამცველებს დღეს მისცემს და სააკაშვილის მძღოლზე მომხდარ თავდასხმას შეფასებაც ამის შემდეგ მიეცემა.

*24 საათი*

# "ნაციონალები" კახეთში ზეიმობენ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთის რეგიონში "ნაციონალურმა მოძრაობამ" ხელისუფლება დაამარცხა. სწორედ ამის გამო გუშინ პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თელავში ჩავიდა, რომელმაც თანაპარტიელებს და მათ მიერ წარდგენილ "ნაციონალ" კანდიდატს თენგიზ ხიდაშელს გამარჯვება მიულოცა.

**"ის რაც თელავში მოხდა, სასწაულია,"** - ასე შეაფასა არჩევნები თელავში სააკაშვილმა, თუმცა მან ამ რაიონში გამარჯვების შესახებ განცხადება ერთი თვის წინ გააკეთა და მეზვრიშვილს დაემუქრა. **"იგი, როგორც მაშინ, ახლაც დაიმალა,"** - ამბობს სააკაშვილი. პარტიის ლიდერის იდეის განხორციელებას კი მეზვრიშვილის კლანისგან გამწარებული მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ხიდაშელი აპირებს. **"მაგ უკანონო დედაბერმა ხალხის წინაშე უნდა აგოს პასუხი,"** - იმუქრება ხიდაშელი.

როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, თელავის გამგებელმა საშველად უშიშროების "სპეცნაზი" გამოიძახა, ხოლო რაიონის საოლქო კომისიას გაძლიერებული დაცვა დაუყენა. გუშინ საღამოსთვის თელავიდან ჯერ კიდევ არ იყო გადაგზავნილი არჩევნების ჩატარების ოფიციალური ოქმები ცესკო-ში.

მიუხედავად ამისა, "ნაციონალების" ლიდერი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. **"სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, "ნაციონალებმა" გავიმარჯვეთ. ცესკო-ს მონაცემებს კი მე არ ვენდობი,"** - ამბობს სააკაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" პროპორციული არჩევნები, თელავის გარდა, გურჯაანში, ახმეტაში, სიღნაღში, დედოფლისწყაროში და საგარეჯოში მოიგო.

# თამაზ ბაკურიძის წერილი ასლან აბაშიძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პრესსამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა, აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ყოფილმა თავმჯდომარე თამაზ ბაკურიძემ, რომლის მიმართ აჭარის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დაპატიმრების შესახებ სანქციაა გაცემული, ასლან აბაშიძეს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს.

როგორც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში თამაზ ბაკურიძემ განაცხადა, აჭარის მეთაურის მიმართ გაგზავნილ წერილში განმარტებულია, რომ აჭარის პროკურატურის მხრიდან აღნიშნული ქმედება არაკანონიერია და ეს არის პოლიტიკური დევნა, რადგან იმ პერიოდში, როდესაც იგი განაგებდა ავტონომიის საინფორმაციო პოლიტიკას, "გარკვეულ პოლიტიკურ ძალებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც აჭარის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან არიან დაახლოებულნი, არ აწყობდათ ის საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა მის მიერ".

ბაკურიძე ამ ყველაფერს მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს და ასლან აბაშიძისგან შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების დასჯას მოითხოვს.

*პრაიმ-ნიუსი*

# მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის იაფფასიან შულერობაზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

**შულერი პრეზიდენტი დემოკრატიულ ქვეყანას ვერ მართავს,"** -აღშფოთებას ვერ მალავს სააკაშვილი, რომლის მტკიცებითაც, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გასცა განკარგულება, რომ სახელისუფლებო ბლოკის დამარცხება არავითარ შემთხვევაში არ დაფიქსირდეს.

ასეთ ვითარებაში, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელი საზოგადოების კონსოლიდაციას. იმ შემთხვევაში, თუ ცესკო-ს საბოლოო მონაცემები "სამართლიანი არჩევნების" მიერ ხმების პარალელური გადათვლის მონაცემებს არ დაემთხვევა, სააკაშვილის თქმით, ის საკუთარი გამარჯვების დასაცავად ბოლომდე იბრძოლებს და ამას მშვიდობიანი, კანონიერი მეთოდებით გააკეთებს. ამასთან, ის კიდევ ერთხელ აღნიშნავს ხაზგასმით, რომ პოლიტიკურ პარტნიორებს არ ივიწყებს. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგები "ბურჯანაძე-დემოკრატებისთვის" არასახარბიელოა, "ნაციონალები" მაინც "სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ახალ პარლამენტში "ბურჯანაძე-დემოკრატების" შესვლით".

**"მე ვალდებული ვარ დავიცვა არა მარტო ჩემი გუნდის გამარჯვება, არამედ სხვა ოპოზიციური პარტიების ინტერესებიც,"** - აცხადებს სააკაშვილი.

გუშინ დაახლოებით ამავე თემაზე საუბრობდნენ მისი თანაგუნდელები - დავით ბერძენიშვილი და მაია ნადირაძე. მათ მოუწოდეს "ბურჯანაძე-დემოკრატებსა" და "ახალ მემარჯვენეებს", **"დაიცვან საკუთარი უფლებები, რათა პარლამენტს გარეთ არ აღმოჩნდნენ."** "ნაციონალების" წარმომადგენელთა თქმით, ასეთი საფრთხე რეალურად იქცევა, თუ აჭარიდან წამოსული ასეულ ათასობით ყალბი ხმა ლეგიტიმურად ჩაითვლება.

დავით ბერძენიშვილი მოითხოვს, რომ, როგორც მინიმუმი, ცესკო-მ გააუქმოს ბათუმსა და ქობულეთში ფაქტობრივად არშემდგარი არჩევნების შედეგები. **"აჭარაში 250-280 ათასი ამომრჩეველი არ არის და ამდენი ხმა ასლან აბაშიძეს ვერ უნდა მიეღო. იქ არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა. ჩემი მონაცემებით, ბათუმში დაახლოებით 20 ათასამდე ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და ისეთივე სტანდარტული შედეგები დაფიქსირდა, როგორიც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. იგივე სურათია ქობულეთშიც, თუმცა, ასლან აბაშიძის ხელისუფლება აცხადებს, რომ არჩევნები 97-98 პროცენტით მოიგო,"** - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი.



ბესო გულაშვილის ფოტო

*მიხეილ სააკაშვილი ქართველი ხალხის არჩევანის დაცვას ბოლომდე აპირებს.*

მისივე განცხადებით, ოპოზიციური პარტნიორების გარეშე "ნაციონალებს" არ ექნებათ ბერკეტები ამომრჩევლებისთვის მიცემული ისეთი დაპირებების შესასრულებლად, როგორიც არის კორუფციასთან ბრძოლა, უკანონო ქონების ნაციონალიზება, პენსიების გაზრდა და სხვა.

**"ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენი პარტნიორი ოპოზიციური პარტიების მდგომარეობა ასეთი სათუოა. ამიტომ, როგორც არ უნდა გვითხრას ხელისუფლებამ, საკმარისი ხმები გაქვთ და ამით დაკმაყოფილდითო, უკან არ დავიხევთ. საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და, თუნდაც, რამდენიმე ზედმეტი სავარძლის მიღების საფასურად, არ ვაპირებთ, ხელისუფლებას არჩევნების შედეგების გაყალბება ვაპატიოთ,"** - მაია ნადირაძე და მისი პარტიული მეგობრები ოპოზიციასთან დამოკიდებულებაში ერთსულოვანნი არიან.

პოლიტსაარჩევნო თემატიკაზე საუბრის გარდა, "ნაციონალებს" გუშინ კრიმინალურ საკითხებზეც მოუწიათ კომენტარის გაკეთება. ამის მიზეზი გახდა საღამოს შვიდ საათზე მიხეილ სააკაშვილის მძღოლის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შვიდი გასროლა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. თავდამსხმელი, ვინმე ელდარ არღვლიანი, სააკაშვილის დაცვამ დააკავა და პოლიციაში ჩაბარებამდე, თავადაც კარგად "დაამუშავა".

მომხდარში მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ სარჩულს ვერ ხედავს და ვარაუდობს, პოლიცია ამჯერად მაინც შეასრულებს თავის მოვალეობას და საქმეს გამოიძიებს.

# პრეზიდენტთან არ ვითანამშრომლებთ

პირველი გვერდიდან

**უცნაურ პროცედურას ატარებდა, მიდიოდა უბნებზე და საკუთარ თავს ვერ პოულობდა სიებში. ასეთი დარღვევები, პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო ყველგან: სამგორში, საბურთალოზე, დიდუბეში, გლდანში. ჩვენ ველოდით ამას, მაგრამ ვეღარ გავითვალისწინეთ, რომ, მაგალითად, მარნეულში დილის თერთმეტის ნახევრისთვის არჩევნები დასრულებულად გამოცხადდებოდა, საარჩევნო ურნები კი ბიულეტენებით იქნებოდა სავსე; რომ ქუთაისში საარჩევნო უბნები დღის ოთხ საათამდე არ გაიხსნებოდა და ა.შ.."**

რატომ მიიტანა ხელისუფლებამ იერიში ძირითადად ბურჯანაძე-ჟვანიას ალიანსზე? ამ კითხვას ჟვანია გუშინ კითხვითვე პასუხობდა. **"რატომ ეშინია ხელისუფლებას ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძის? რატომ მოხდა, რომ ლამის ქუთაისის სიმბოლოდ გადაქცეულ ბურჯანაძეს ახლა ქუთაისში სერიოზულ პრობლემებს უქმნიან?"**

როგორც ჩანს, ხელისუფლების მხრიდან ამ ანგარიშსწორებას "ბურჯანაძე-დემოკრატები" ადვილად არ დაივიწყებენ. პრეზიდენტის განცხადების პასუხად - მომავალ პარლამენტში მოხვედრილ ყველა ოპოზიციურ პარტიასთან თანამშრომლობისთვის მზად ვარო - ნინო ბურჯანაძე ამბობს: **"ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ნამდვილად ვერ ვითანამშრომლებ პრეზიდენტ შევარდნაძესთან. მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა, რათა ჩემთვის და ჩემი მომხრეებისთვის ანგარიში გაესწორებინა, მხოლოდ იმის გამო, რომ მას ხმამაღლა ვუთხარით ჩვენი სათქმელი. მე და ჩემს მეგობრებს მასთან თანამშრომლობა არანაირ სიამოვნებას არ მოგვანიჭებს."**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბურჯანაძე-დემოკრატები დარწმუნებულნი არიან, რომ ხელისუფლებამ მათ ანგარიშსწორება მოუწყო.*

ბურჯანაძე-დემოკრატები ამ ზეწოლისადმი დაპირისპირებას აპირებენ. **"იმისათვის, რომ დავიცვათ საკუთარი და ალიანსის მხარდამჭერების უფლებები და ინტერესები,"** - აცხადებენ ისინი.

# ხალხი ცვლილებებს მოითხოვს, პრეზიდენტი ცვლილებების წინააღმდეგია

*"კენჭისყრის საბოლოო შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ წინასწარი მონაცემები ქვეყანაში რეალურად არსებულ სურათს ასახავს", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების შემდეგ გამართულ პირველ ბრიფინგზე და არჩევნების სამართლიანობაზე, დემოკრატიულობაზე და "უპრეცედენტობაზე" ისაუბრა.*
*თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე მომავალ პარლამენტში მიღებულ ძალთა თანაფარდობას ობიექტურად აფასებს. ეს თანაფარდობა აშკარად მიანიშნებს, რომ საქართველოს ამომრჩეველი რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი კი ასეთი ცვლილებების გასატარებლად მზად არ გახლავთ.*

თამარ ხორბალაძე

შევარდნაძის აზრით, ჯერ პარლამენტმა უნდა დაიწყოს მუშაობა, ორ-სამ კვირას მხოლოდ ადგილების გადანაწილებას მოუნდებიან, მერე - ასამდე განუხილავი კანონპროექტი დაუგროვდათ და, იმათ უნდა მიხედონ... მოკლედ, ბევრი საქმე აქვთ საკეთებელი.

**"ვიდრე ახალი დეპუტატები ისწავლიან რამეს, ჩემი საპრეზიდენტო ვადაც ამოიწურება და მერე ბევრი იქნება საფიქრალი. ამიტომ ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც ევალება,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი ცვლილებების "დამკვეთი" საზოგადოებრივი განწყობის საპასუხოდ.

ამ საკითხის გარდა, ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე მიმართულებით გააკეთა აქცენტები:

### მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე

მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ დღევანდელი არჩევნებით სამომავლო დასკვნების გაკეთება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

**"შეიძლება ახალი ვინმე გამოჩნდეს - დღევანდელებზე ერთი თავით მაღალი, შეიძლება პარლამენტშიც გამოინახოს ღირსეული კადრი... ახალი კანდიდატურის ბედი ჩემზე ბევრად აღარ იქნება დამოკიდებული..."** - ტრადიციულ კითხვის ნიშნებს ტოვებს ედუარდ შევარდნაძე.

### სახელისუფლებო რეზერვებზე

2 ნოემბრის არჩევნების წინასწარი და მოსალოდნელი შედეგები საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აკმაყოფილებს და "საკუთარი ხმების დასაცავად" ქუჩაში გამოსვლას არც თავად აპირებს და არც სხვებს (მაგალითად, "ნაციონალებს") ურჩევს.

იგი ამბობს, რომ დესტაბილიზაციის არც საფუძველი და საბაბი არსებობს და არც განსაკუთრებული ინფორმაცია აქვს მოსალოდნელი დესტრუქციული ქმედებების შესახებ. თუმცა, მეორე მხრივ, იმასაც ამბობს, რომ უშიშროების მინისტრის განცხადებები და იარაღის ამოღების ფაქტი საყურადღებოა, საარჩევნო კომისიებთან შეიარაღებული შენაერთების თავმოყრის ფაქტებს კი ასე ამართლებს: **"არის რეზერვები და თუ, ღმერთმა დაიფაროს და, რამე მოხდა, ამ რეზერვებს ავამოქმედებთ..."**

### აბაშიძე-სააკაშვილის ურთიერთობაზე

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აცხადებს, რომ თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს 2 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს "აღორძინების" შედეგების გაყალბებაში შეეპარება ეჭვი, საკითხი ცესკო-ში უნდა გაირკვეს და ამისთვის აჭარაში რეფერენდუმის ჩატარება მაინცდამაინც აუცილებელი არ უნდა იყოს (შეგახსენებთ - აბაშიძის განცხადებით, თუ არჩევნებში სააკაშვილი გაიმარჯვებს, იგი აჭარაში რეფერენდუმს მოაწყობს...)

ამასთან, მისი თქმით, **"შეიძლება, ასლან აბაშიძეს პარლამენტში წარმოდგენილ რომელიმე ძალასთან თანამშრომლობა არ სურს, მაგრამ ეს პრობლემა ერთობლივად დაიძლევა, რადგან საუბარია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვალდებულებაზე და არა იმაზე, ვის რა სიამოვნებს."**

### ნინო ბურჯანაძეზე

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს ნინო ბურჯანაძეს მომავალ პარლამენტში აუცილებლად აირჩევენ და, წარსულში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, მასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა ექნება.

როგორც შევარდნაძემ ორშაბათს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მას ნინო ბურჯანაძის მიმართ კრიტიკული შენიშვნები ჰქონდა, ისევე, როგორც მთლიანად პარლამენტის მიმართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან თანამშრომლობას აღარ აპირებს, რადგან თავად ნინო ბურჯანაძეც ხშირად აკრიტიკებდა საქართველოს პრეზიდენტს და ისიც საკითხავია, ვინ ვისთან არის ვალში.

### საერთაშორისო ყურადღებაზე

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათს განაცხადა, რომ 2 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების მიმართ მსოფლიო თანამეგობრობამ უპრეცედენტო ყურადღება გამოიჩინა.

**"ისეთი დაინტერესება, რომელიც საქართველოს მიმართ იქნა გამოვლენილი, სხვა ქვეყნებს არ ახსოვთ. 4 ათასზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებლისათვის ყველა კარი ღია იყო,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, დადებითი როლი ითამაშა არჩევნების წინ ამერიკელი კოლეგის ჯორჯ ბუშის მიერ გამოგზავნილმა წერილმა, რომლის მიმართვაც ეხებოდა არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, არამედ ოპოზიციასაც.

**"აშშ-ს პრეზიდენტის ამ "ღრმა და შინაარსიან" წერილს წითელ ხაზად გასდევდა აზრი არჩევნებზე ძალადობისა და დარღვევების დაუშვებლობის შესახებ,"** - აღნიშნა შევარდნაძემ და საქართველოში დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპის დაწყებაზე "მიანიშნა".

მაგრამ, რომელ ახალ ეტაპზეა ლაპარაკი, როცა პრეზიდენტი ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებებს მიზანშეუწონლად მიიჩნევს?

## ორი სიტყვით

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ინფორმაციით, საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდა და უბნებში მისული ამომრჩევლების თითქმის 100-მა პროცენტმა პარლამენტში დეპუტატთა რიცხვის შემცირებას დაუჭირა მხარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის "IRI"-ის წარმომადგენლები 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევებზე საუბრობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საშემოდგომო გაწვევა 10-12 ნოემბერს დაიწყება, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკის და კონტროლის სამსახურის ჯარში გაწვევის კოორდინაციის სამმართველოს უფროსის კობა უგრელიძის ინფორმაციით, გეგმით გათვალისწინებულია 7 ათას 250 ადამიანის გაწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გურამ შარაძემ ქვეყნის მოსახლეობა გააფრთხილა, თუკი საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების გზით ხელისუფლებაში "ნაციონალური მოძრაობა" მოვა, "საქართველოს ისტორიაში აქამდე არსებული ყველა ტრაგედია გაფერმკრთალდება და ეს უდიდესი უბედურების მომტანი იქნება ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს მრავალეროვნულ სამეთაურო-საშტაბო სწავლებებში "Allied Action - 2003", რომელიც ორშაბათს სტამბულში დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"დემოკრატიული აღორძინების კავშირის" განცხადებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ობიექტურად მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარდა, დანარჩენ რეგიონებში კი ის შედეგები დაფიქსირდა, რაც ხელისუფლებას სურდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს უშიშროების საბჭო 31 იანვარს დანიშნულ სხდომაზე პირველად განიხილავს საქართველოს მიმართვას აფხაზური მხარის წინააღმდეგ გაერო-ს წესდების მე-7 თავის ამოქმედების თაობაზე, რაც მშვიდობის იძულებას ითვალისწინებს. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად მიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ამ საკითხის განხილვის პროცედურის დაწყების თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგ ივლიანე ხაინდრავას განცხადებით, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციური ბლოკის "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე "ნომერ პირველ კანდიდატად" დაფიქსირდა. მიხეილ სააკაშვილი იმ ოპოზიციურ ძალას ხელმძღვანელობს, რომელიც საგრძნობლად უსწრებს სხვებს, ამიტომ, ბუნებრივია, იგი პრეზიდენტობის სერიოზულ კანდიდატად განიხილება, - თქვა პოლიტოლოგმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდის საოლქო კომისია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში უცხოეთის 62 ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების მიერ მიცემული ხმების რაოდენობას, სავარაუდოდ, ორ დღეში მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ხაშური.** საარჩევნო ბლოკის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ხაშურში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნეოლიბერალური პარტიის წევრის ვალერი გელაშვილის მხარდამჭერებმა გუშინ საოლქო კომისიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი სახელისუფლებო ბლოკს ხაშურში სამოქალაქო დაპირისპირების შექმნის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" კანდიდატი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც კენჭს სამგორის რაიონში იყრიდა, ხელისუფლებას არჩევნების მასობრივ გაყალბებაში ადანაშაულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის წინ შეკრებილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერები მოითხოვენ, ბათილად იქნას ცნობილი კენჭისყრის შედეგები შვიდ უბანზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის პარლამენტის დელეგაცია საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა სიებს და საარჩევნო კომისიის წევრებს აკრიტიკებს. "ამომრჩეველთა სხვადასხვა სიების გამოყენებამ გამჭვირვალობის ნაკლებობა და მონაცემების მიმართ ნდობის შემცირება განაპირობა",- განაცხადა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპის პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა დემეტრიო ვოლჩიჩმა. მისთვის გაუგებარია, თუ ვისი განკარგულებით შედგა საარჩევნო სიები და რატომ შეიქმნა პრობლემები, როდესაც ამომრჩევლები საკუთარ თავს სიაში ვერ პოულობდნენ. "მოსახლეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის პირები, ვინც არჩევნების ორგანიზებაზე არიან პასუხისმგებელი", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რა ქნას ხალხმა, რომელსაც დასცინიან?

პირველი გვერდიდან

დამკვირვებლების შეფასებით, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ჩატარებული გაყალბებული არჩევნების ფონზეც კი 2 ნოემბერი არნახული ქაოტურობით გამოირჩეოდა. მთავრობამ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არჩევნებს მაქსიმალურად არაკორექტული სიებით შეხვედროდა, ხალხის აქტიურობის შედეგად მეტ-ნაკლებად ჩასწორებული სიები წინა დღით ისევ შეცვალა.

რა უნდა გაკეთდეს ახლა? – ეს კითხვა აწუხებდა გუშინ ყველა ადამიანს, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგების დინამიკას მთელი დღის მანძილზე ადევნებდა თვალს. პროსახელისუფლებო ბლოკმა, რომელსაც დილით ცესკო-ს მონაცემებით, 40 პროცენტი ჰქონდა, მართალია, ეს მაჩვენებელი ვერ შეინარჩუნა, მაგრამ, სამაგიეროდ, ლიდერობა არ დაუთმია. ეს მაშინ, როცა ეგზითპოლებისა და პარალელური დათვლის შედეგების მიხედვით, ოპოზიცია ერთპიროვნულად ლიდერობდა (და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ეგზითპოლების შედეგებში, მსგავსი ეჭვის გამოთქმა პარალელური დათვლის მიმართ ნამდვილად გაუჭირდება).

ბუნებრივია, ქუჩაში გამოსვლა არავის უნდა. არავის სჭირდება ეს ყბადაღებული დესტაბილიზაცია. მაგრამ, რა უნდა ვქნათ, როცა ეს ხელისუფლებაც აღარ გვინდა. ხელისუფლება, რომელიც არა მარტო ნორმალური ცხოვრების უფლებას, არამედ იმის იმედსაც კი აღარ გვიტოვებს, რომ მომავალში მაინც რაღაც გამოსწორდება.

რა უნდა ქნან იმ ადამიანებმა, რომელთაც ჯერ საარჩევნო სიაში საკუთარი თავის აღმოსაჩენად სხვადასხვა უბნებში სიარულს რამდენიმე დღე მოანდომეს, შემდეგ, როგორც იქნა, თავი აღიდგინეს, არჩევნების დღეს კი ისევ აღმოაჩინეს, რომ ხმის მიცემის უფლება არ აქვთ. ან რა უნდა ქნან მათ, ვინც ხმა მისცა, მაგრამ მათი ხმა გააყალბეს.

**"თუ ცინიზმი ზღვარს გადასცილდება, მაშინ ჩვენ ველარ შევძლებთ ხალხის დარწმუნებას იმაში, რომ ქუჩაში აღარ გამოვიდნენ,"** – განაცხადა გუშინ ეუთო-ს ერთ-ერთმა დამკვირვებელმა. ანუ, გუშინ ამის თქმა ეუთო-ს უკიდურესად ფრთხილ დამკვირვებლებსაც კი არ გასჭირვებიათ.

ხელისუფლება თავისი ცინიზმით, უკვე დიდი ხანია გასცილდა დასაშვებ ზღვარს და კიდევ უფრო შორს წასვლას აპირებს. მაშინ, რა უნდა ქნას ხალხმა, რომელიც ასეთ ცინიზმს არ იმსახურებს და, რაც მთავარია, ასეთ ცინიზმს ვერც გადაყლაპავს - მას ვერავინ დაარწმუნებს იმაში, რომ ქუჩაში გამოსვლის უფლება და ამ ხელისუფლების ძალადობისგან თავდაცვის უფლება არ აქვს.

# „ჩვენ, ისე როგორც თქვენ, იმედგაცრუებულნი ვართ"

პირველი გვერდიდან

უცხოელების შეფასებით, ახალი ცესკო, ძველთან შედარებით, უფრო გამჭვირვალეა, თუმცა იგივე ხალხი საუბრობს მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმის აუცილებლობაზე, საარჩევნო უბნების, საარჩევნო კომისიების წევრთა მოუმზადებლობაზე. **"ბევრი საარჩევნო უბანი მთლიანად მოუმზადებელი იყო არჩევნებისთვის,"** - ითქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, ეუთო-სა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე "შედარებითი პროგრესი" დააფიქსირეს. შედარებაში, რასაკვირველია, წინანდელ არჩევნებს გულისხმობდნენ.

საერთაშორისო დამკვირვებელთა მისია ერთ თვეში გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ ანგარიშს 2 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით. მანამდე უცხოელები აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დღევანდელ შეცდომებზე უნდა ისწავლოს. უცხოელ დამკვირვებელთა მისია მადლიერებას და პატივისცემას გამოხატავს ქართველი ამომრჩევლისადმი, რომელმაც 2 ნოემბერს მოქალაქეობრივი აქტივობა, "კოლექტიური სული" გამოავლინა. ხოლო ამომრჩეველთა იმ ნაწილს, რომელსაც სიებთან დაკავშირებული პრობლემებისა და ცესკო-ს მიერ არჩევნების დღეს გამოცემული გაუგებარი განკარგულებების გამო, ხმის მიცემის უფლება წაერთვა, უცხოელები სიტყვიერ თანაგრძნობას უცხადებენ: **"ჩვენ, ისე როგორც თქვენ, საკმაოდ იმედგაცრუებულნი ვართ!"**



უცხოელი დამკვირვებლების აზრით ქართველი ამომრჩეველი უკეთეს არჩევნებს იმსახურებს.

# დსთ-სთვის ეს არჩევნები წინ სვლაა

დსთ-ს დამკვირვებლები, რომლებიც საქართველოში 2 ნოემბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდნენ, თვლიან, რომ ეს არჩევნები უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ადრე ჩატარებული, მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრა საერთო ნერვოზულ ფონზე ჩატარდა, რაც, თავის მხრივ, საარჩევნო სიებში უზუსტობებმა და სხვა დარღვევებმა გამოიწვია.

კერძოდ, როგორც ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე დსთ-ს დამკვირვებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა იური იაროვმა განაცხადა, არჩევნების ფორმები და მეთოდები კანონსა და ეთიკურ ნორმებს შეესაბამებოდა, ცალკეული შემთხვევების გამონაკლისით, რასაც გლობალური ხასიათი არ ჰქონია. მან აღნიშნა, რომ არჩევნების დროს დამკვირვებლებს მუშაობის შეუზღუდავი საშუალება ჰქონდათ, ხოლო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კომისიების მუშაობას თავისუფლად აკვირდებოდნენ. დსთ-ს დამკვირვებლების ჯგუფის წარმომადგენელმა კონსტანტინ მარკელოვმა 2 ნოემბრის არჩევნებს დემოკრატიისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა.

ამასთან, მან განაცხადა, რომ ცესკო-ს და საუბნო კომისიების მუშაობა გართულებული იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული ხარვეზების გამო, ასევე იმით, რომ ცესკო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაკომპლექტდა. დსთ-ს დამკვირვებლებმა თავის შეფასებებში მიუთითეს, აგრეთვე, ტექნიკური უზრუნველყოფის წუნზე და გართულებული რეგისტრაციის პროცესზე, რამაც არეულობა გამოიწვია. "დაფიქსირდა დარღვევების ფაქტები ადგილობრივი პოლიციის მხრიდან", - განაცხადა დამკვირვებელთა ჯგუფის წევრმა ვლადიმირ ვორობიოვმა.

*პრაიმ-ნიუსი*

მაია ჭალაგანიძის სვეტი

# ნდობადაკარგული ხელისუფლება საკუთარ ხალხს ომს უცხადებს

დიდი ხნის წინანდელი სურათი გამახსენდა.

თბილისის ერთ ძველ უბანში, სკოლასთან, სადაც ვსწავლობდი, კუთხის კედელზე საფოსტო ყუთი ეკიდა. ერთი დარბაისელი ქალბატონი წერილის გაგზავნას აპირებდა და ყუთში კონვერტი ჩაუშვა. ყუთი ძირგავარდნილი აღმოჩნდა და კონვერტი მიწაზე დავარდა. ამ ქალს ეგონა, ყუთის ჭრილს ააცილა და ხელახლა ჩაუშვა კონვერტი. ისევ დავარდა წერილი... შორიდან ვუყურებდი და მეცინებოდა – ამ ქალმა ჩაშვება-აღების პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორა, ვერაფრით დაუშვა, რომ ყუთი ძირგავარდნილი იყო. მარცხს საკუთარ მოუხეშაობას აბრალებდა და დაუზარებლად აგდებდა წერილს ყუთში.

მაშინ, როცა ამ სურათით ვერთობოდი, არ ვიცოდი, რომ მსგავსი რამ მე კი არა, მთელ საზოგადოებას დაემართებოდა... თუმცა, ასე 2 ნოემბრამდე ვფიქრობდი, სანამ საარჩევნო უბნებთან ხალხის გაუთავებელ რიგს დავინახავდი.

კიდევ ერთ რამეს ვფიქრობდი: რომ პრეზიდენტმა კვლავ გამოამჟღავნა პოლიტიკური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა - მოაქუჩა თანამოაზრეები, ბლოკად შეკრა და დაარქვა "მოძრაობა ახალი საქართველოსთვის", რათა შემდეგ, ასე ჯგუფურად დაწყობილებს გაეკეთებინათ **მოძრაობა** წარსულისკენ და **ახალი საქართველოსთვის** დაეთმოთ ასპარეზი... ამასაც 2 ნოემბრამდე ვფიქრობდი.

დღეს კი, ხელისუფლებამ მარტივით მოიქნია კუდი და ჩვეული ცინიზმითა და გამომწვევი უტიფრობით დაიწყო არჩევნების გაყალბება. მას ნამდვილად არ აინტერესებს იმ ხალხის ბედი და სურვილები, რომელსაც, ათწლეულია, მართავს. პრეზიდენტს, ჟორბენაძეს, რჩეულიშვილს, ხაზარაძეს, მამალაძეს, სარიშვილს, დევდარიანს - ჰგონიათ, რომ რიგებში მხოლოდ პურის და საკვების დეფიციტის დროს დგებიან ქართველები. არ სჯერათ, რომ 2 ნოემბერს, საარჩევნო უბნებთან, არსებულ ხელისუფლებასთან გამოსათხოვარი რიგები იდგა.

დღეს ცესკო-ს ინტერნეტ საიტზე ქვეყნდება ციფრები, რომელიც ნებისმიერი გალაღებული ქვეყნის მთავრობას დამშვენდებოდა, ოღონდ, არა საქართველოსას. ჩვენს სინამდვილეში, ეს ტოტალური ტყუილი ასე იკითხება - მე, ხელისუფლება, ომს ვუცხადებ იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ იმიტომ იდგა რიგში, რომ არ შემოეხაზა №1. და, სხვათა შორის, მე - პრეზიდენტს, ჟორბენაძეს, რჩეულიშვილს, ხაზარაძეს, მამალაძეს, სარიშვილს, დევდარიანს - არც ის მაღელვებს, მიიღებთ თუ არა ამ გამოწვევას...

და რა სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას არ სჯერა, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები იმ ძირგავარდნილი, დახშული ფოსტის ყუთისგან სასტიკად რომ განსხვავდება...

მოკლედ

# ქვემო ქართლი - საჩუქრად ხელისუფლებას

ქვემო ქართლი, ისევე როგორც აჭარა, ტრადიციას არ ღალატობს. არასამთავრობო დამკვირვებლებმა ამ რეგიონებში უამრავი დარღვევა დააფიქსირეს. ცესკო-ს საარჩევნო შედეგების ცხრილში სახელისუფლებო ბლოკი ისედაც პირველ ადგილზეა, თუმცა მისი პროცენტები სავარაუდოდ ორმაგად გაიზრდება, როცა ცესკო-ში ქვემო ქართლის 6 რაიონის შედეგები შევა. არაოფიციალური ინფორმაციით, ხელისუფლება ქვემო ქართლიდან 133 ათას ხმას მიიღებს. აქედან 40 ათასი ხმა მარტო ბოლნისის რაიონზე მოდის, სადაც ამომრჩევლის რაოდენობა სულ 50 ათასი იყო. იგივე მდგომარეობაა გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში, ხელისუფლება იქ ხმების 80 პროცენტზე მეტს იღებს.



მოკლედ

## დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს ადამიანთა ნუსხას აბრამოვიჩი მეთაურობს

სულ ცოტა ხნის წინათ დიდმა ბრიტანეთმა გამოაქვეყნა ინგლისის 2003 წლის ყველაზე მდიდარი ადამიანების ნუსხა, რომელსაც რომან აბრამოვიჩი მეთაურობს. გაზეთ "სანდი თაიმსის" მიხედვით, რომელმაც ხსენებული სია პირველმა დაბეჭდა, 37 წლის რუსმა ბიზნესმენმა ერთი წლის განმავლობაში 564 მილიონი ფუნტი სტერლინგი დააგროვა, რაც 900 მილიონ დოლარს აღემატება.

დღეს ინგლისური საფეხბურთო კლუბის "ჩელსის" მეპატრონე აბრამოვიჩი ლონდონში ცხოვრობს. მისი ძირითადი შემოსავლი სხვადასხვა პროფილის წარმოებებზე მოდის.

"სანდი თაიმსის" ნუსხაში მეოთხე ადგილზეა სავაჭრო ცენტრის BHS –ის მფლობელი ფილიპ გრინი, რომელსაც ბრიტანელებმა "შოპინგების მეფეც" კი შეარქვეს. მისმა ქონებამ მხოლოდ 171 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა (273 მილიონი ამერიკულ დოლარი).

მდიდარ ადამიანთა ხუთასკაციან ნუსხაში მეორე საპატიო ადგილი მობილური კავშირგაბმულობის ქსელის მფლობელმა, 51 წლის ჯონ კოდველმა დაიკავა.

"ჰარი პოტერის" ავტორმა ჯოან როულინგმა საკუთრი 125-მილიონიანი ქონებით მხოლოდ მეხუთე ადგილზე გასვლა მოახერხა.

როულინგის გარდა, წელს ამ სიაში ქალები მრავლად არიან. სხვათაშორის, ამ ელიტარულ სიაში საკუთარი ადგილი "ჰარი პოტერის" როლის შემსრულებელმა დენილე რედკილფმაც დიკავა. იგი ამ სიაში ყველაზე ახალგაზრდა ნომინანტია, რომლის ქონება 1.75 მილიონ ფუნტ სტერლინგს აღემატება. დაახლოებით ამდენი ქონება არის საჭირო იმისათვის, რომ მდიდარ ბრტანელთა ნუსხაში მოხვდეს ადამიანი.

"ჰარი პოტერის" ავტორის აგენტმა ლიტლიმ ამ ბარიერის გადალახვა იოლად მოახერხა და თითქმის 19-მილიონიანი ქონებით სიაში 30-ე აგილი დაიკავა. კიდევ ერთი მწერალი, რომელიც ბრიტანელი მდიდრების ნუსხაში მოხვდა, ჯეკი კოლინზია, რომელიც საკუთარი სასიყვარულო ისტორიებითა განთქმული. მისმა ქონებამ 10 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. კოლინზი ავტორია ამ ბოლო დროს გმოსული სკანდალური წიგნისა "ჰოლივუდის განქორწინებები".

ხსენებულ ნუსხაში მოხვდნენ ისეთი პოპულარული ადამიანები, როგორებიც არიან: რობი უილიამსი, დევიდ ბეკჰემი, ტიერი ანრი, მიკლ ოუენი და კიდევ რამდენიმე ბრიტანელი ფეხბურთელი.

## "დოიჩე ბანკი" რუსული "გაერთიანებული ფინანსური ჯგუფის" აქციებს ყიდულობს

გუშინ Deutsche Bank AG –ის ხელმძღვანელმა პირებმა განაცხადეს, რომ ისინი აპირებენ რუსული საინვესტიციო კომპანიის, გაერთიანებული ფინანსური ჯგუფის (გფჯ) 40- პროცენტიანი აქციების პაკეტის შესყიდვას. რუსული კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, გერმანული მხარე რუსეთში თავად აპირებს ფასიანი ქაღალდების ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას. ის ასევე გეგმავს რუსეთის ბაზარზე წარმატებით მუშაობას.

Deutsche Bank AG და რუსული კომპანიის წარმომადგენლებმა საბოლოო შეთანხმებაზე ხელის მოწერა 6 ნოემბრისთვის დაგეგმეს, ხოლო გარიგების დასრულებას მომავალი წლის იანვრისთვის ვარაუდობენ. გარიგების საერთო ღირებულების შესახებ არც ერთი მხარე, ჯერჯერობით, არ საუბრობს და კონკრეტული ციფრის დასახელებისგან თავს იკავებს. რუსული კომპანიის მიერ გუშინ გაკეთებული განცხადების თანახმად ირკვევა, რომ Deutsche Bank AG რამდენიმე წევრი კომპანიის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევა. Deutsche Bank AG დღემდე მთელ ევროპაში ბანკებს შორის მეორე უმსხვილეს ბანკად ითვლება.

## დიმიტრი მედვედევის გამონათქვამმა "იუკოს"-ის აქციათა ბედი გადაწყვიტა

რუსეთის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის - დიმიტრი მედვედევის მიერ რუსეთის ტელევიზიით გაკეთებულმა განცხადებამ, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება გამოიტანეს ნავთობკომპანია "იუკოს"-ის აქციათა დაპატიმრების შესახებ, წარმოუდგენელი შედეგი გამოიღო. საფონდო ბირჟაზე ნავთობკომპანიის აქციათა ფასმა 8 პროცენტით აიწია. მისი თქმით, **"სამართალდამცავების მხრიდან ღირდა დაფიქრება "იუკოს"-ის აქციათა დაპატიმრების მიზანშეწონილებაზე, რადგან ეს ქვეყნისთვის ეკონომიკური პრობლემების საფუძვლად შეიძლება იქცეს".**

მონიტორინგი

# პენსიების მიმდინარე დავალიანება 56 მილიონს გადასცდა

1 ნოემბრისათვის პენსიების 10 თვის გეგმის დაფინანსებაში გარღვევა 56 მილიონ 165 ათას ლარია.

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები სრულად არის დაფინანსებული აგვისტოს ჩათვლით. სექტემბრის თვის დაფინანსებაში გარღვევა 0,4 მილიონი ლარია, ხოლო ოქტომბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

რეგრესული პენსიები დაფინანსებულია სექტემბრის ჩათვლით.

უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ აგვისტოს ჩათვლით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ უმწეოთა სოციალური დახმარების სექტემბრის თვის ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯერ კიდევ 23 სექტემბერს გადაირიცხა. თუმცა დღემდე არ დაფინანსებულა სექტემბრის შემწეობები და არც განმარტებები მიგვილია ამ საკითხზე.

პენსიები სრულად არის დაფინანსებული მაისის ჩათვლით. ივნისის თვის დაფინანსებაში გარღვევა 3,1 მილიონი ლარია, ივლისში - 9,8 მილიონი ლარი, აგვისტოში - 9,9 მილიონი ლარი, სექტემბერში - 13,3 მილიონი ლარი, ხოლო ოქტომბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

1 ნოემბრისთვის ჯერ კიდევ შეუსრულებელია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ცხრა თვის ხარჯების გეგმა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ცხრა თვის გეგმა დაფინანსებულია 86,5 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 55,1 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა 57,2 პროცენტით.

სოციალური ფონდის 10 თვის ხარჯების გეგმაში გარღვევა დაახლოებით 73 მილიონ 498 ათასი ლარია.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 54,862 | 47,466 | 86.5% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 37,541 | 32,729 | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 3,068 | 1,686 | 55.1% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 1,425 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 430 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 3,945 | 2,256 | 57.2% |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

# ევრობანკი ჟან-კლოდ ტრიშემ გადაიბარა

ადამ მჭედლიძე

ევრობანკს ახალი თავკაცი ჰყავს. ხუთწლიანი მმართველობის შემდეგ ამ ორგანიზაციის პირველმა პრეზიდენტმა, ჰოლანდიელმა ვიმ დაუზენბერგმა პოსტი დატოვა და მის ადგილს საფრანგეთის ბანკის ყოფილი მმართველი ჟან-კლოდ ტრიშე დაიკავებს. სპეციალისტთა აზრით, მომავალი წლების განმავლობაში ტრიშეს ერთობ რთული ამოცანების გადაჭრა მოუწევს იმის გათვალისწინებით, რომ დაუზენბერგის პოლიტიკა ბოლო დროს კრიტიკის ქარცეცხლში იყო მოქცეული. ევრობანკის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს აქტივში მხოლოდ ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება თუ დარჩება. დაუზენბერგის ზედმეტად ფრთხილი და წამხედური პოლიტიკა ეკონომისტებისა და ბიზნესმენთა უმრავლესობის იმედგაცრუებას იწვევდა.



*ტრიშეს ორი გზა ექნება - ან აწიოს განაკვეთები, ან მიუშვას ევრო.*

ახლა ტრიშე აუცილებლად მოექცევა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ზეწოლის ქვეშ. გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები დიდი ხანია ითხოვენ ევრობანკისაგან საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და სტიმულს აძლევენ ძველი კონტინენტის ეკონომიკას. ევროპა ისედაც ყოველთვის ჩამორჩებოდა ხოლმე აშშ-ს ეკონიმიკური ზრდის მიხედვით და ბოლო დროს ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. ალბათ, წელს ევროპაში ნულოვანი ზრდა დაფიქსირდება. ამერიკაში კი მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 7,2- პროცენტიან ზრდას ჰქონდა ადგილი, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი იყო. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშს-ის ეკონომიკა ევროპულზე გაცილებით უფრო მოქნილია და ყველანაირ პრობლემებს გაცილებით უფრო იოლად აგვარებს. 11 სექტემბრის შემდეგ სპეციალისტები აშშ-ის ეკონომიკას ერთობ პესიმისტურად უყურებდნენ და მკვეთრ აღმავლობას 2003 წლის ბოლოსთვის თუ ვარაუდობდნენ. გლობალური ეკონომიკის სისუსტის ფონზე კი ეს პროგნოზები კიდევ უფრო პესიმისტურისკენ გადაიხარა. როგორც ვხედავთ, ამის მიუხედავად, ამერიკის ეკონომიკამ სარეკორდო შედეგი აჩვენა.

მაგრამ, დაუზენბერგისგან განსხვავებით, ტრიშეს გაბედული ფინანსისტის სახელი აქვს. ფრანგ ბანკირს კარგად ესმის ევროპული ეკონომიკის პრობლემები და მის ხელში ევრობანკი გაცილებით უფრო თამამ პოლიტიკას გაატარებს - ევროს ბრუნვა გაიზრდება, მისი კურსიც შემცირდება და ევროპიდან ექსპორტის მაჩვენებელიც აიწევს. ძველი კონტინენტის წამყვანი ქვეყნის - გერმანიის ეკონომიკა, ძირითადად, სწორედ ექსპორტზეა ორიენტირებული. დაუზენბერგის ფრთხილი პოლიტიკის გამო ეს ქვეყანა განსაკუთრებით დაზარალდა. უპირველესად, ევრობანკის ყოფილი პრეზიდენტი ევროს კურსის შენარჩუნებაზე ზრუნავდა, რის გამოც საპროცენტო განაკვეთები მუდმივად მაღალი იყო. განაკვეთის დაწევას დაუზენბერგი მხოლოდ მას შემდეგ ბედავდა, როცა იმავე ნაბიჯს აშშ-ის ფედერალური რეზერვი დგამდა. მაგრამ ბოლო პერიოდში, როცა ფედერალურმა რეზერვმა განაკვეთი 1 პროცენტამდე ჩამოიყვანა, ევრობანკს იგივე არ გაუკეთებია.

თუმცა, თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში დაუზენბერგმა შექმნილ ვითარებაში ევროპის მთავრობები დაადანაშაულა. მისი თქმით, დაგვიანებულმა და გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა გაცილებით უფრო დიდი პრობლემები შეუქმნა ძველ კონტინენტს, ვიდრე ევრობანკის პოლიტიკამ.

ტრიშეს მმართველობის პერიოდში ევროკავშირის და, შესაბამისად, ერთიანი სავალუტო სივრცის გაზრდაა მისალოდნელი, რაც ახალი ბანკირის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს. ცხადია, ასეთ ვითარებაში ევროს კურსის დაცემაა მოსალოდნელი. რა მოიმოქმედოს ასეთ ვითარებაში ტრიშემ? მას ორი გზა ექნება - ან დაუზენბერგის მსგავსად აწიოს განაკვეთები ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, ან მიუშვას ევრო და ინფლაცია გაზრდილი ექსპორტის ხარჯზე აანაზღაუროს. რას მოიმოქმედებს ტრიშე, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# ბანკების ლიკვიდაციით მეანაბრეებს ფულის დაბრუნების შანსი გაუჩნდათ

*თითქმის ყველა ბანკი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩამორთმეული აქვს ლიცენზია და ლიკვიდაციას ექვემდებარება, მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო წესით განხილვას. გაჭიანურებული სასამართლო პროცესები კი მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ეროვნულ ბანკს.*

ნინო ნარჩემაშვილი

სებ-ის ინფორმაციით, დღეისთვის საქართველოში 25 ქართული ბანკი და ორი უცხოური ბანკის ფილიალი მოქმედებს. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სების რეესტრიდან რვა ბანკია ამოღებული. ამჟამად სალიკვიდაციო პროცესი კიდევ 23 კომერციულ ბანკში მიმდინარეობს. სებ-ის ბანკების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მურთაზ კიკორიას განცხადებით, ლიკვიდატორებს, რომლებიც ინდივიდუალურად შეისწავლიან აღნიშნული 23 ბანკის საქმიანობას, უშუალო კონტაქტი აქვთ კრედიტორებთან. შემოსული თანხები კი პროპორციულად ნაწილდება კრედიტორებს შორის.

მისივე თქმით, ლიკვიდაციის პროცესი გამჭვირვალეა, თუმცა არსებობს არა ერთი პრეცედენტი, როცა აღნიშნული სამუშაოები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს და ამ დროის მანძილზე სალიკვიდაციოდ განწირული ბანკები ახერხებენ საკუთარი აქტივების გაზიდვას. ასეთ შემთხვევაში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ.

სებ-ში ასეთი ბანკების დასახელებისგან თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ ფართო საზოგადოებისათვის, დონორი ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მკაცრად განსაზღვრულია ინფორმაციის მიწოდების ზღვარი, რადგან საბანკო საქმიანობა სპეციფიკური სფერო გახლავთ და ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია, არაადეკვატური რეაქცია და გავლენა გამოიწვიოს.

რაც შეეხება საკმაოდ სოლიდური თანხების მფლობელ მსხვილ ბანკებს: ლიკვიდაციის პროცესს ემსხვერპლა "თბილკრედიტბანკი", "თბილკომბანკი", "ივერთბანკი", "კავკასიის ბანკი" და "სიგმა ბანკი".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სალიკვიდაციო სამუშაოების შედეგად ამოღებული თანხებით მოხდება ვალების დაფარვა, ანუ ფული კრედიტორებს შორის განაწილდება. სებ-ის კომერციული ბანკების ლიკვიდაციაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ზურაბ გოგატაძე აღნიშნავს, რომ "**თანხებით, პირველ რიგში, ლიკვიდირებული ბანკების მეანაბრეთა დაკმაყოფილდება მოხდება, შემდეგ კი ეროვნული ბანკის ვალდებულებები დაიფარება".** მისივე ინფორმაციითა და 1 ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, ბანკების ლიკვიდაციის შედეგად უკვე გასტუმრებულია მილიონ 600 ათასი ლარისა და სამ მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხის ვალდებულება. სასამართლოებში განსახილველად გადაცემულია 132-ზე მეტი საქმე, საიდანაც კიდევ ორ მილიონზე მეტი ლარისა და ორი მილიონი აშშ დოლარის ამოღებაა გათვალისწინებული.

სებ-ში აცხადებენ, რომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როდის დასრულდება ლიცენზია – ჩამორთმეული ბანკების სალიკვიდაციო პროცესი, რადგან იგი მანამდე არ შეჩერდება, ვიდრე ყოველი აქტივის თანხა არ იქნება გაცემული.


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 25-31 ოქტომბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 19 960.4 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 1 559.9 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის სესხზე დარიცხული პროცენტი - 1 539.8 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 20.1 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 17 628.2 ათასი ლარი;**
**საგარეო ვალდებულებების მომსახურება - 1 849.1 ათასი ლარი;**
**საგარეო ვალდებულებები (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "თბილავიამშენი") - 3 137.5 ათასი ლარი;**
**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება - 2 241.5 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება - 2 031.1 ათასი ლარი:**
■ საქართველოს პროკურატურა - 616.4 ათასი;
■ უშიშროების სამინისტრო - 524.4 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 363.2 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 342.4 ათასი;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 184.7 ათასი ლარი;
**თავდაცვის სამინისტრო (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა - ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება) - 2 499.6 ათასი ლარი;**
**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება - 471.9 ათასი ლარი:**
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია ■ 150.0 ათასი ლარი;**
**ლტოლვილთა და განსახლები სამინისტრო (ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება) - 31.6 ათასი ლარი;**
**სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდი - 3 181.4 ათასი ლარი;**
■ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები - 1 200.0 ათასი ლარი;
■ საპენსიო ტრანსფერი - 588.1 ათასი ლარი;
■ უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება - 1 200.0 ათასი ლარი;
■ რეგრესული პენსიები - 63.3 ათასი ლარი;
■ ტრანსფერი აფხაზეთის ლტოლვილ ინვალიდთა პროგრამებზე - 130.0 ათასი ლარი;
**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 1 058.2 ათასი ლარი (მ.შ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 802.4 ათასი ლარი);**
**ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 116.3 ათასი ლარი:**
**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის პროგრამები) - 750.0 ათასი ლარი:**
**საქართველოს სარეზერვო ფონდი - 110.0 ათასი ლარი;**
■ სახელმწიფო კანცელარია (ქ. ბაქოში მივლინების ხარჯები) - 110.0 ათასი ლარი;
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 772.3 ათასი ლარი;**
**კულტურის სამინისტრო - 125.0 ათასი ლარი;**
■ პროგრამული ხარჯები - 41.7 ათასი ლარი;
- ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ღონისძიებები- 83.3 ათასი ლარი;
**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 644.3 ათასი ლარი;**
■ თავდაცვის სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 527.8 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 1.5 ათასი ლარი;
■ ეროვნული ბიბლიოთეკა (ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა) - 15.0 ათასი ლარი;
**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამივლინებო ხარჯები - 3.0 ათასი ლარი;**
**სულ ხარჯი: 19 960.4 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 1 559.9 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის სესხზე დარიცხული პროცენტი - 1 539.8 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 20.1 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 17 628.2 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 772.3 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 769.3 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 3.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**


მოკლედ

## თბილისს ევროსაბაჟოს გენერალური დირექტორი ეწვევა

დღეს თბილისს 5-დღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროსაბაჟოს გენერალური დირექტორი მარტინ ბრაუნი ეწვევა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანია საბაჟო დპარტამენტის სტრუქტურული რეფორმის, დეპარტამენტის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდებში ევროსაბაჟოს ექსპერტთა მონაწილეობისა და მეორადი კანონმდებლობის დამუშავების საკითხების განხილვა.

მარტინ ბრაუნი შეხვედრებს გამართავს შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან. ხვალ დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან.

5 ნოემბერს კი ევროსაბაჟოს გენერალური დირექტორი აჭარაში გაემგზავრება, სადაც აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს შეხვდება.

*24 საათი*

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები უანგარიშოდ იხარჯება

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის მონაცემების მონიტორინგის მასალების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დარგების დაფინანსების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა.

სამაგიეროდ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები უანგარიშოდ იხარჯება ზოგიერთი პრივილეგირებული ორგანიზაციისთვის, რათა მათ საზღვარგარეთის მივლინებები და სატრანსპორტო მომსახურება აუნაზღაურდეთ.

ახალგაზრდა ეკონომისტების შეფასებით, 2003 წლის ბიუჯეტი იმ კონფორმისტული ხარჯვითი პოლიტიკის გაგრძელებაა, რასაც მთავრობა ბოლო 10 წლის განმავლობაში ატარებს; გარდა 2000-2001 წლების მოკლევადიანი პერიოდისა, როდესაც სახაზინო სამსახურიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებზე ხარჯები თანაბრად ნაწილდებოდა.

იმისდა მიუხედავად, გაიცემა თუ არა ლტოლვილთა შემწეობები, ან უმწეოთა სოციალური დახმარებები, ისეთ პრივილეგირებულ ორგანიზაციებს, როგორიცაა პარლამენტი, კანცელარია, შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროები, მაინც გამოეყოფათ სამივლინებო და სატრანსპორტო თანხები. სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან 2003 წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუროკრატიის მივლინებათა დასაფინანსებლად გამოყოფილია 1.7 მილიონი ლარი, საქართველოს ტელევიზიის ხარჯებისთვის — 9 მილიონ ლარზე მეტი.

*მედია-ნიუსი*

ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** გასულ კვირას დასავლეთ საქართველოში მომხდარი წყალდიდობის გამო დასავლეთის ჰიდროელექტროსადგურებში წყლის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორც "ინტერ-პრესს" ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში განუცხადეს, წყალდიდობამ ენგურჰესის ჯვრის წყალსაცავში წყლის დონე 7 მეტრით გაიზარდა და ნიშნულმაც ამჟამად 495,3 მეტრი შეადგინა; წყლის დონემ მოიმატა შაორჰესზეც.

ენგურჰესზე, ვარდნილჰესზე, გუმათჰესებზე და ვარციხეჰესებზე გამომუშავების მომატებამ ენერგოსისტემაში შეზღუდვები მნიშვნელოვნად შეამცირა, რის გამოც საღამოს საათებში ელექტრული სიმძლავრის მაქსიმუმმა ნაცვლად 920 მეგავატისა 1500 მეგავატი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო ადმინისტრაციები ელექტროენერგიას შეუზღუდავად მიიღებენ.

როგორც „მედია-ნიუსს" გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან აცნობეს, შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდებაში არც გუშინ ყოფილა. გამონაკლისს ზუგდიდის რაიონის რამდენიმე საარჩევნო უბანი წარმოადგენდა. ისინი დენის მიწოდებაში არსებული შეფერხებების გამო ელექტრომომარაგების ავტომატური წყაროებით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

ხვალიდან საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება ჩვეული გრაფიკით მოხდება. ელექტროენერგიას მხოლოდ გადახდის მაღალი მაჩვენებლის მქონე მომხმარებლები მიიღებენ.

რაც შეეხება დედაქალაქს, ელექტრომომარაგება არჩევნების შემდეგაც შეუზღუდავი იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის კრედიტების გამოყოფაზე საბოლოო გადაწყვეტილებას საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (მსოფლიო ბანკი) ხვალ მიიღებს. როგორც „მედია-ნიუსს" ამ პროექტის ოპერატორი კომპანია „ბი-პი"-ს საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, ამავე საკითხს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 11 ნოემბერს გადაწყვეტს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი აჭარის საბაჟო სამმართველოს მიერ ბიუჯეტის შესრულებას დადებითად აფასებს.

აჭარის საბაჟო სამმართველო, გეგმის შესრულებასთან ერთად, შემოსავლებს ყოველ თვე ზრდის. "თუ აჭარაში, სექტემბერში, საბაჟოდან მობილიზებულმა თანხამ 6.887 მლნ ლარი შეადგინა, ოქტომბერში ამოღებულმა თანხამ 7,3 მლნ ლარს გადააჭარბა. თანხის მობილიზების ზრდის ტენდენცია აჭარაში საბაჟო სამმართველოს ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს, "- აცხადებენ საბაჟო დეპარტამენტში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ჰოლანდია.** ჰოლანდიელები აპირებენ, უარი თქვან „ევროხურდაზე" — ერთი და ორცენტიანი მონეტები მალე გაქრება მიმოქცევიდან. გაზეთი „ალჰემენე დახბლად" წერს, რომ წელს ჰოლანდიურ სუპერმარკეტებში ექსპერიმენტის სახით ფასები დამრგვალდა ხუთ ევროცენტამდე, რაც საშუალებას იძლევა, უარი თქვან უფრო წვრილი მონეტების გამოყენებაზე. „თუ ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდება, ამ სისტემას მთელ სავაჭრო ქსელში შემოიღებენ", — ამტკიცებს გაზეთი „ფოლკსკრანტი". ეს კი ჰოლანდიას წელიწადში 30 მლნ ევროს დაახოგავინებს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ავღანეთი.** გუშინ ავღანეთის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც ავღანეთი საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის ისლამურ სახელმწიფოდ ცხადდება.

ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის პრეს-მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქვეყანას, პირველ რიგში, სტაბილურობა ესაჭიროება და კონსტიტუციის ეს პროექტი 100-200 წელიწადზეა გათვლილი. კონსტიტუციის პროექტს მაღალ შეფასებას აძლევს ავღანეთის ყოფილი მეფე ზაჰირ შაჰიც. მან გამოთქვა იმედი, რომ კონსტიტუცია ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს.

**"კონსტიტუციის პროექტი ისლამურ პრინციპებზეა დამყარებული,"** - აცხადებენ პროექტის ავტორები.

■ ■ ■

**ესპანეთი.** ესპანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საპორტო ქალაქ გიბრალტართან საზღვარი ჩაიკეტა. ამის მიზეზად ბრიტანული სამგზავრო ლაინერის "ავრორას" პორტში შესვლა იქცა. ლაინერზე ვირუსით დაავადებული მგზავრები იმყოფებოდნენ. ვარაუდობენ, რომ ნაპირზე გადმოსვლის საშუალებას მხოლოდ ჯანმრთელ მგზავრებს მისცემენ. მას შემდეგ, რაც გემზე მყოფი ადამიანები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან.

სულ, "ავრორაზე" 2800 მგზავრი და ეკიპაჟის 840 წევრი იმყოფება. მათგან "ნოროს" ვირუსით 500-ზე მეტი მგზავრი და ეკიპაჟის 17 წევრია დაავადებული.

■ ■ ■

**თურქეთი.** თურქეთის პრესის ცნობით, ერაყის ქალაქ კერკუტში უკვე ჩავიდა დახმარება, რომელიც თურქეთის წითელი ნახევარმთვარის ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ შაბათს გააგზავნა. თურქეთის წითელი მთვარის მიერ გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის ერთი ნაწილი გადაეცემა "თურქმენული სახლის" ფონდს, ხოლო მეორე ნაწილი - ერაყის წითელ ნახევარმთვარეს. ერაყის წითელი მთვარე ამ დახმარებას კერკუტის მოსახლეობას დაურიგებს.

ერთი კვირის წინ თურქეთის წითელმა მთვარემ დახმარება ერაყის დედაქალაქ ბაღდადშიც გააგზავნა.

■ ■ ■

**თურქეთი.** სტამბოლში ქრისტიანებისათვის სასულიერო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, თურქეთის ეროვნული განათლების მინისტრმა ჰუსეინ ჩელიქმა განაცხადა: "თუ ვამბობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს თანასწორობა და პატივი ვცეთ სხვა რელიგიებს, ეს სკოლა უნდა გაიხსნას." ჩელიქის განცხადებით, ოსმალები წლების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად.

"თურქეთი დემოკრატიული სახელმწიფოა და პატივი უნდა სცეს სხვა რელიგიებს," - განაცხადა თურქეთის განათლების მინისტრმა.

სტამბოლში სასულიერო სემინარიის გახსნას მართლმადიდებელი მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი მოითხოვს.

■ ■ ■

**აშშ.** ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა უმსხვილესმა ამერიკელმა ბრინჯის მწარმოებელმა მერვინ ლეხერმა ჰავანაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები მთელ ღონეს მოიკრებენ, რათა ამერიკამ სავაჭრო ურთიერთობები კუბასთან გააღრმავოს. ეს უკანასკნელი შტატებში ბიზნესმენების ჯგუფის ხელმძღვანელია. ბიზნესმენთა ხსენებული ჯგუფი 18 შტატის 71 ამერიკული კომპანიისგან შედგება. მერვინ ლეხერმა აღნიშნა, რომ კუბასთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება ამერიკის ბიზნესმენებისა და სოფლის მეურნეობისათვის იქნება მომგებიანი. მისი აზრით, ძალიან მალე გათენდება ის ისტორიული დღე, როცა შტატები კუბას ემბარგოს მოუხსნის, რასაც ორივე სახელმწიფოს მოქალაქეები სიხარულით იზეიმებენ. ამერიკამ სავაჭრო ემბარგო კუბაზე დაახლოებით 40 წლის წინათ დააწესა, თუმცა 2001 წელს თეთრი სახლი დათმობაზე წავიდა და ამერიკელ ფერმერებს ნება დართო, რათა ქვეყანაში კუბური წარმოების საკვები პროდუქტები შემოეტნათ.

# არიელ შარონი: პუტინი ისრაელის ნამდვილი მეგობარია

ლევან ღირსიაშვილი



არიელ შარონის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

REUTERS

მოსკოვში ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო, თუმცა მისი სამუშაო დღის განრიგი პრესისათვის გასაიდუმლოებულია. მიუხედავად ამისა, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს იმის ვარაუდი, რომ რუსეთის პრეზიდენტისა და არიელ შარონის შეხვედრის მთავარი თემა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგება და სამშვიდობო გეგმის - "საგზაო რუკის" რეალიზაცია იქნება.

დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ არიელ შარონი ისეთ საკითხებსაც შეეხება, როგორიცაა რუსი ოლიგარქის მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრება და რუსეთის განზრახვა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ებრაული საზოგადოება საკმაოდ შეშფოთებულია რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით. კერძოდ, რუსი ოლიგარქების – ბორის ბერეზოვსკის და ვლადიმირ გუსინსკის ქვეყნიდან გაძევებით, მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებით, რომან აბრამოვიჩისადმი შეფარული და ღია მუქარებით, რასაც უკვე საერთო სახელი - "ებრაული საკითხიც" უწოდეს. ამ თემამ უფრო მეტი სიმწვავე მას შემდეგ შეიძინა, როდესაც ამ რამდენიმე დღის წინ, ხოდორკოვსკის კომპანია "იუკოსის" ერთ-ერთმა მსხვილმა აქციონერმა ისრაელის მთავრობას მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართა. ეს რაც შეეხება ებრაული წარმოშობის რუსი ოლიგარქების დევნას.

გარდა ამისა, არიელ შარონი კრემლის მესვეურების წინაშე კიდევ ერთ მეტად საყურადღებო თემას, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში რუსეთის შესაძლო გაწევრიანებასაც შეეხება. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არცთუ პრობლემატური საკითხია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა ავტომატურად ნიშნავს პალესტინელებისათვის მხარდაჭერის გამოცხადებას, ისრაელის საზოგადოების და პრემიერ-მინისტრის შეშფოთების მიზეზი სავსებით გასაგებია. ამასთან დაკავშირებით, სააგენტო "ბიბისის" მოჰყავს ებრაელი ჟურნალისტის სერგეი პოდრაჟანსკის სიტყვები, რომლის მიხედვითაც ისრაელმა პუტინის შემობრუნება ისლამური სამყაროსაკენ არამეგობრულ ნაბიჯად ჩათვალა. ამდენად, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს არიელ შარონისათვის ამ საკითხის განმარტებაც მოუწევს. თუმცა, როგორც საერთაშორისო სააგენტოები აღნიშნავენ, კონფრონტაციის გაღვივება ამ ეტაპზე არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევს.

მოსკოვში ჩასულმა არიელ შარონმა კი ყველას გასაგონად განაცხადა: **"პრეზიდენტი პუტინი ისრაელის ნამდვილი მეგობარია."**

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებას, არიელ შარონის თქმით, ისრაელი არასდროს წავა დათმობაზე ისეთ საკითხებში, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება. სხვა საკითხებში კი, **"ისრაელი შესაძლოა ერთადერთი სახელმწიფო გახდეს მსოფლიოში, რომელიც მზად არის, წავიდეს კომპრომისზე, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ომი არ წაუგია,"** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა. რაც შეეხება რუსეთის მონაწილეობას კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, შარონი დარწმუნებულია, რომ მოსკოვს მშვიდობის საქმეში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია, რადგანაც **"რუსეთი მსოფლიო არენაზე ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშეა."**

ამას, რასაკვირველია, პუტინიც ეთანხმება. ის, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მოსკოვი ახლო აღმოსავლეთის პროცესებში მშვიდობის დასამყარებლად აქტიურ ჩართვას და მონაწილეობის მიღებას აპირებს.

პარალელურად, მოსკოვში მყოფ არიელ შარონს რუსეთის ებრაული თემის წარმომადგენლებმა ღია წერილით მიმართეს, სადაც დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ ბალტიის ქვეყნებში ნაცისტური ტენდენციების აშკარა ზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, წერილის ავტორები არიელ შარონს სთხოვენ, ყურადღება მიაქციოს ესტონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას მეორე მსოფლიო ომის დროს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსაგონარი მემორიალის შექმნასთან დაკავშირებით, რადგან ეს, ფაქტობრივად, იმ ესტონელთა ძეგლი იქნება, რომლებიც ჰიტლერის რეჟიმის მხარეს იბრძოდნენ. ცხადია, ვლადიმირ პუტინი ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს და ისრაელის ლიდერთან შეხვედრის დროს ბალტიისპირეთის საკითხსაც შეეხება.

ამის გარდა, ორმხრივი საუბარი ეკონომიკური საკითხების გარშემოც შედგება. ისრაელის მასმედიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მოსკოვში დახურულ კარს მიღმა გამართულ მოლაპარაკებებზე არიელ შარონმა შესაძლოა კვლავ წამოწიოს ორივე მხარისათვის მომგებიანი ნავთობსადენის მშენებლობის პროექტი, რომელიც რუსეთის ნავთობსაბადოებიდან თურქეთის ტერიტორიის და ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე გავლით ისრაელს უნდა მიეწოდოს. ამის შედეგად კი, ისრაელი აღარ იქნება დამოკიდებული ეგვიპტურ გაზზე. უნდა ითქვას, რომ ეს პროექტი ჯერ კიდევ რუსეთში ვიქტორ ჩერნომირდინის პრემიერ-მინისტრობის დროს განიხილებოდა. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ამ იდეის განხორციელება სწორედ არიელ შარონის ამჟამინდელი ვიზიტის შემდეგ დაიწყოს.

# მიხაილ ხოდორკოვსკი: მე კომპანიიდან მივდივარ

გუშინ ცნობილმა რუსმა ოლიგარქმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ კომპანია "იუკოსის" მმართველობის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება. მან ამის შესახებ საპატიმროდან გამოგზავნილ წერილში განაცხადა. **"უკანასკნელ წლებში ჩემს უმთავრეს მიზანს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის მშენებლობა წარმოადგენდა, რომელიც გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი იქნებოდა. თუმცა, ამჟამად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მე იძულებული ვარ, ამ გეგმაში და კომპანია "იუკოსსიბნეფტის" განვითარების გაგრძელებაში ჩემს მონაწილეობაზე უარი ვთქვა. როგორც ხელმძღვანელმა, მე ყველაფერი უნდა ვიღონო ჩვენი შრომითი კოლექტივისათვის იმ დარტყმის ასარიდებლად, რომელიც ჩემს და ჩემი პარტნიორების წინააღმდეგ არის მომართული. მე კომპანიიდან მივდივარ. დარწმუნებული ვარ, რომ მაღალპროფესიონალური და გამოცდილი მენეჯერების მყარი გუნდი, დირექტორთა საბჭოს მხარდაჭერით, "იუკოსსიბნეფტის" ბიზნესის გლობალიზაციაში ჩართვის ამოცანას წარმატებით გაუმკლავდება,"** - აცხადებს მიხაილ ხოდორკოვსკი.

**"ჩემი შემდგომი პირადი გეგმები უკავშირდება რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის "ღია რუსეთის" თავმჯდომარის პოსტზე მოღვაწეობას. ამ ორგანიზაციის საქველმოქმედო საქმიანობა განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერისაკენ არის მიმართული, რათა ხელი შეეწყოს სამოქალაქო ინიციატივების მშენებლობის მხარდაჭერას, რუსეთში ღია და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების შექმნისათვის. სადაც არ უნდა ვიმუშაო, მთელს ჩემს ძალებს ჩემს სამშობლოს – რუსეთს მოვახმარ, რომლის დიდ მომავალშიც მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული,"** - ნათქვამია ხოდორკოვსკის განცხადებაში. წერილში ის ასევე ამბობს, რომ **"სანავთობო კომპანია "იუკოსის" უპრეცედენტო წრამატებას რუსეთის და საერთაშორისო ბიზნესის ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება."**

წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში კომპანიამ 3 მილიარდი ამერიკული დოლარის ვალის გასტუმრება, ნავთობის მოპოვების თვითღირებულების ექვსჯერ შემცირება და ნავთობის მოპოვების გაორმაგება შეძლო. მხოლოდ 2003 წელს, "იუკოსსიბნეფტს" ბიუჯეტში 5 მილიარდი ამერიკული დოლარი შეუტანია, საქველმოქმედო პროგრამებისათვის კი ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავდა. **"ჩვენ მთელს ქვეყანაში ყველაზე ეფექტური კომპანია შევქმენით,"** - სიამაყით აცხადებს მიხაილ ხოდორკოვსკი.

"მენატეპში" კი აცხადებენ, რომ ამ ჯგუფში მიხაილ ხოდორკოვსკის აქციათა პაკეტი სხვა პიროვნებას გადაეცემა. როგორც ცნობილია, ნავთობკომპანია "იუკოსის" აქციათა 61,01 პროცენტს სწორედ "მენატეპ ჯგუფი" აკონტროლებს. **"მიხაილ ხოდორკოვსკიმ უკვე დაასახელა პიროვნება, რომელსაც "მენატეპის" აქციათა პაკეტის 50 პროცენტზე მეტი გადაეცემა. ეს პიროვნება "მენატეპის" ერთ-ერთი ძირითადი აქციონერია,"** - იუწყება რუსული მედია კომპანიაში არსებულ ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით. მართალია, წყაროს თქმით, ამ პიროვნების ვინაობა უახლოეს მომავალში დასახელდება, მაგრამ მან არ უარყო, რომ ეს ადამიანი შესაძლოა ლეონიდ ნევზლინი იყოს. ეს კი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ისრაელის მთავრობას ისრაელის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მიმართა. ამავე დროს, კომპანია "იუკოსის" პრეს-მდივანმა ალექსანდრ სადრინმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

# მოულოდნელი წყალდიდობა ინდონეზიაში






ინდონეზიაში წყალდიდობისგან დაღუპული 60 ადამიანის ცხედარია ნაპოვნი.

REUTERS

გუშინ მოულოდნელი წყალდიდობა მოხდა ინდონეზიის კუნძულ სუმატრაზე, რამაც, სულ ცოტა, 66 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ხუთი უცხოელი ტურისტი იყო. ტრაგედია კუნძულ სუმატრას ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ მედანის სიახლოვეს, ბოჰორკში მოხდა, რომელიც უცხოელ ტურისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ ერთ-ერთ მთავარ ღირშესანიშნაობას ორანგუტანგების ნაციონალური პარკი წარმოადგენდა.

წყალდიდობის მიზეზი კვირა დღის თავსხმა წვიმა გახდა. ინდონეზიის ხელისუფლება ჯერ ვერ აკონკრეტებს, თუ რომელი ქვეყნების მოქალაქეები არიან დაღუპულები, თუმცა აცხადებენ, რომ ამ ხუთი ადამიანის გარდა, ყველა ინდონეზიის მოქალაქეა. ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ ჯერჯერობით, 60 დაღუპული ადამიანის ცხედარია ნაპოვნი.

მაშველების ცნობით, რამდენიმე ადამიანი უგზოუკვლოდ არის დაკარგული. ერთ-ერთმა გადარჩენილმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ჟურნალისტებს მოუთხრო, თუ როგორ ხედავდა მისი მშობლების წყალში დახრჩობას.

წყალდიდობამ მასშტაბური მეწყერიც გამოიწვია, რის შედეგადაც უზარმაზარმა ხეებმა წყალში საცხოვრებელი სახლები და ხიდები ჩაიტანა. **"სახლების მხოლოდ 10 პროცენტია გადარჩენილი. ეს საშინელებაა,"** - აცხადებს თვითმხილველი უცხოელი ტურისტი.

# ვისი ჯერია „იუკოსის" შემდეგ?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ქვეყანამ პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი იცვალა, რამაც დაშლილი სსრკ-ს სივრცე სერიოზულ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს. პოლიტოლოგი იგორ ბუნინი ამტკიცებს, რომ "რუსეთში ოქტომბრის პოლიციური რევოლუცია მოხდა, რასაც კრემლის კურსის შეცვლა მოჰყვა. შემდეგი ჩუბაისი იქნება." თავად ჩუბაისიც ეთანხმება ამ მოსაზრებას, ოღონდ მცირედი კორექტივით.

**ანატოლი ჩუბაისი: "იკითხება სერიოზული ნიშნები ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლის შესახებ და ეს სულაც არ არის უმნიშვნელო შტრიხები. მე არ მაინტერესებს, ვინ იქნება შემდეგი. მე ის უფრო მაინტერესებს, რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ შემდეგი არავინ იყოს."** ჩუბაისი ამ განცხადებას საკუთარ ტელეარხ "რენ-ტვ"-ზე აკეთებს. მას ამის საშუალება ჯერ კიდევ აქვს.

ძლიერი სიტყვებია. შეკითხვაზე, გაიყარა თუ არა ვოლოშინისა და კრემლის გზები, ჩუბაისი პასუხობს: "ეს ასეა და ამაში ეჭვი არ მეპარება."

მოსკოველი ექსპერტები ასკვნიან, რომ პუტინისა და ჩუბაისის გზებიც გაიყარა. რა არის ეს, რუსეთის ადრინდელ პოლიტიკურ კურსთან დამშვიდობება თუ სახელისუფლებო ვერტიკალთან წინასწარ შეთანხმებული ქმედებანი? ამას მარტო დრო აჩვენებს. თუმცა, მოსკოვში მოიძებნებიან ის ექსპერტებიც, ვინც თვლის, რომ **მსხვილი კომპანიების აქციების დაპატიმრებით ჩუბაისის გრანდიოზული იდეის - "ლიბერალური იმპერიის" პირველი ეტაპი იწყება.**

დსთ-ს სივრცეზე ენერგეტიკული ექსპანსია 2020 წლამდე უნდა გაგრძელდეს - ასე წერია რუსეთის ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში, რომელიც კრემლის ადმინისტრაციის მითითებით "რაო ეეს"-ისა და ვოლოშინის კაბინეტში დაიწერა. რუსეთის ექსპერტთა საზოგადოება ამტკიცებს, რომ **ჩვენს თვალწინ წინასწარ გათვლილი თამაში გრძელდება რუსეთში ავტორიტარული რეჟიმის დასაბრუნებლად და რომ კრემლის ყოველი ნაბიჯი ტაქტიკურია და, შესაბამისად, კრემლის ოჯახის გარემოცვასთან შეთანხმებული.**

ვიტალი ჩელიშევი, ჟურნალ "ჟურნალისტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე: - რუსეთში კერძო შემთხვევები არ ხდება, ამიტომ "იუკოსის" საქმე რაღაც გეგმის რეალიზაციის ინსტრუმენტია. ახლა ჩვენ უნდა მივხვდეთ, რა გეგმაა ეს. ხოდორკოვსკის სამაგალითო დასჯა მემარჯვენე პარტიებისა და კომუნისტების დაფინანსების მიზეზით? შეიძლება, რადგანაც "ერთიან რუსეთს", კოლოსალური ადმინისტრაციული რესურსის მიუხედავად, პრობლემები აქვს. მაგრამ... რაღაც მიზნისათვის ბაზრის გაწირვა (იგივე პოლიტტექნოლოგიების დახმარებით) მეტისმეტია. მორიგი პარსვლა? ესეც დასაშვებია. მაგრამ ძალზე სულელური და ექსტრავაგანტული ნაბიჯია ამომრჩევლის დარწმუნება, თითქოს, ვირტუალურ მილიარდებს ვიღაცას წაართმევენ და ხალხს დაუბრუნებენ. საკუთრების მორიგი გადანაწილება, რომლის დროსაც ძველი ოლიგარქიული ფენა ახლით, საკუთარითა და უფრო ერთგულით იცვლება? ეს უფრო რეალური ვერსიაა. მაგრამ კრემლში მშვენივრად ესმით, რომ ამ გზით დასავლეთში რუსეთის ბაზრისადმი ნდობა მოისპობა. არადა, პუტინი დასავლურ მოდელზეა ორიენტირებული, თანაც ცდილობს, ქვეყნის მთლიანობის შესანარჩუნებლად რაღაც ლიბერალურ-პოლიციური კოქტეილი შეთქვიფოს. აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: რუსეთის ეკონომიკა, ავად თუ კარგად, მუშაობს და თუ მილიარდებს ასე მოექცევიან, იგი დაინგრევა. ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ, პირველი აზრი, რაც გამიჩნდა, იყო: თამაში. პუტინმა ამერიკელ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე არ გამორიცხა რუსეთში კაპიტალის ამნისტია, თუმცა ეს არაპოპულარული ნაბიჯია. ამიტომ "იუკოსზე" თავდასხმას თუ ლიბერალური წრეებისა და მსხვილი ბიზნესის ისტერიკა მოჰყვა და ეს ასეცაა, მაშინ პარლამენტი ისეთი კანონების გატანას ეცდება, რაც ამ ამნისტიას მოახდენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პუტინი ოლიგარქთა თანამოაზრე გამოვა, რაც მას არჩევნების წინ ხელს სულაც არ აძლევს. თუ ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, მაშინ მორიგი მსხვერპლი რუსეთის გენერალური პროკურატურა იქნება, რომელსაც არაკომპეტენტურად გამოაცხადებენ. არსებობს კიდევ ერთი მრისხანე ვარიანტი, რაც გლებ პავლოვსკიმ გაახმოვანა: რუსეთში კონსტიტუციის, პრიორიტეტების ოფიციალური ცვლის გარეშე, შეიძლება, ჩილეში პინოჩეტის მიერ შექმნილი სისტემა მივიღოთ. იმ განსხვავებით, რომ ორ კონტინენტზე ფრთებგაშლილ უზარმაზარ ორთავიან რუსეთში მსგავსი რეჟიმი ჭიშკარს გაუღებს მოუთოკავ და უპრეცედენტო განუკითხაობას. ასეთი რუსეთის იდეოლოგია სოციალურად ორიენტირებული ლიბერალიზმი იქნება, სინამდვილეში კი - მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალი ეტაპი, საშუალო ბიზნესის ორგანიზაციის ჩინური მოდელით. ხელისუფლება: ცენტრში იქნება მკაცრად იერარქიული, ბიუროკრატიული, გასამხედროებულთან მიმსგავსებული სისტემა. მასმედია: მოდელი უკვე არსებობს. რუსეთის ხელისუფლებისათვის მთავარი იქნება საზოგადოების აზრის შემქმნელი ტელევიზია. მას გააკონტროლებს ხელისუფლება და ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესი. იქნება დამოუკიდებელი, მაგრამ ფრთხილი გაზეთებიც. თავისუფლება იქნება მხოლოდ ინტერნეტში, რადგანაც რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ "რუნეტით" მოსარგებლეთა არმიას ქვეყანაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. თუ ყველაფერი ამ მკაცრი სცენარით განვითარდება, ერთი წლის კრიზისის შემდეგ, გაუმჯობესდება რუსეთის საინვესტიციო კლიმატი, გაცოცხლდებიან პოლიტიკური პარტიები და მასმედია, ადგილი ექნება ფინანსურ გადასხმებს, და ეს ყველაფერი მოხდება რუსეთ-ბელორუსის მოკავშირული სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევნების წინ და ვ.ვ. პუტინი თეთრ ცხენზე ამხედრებული შევა განახლებულ სახელმწიფოს პირველ საპრეზიდენტო ვადაში. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ რუს სამხედროებს აღარ მოუნდებათ პუტინის დასავლური კურსი და ლუკაშენკოს მხარეზე დადგებიან. და აი, მაშინ ჩვენ მივიღებთ ტოტალური სიცრუის დღესასწაულს, ტოტალურ ზიზღს კანონისა და პიროვნებისადმი, ადამიანისა და სიტყვის თავისუფლებისადმი, რაც ხანდახან მაინც საკუთარი თავის პატივისცემის საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი რუსი კოლეგის ნააზრევი დღეს მეტად პოპულარულია და მისაღები მოსკოვის ანალიტიკური საზოგადოებრიობისათვის. იგივე სცენარები გაისმის პოლიტიკური კლუბის "ღია ფორუმის" სხდომებზეც. ასე რომ, შეიძლება ასე პოპულარული ევროორემონტიანი ციხის კამერა რუსეთისათვის დროებითი განსაწმენდელიც კი იყოს, საიდანაც ხოდორკოვსკი და, ალბათ, ჩუბაისიც დანარჩენი ოლიგარქების გზას გაუყვებიან. ტყუილად არ ყვირის კრემლის თუთიყუში ჟირინოვსკი: "ლონდონშია თქვენი ადგილი, ბერეზოვსკისთან!". ჟირინოვსკიმ იცის, რა იყვიროს.

# „ჟენევაში ქართველებმა რუსეთის პროგრესს ხელი შეუშალეს"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასეთი კომენტარი გაუკეთა "24 საათის" შეკითხვას რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ მიხაილ მედვედკოვმა ჟენევიდან "რია ნოვოსტის" სააგენტოში გამართულ ტელეხიდზე.

ჟენევაში მყოფი, რუსეთის დელეგაციის განწყობილებებით ცხადი ხდება, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლა შეფერხებულია, და თანაც, გაურკვეველი დროითაა გადადებული. თუმცა, რუსული მხარე გულს არ იტეხს და ენერგეტიკის სფეროში არსებულ დიდ წარმატებებზე საუბრობს.

**"24 საათი": როგორი იყო თქვენი რეაქცია საქართველოს დელეგაციის პოზიციაზე და თუ ეცადეთ ქართველ კოლეგებთან ვითარების გარკვევას?**

**მიხაილ მედვედკოვი**: **ჟენევაში ქართული დელეგაციის ასეთი პოზიციის მოტივები წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და მას სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. საქართველოს დელეგაცია იყო ერთადერთი, ვინც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაერთიანებას მხარი არ დაუჭირა. ანუ, ვინც ჩვენს პროგრესს ამ სხდომაზე ხელი შეუშალა. მიჭირს იმის ანალიზი, თუ რატომ მოიქცნენ ასე ჩვენი ქართველი კოლეგები. ჩვენ ბევრი გადაუჭრელი საკითხი გვაქვს და არ გვგონია, რომ ის საკითხები, რასაც დღეს ქართველები აყენებენ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან რაიმე კავშირში იყოს. ქართველების პოზიციაში არის მხოლოდ პოლიტიკის ელემენტები. იმედია, მათთან შეთანხმებას მივაღწევთ, რადგანაც ჩვენ საერთო ეკონომიკური სივრცის ნაწილი ვართ.**

ტელეხიდის დროს ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხომ არ გახდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების შეფერხების მიზეზი "იუკოსის" ხელმძღვანელის დაპატიმრება და როგორი პოზიცია დაიკავეს სხვა სახელმწიფოებმა? რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ მიხაილ მედვედკოვმა უპასუხა, რომ ხოდორკოვსკიზე საუბარი ან მინიშნებები ჟენევური შეხვედრის კულუარებშიც კი არ ყოფილა. მედვედკოვმა დასძინა, რომ "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთი უკვე შესული რომ ყოფილიყო, საკუთარი ინტერესების დაცვის სამართლებრივ არგუმენტებს თავისუფლად მოძებნიდა."

როგორც ჩანს, წმინდა ეკონომიკურ საკითხებს რუსეთის ხელისუფლება შიგადაშიგ პოლიტიკას მაინც დაუკავშირებს, ისეთ ავტორიტეტულ სტრუქტურაშიც კი, როგორიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაა.

მოქალაქის სვეტი

# "ვივა პროტესტო!"

დალი კუპრავა

## დღე პირველი: ვიქნები, თუნდაც, ამომრჩეველი...

ძალიან დიდი ხნის, თითქმის, 12 წლის მანძილზე მაღიზიანებდა, რომ ვილაცეები ხან "ამომრჩეველს", ხანაც "უბრალო ადამიანს", ან "მოსახლეობას" მეძახდნენ. ჩემს - "მოქალაქის" სამართლიან და კონსტიტუციურ სტატუსს კი სხვა იჩემებდა. მაღიზიანებდა სიტყვათშეთანხმება "მოქალაქეთა კავშირი" და მასში რაღაც მისტიურს და მაგიურსაც ვხედავდი - შავმაგიურს, რა თქმა უნდა, რომელიც ჩემს მოქალაქეობას, თითქოს, გასაქანს არ აძლევდა. ვერ ვეგუებოდი ვერავის, ვინც ამ სიტყვათშეთანხმების უკან იდგა.

ამასობაში "ეკლესიასტეც" ისეთი დემოკრატიული და უბრალო ადამიანისთვის ხელმისაწვდომი საკითხავი გახდა, რომ მეც დავიჯერე, – ყველაფერს ჟამი უნდა დაუდგეს-მეთქი, სხვაგვარად ვერ იქნება და, ანდაზა - "თავს ზევით ძალა არ არის" - გონიერი ადამიანის გამონათქვამი რომ ყოფილა, ისიც დავიჯერე.

"თამაშის წესები და კანონი დაიცავით -მეთქი", - ამაოდ გავყვიროდით მე და ჩემგვარები გულში. აბა, მარტო ხომ არ ვიყვირებდი.

გაგიგონია - ვინ გაიგონა?!

არჩევანისთვის დიდუბის მე-12 უბანზე წავედი. მშობლები რომ მიყვარს, რა მტკიცება უნდა, მაგრამ სამი წლის წინ გარდაცვლილი მამის სიაში ყოფნამ, სიამოვნების გარდა, ყველანაირი გრძნობა მომგვარა - საბოლოოდ კი აღშფოთებაში გადაიზარდა, - ამ ხნის განმავლობაში როგორ ვერ მოახერხეს რეალური სიების შედგენა. ან, იქნებ სპეციალურად არ მოახერხეს-მეთქი?

არ მსიამოვნებდა, მაგრამ კმაყოფილებას ჩემი მოქალაქეობრივი პატივმოყვარეობა განიცდიდა, როცა კომისიის თავმჯდომარე და წევრები თავს იმართლებდნენ, - ჩვენი ბრალი არ არის, სიები ცესკომ გადმოგვცაო. თამამად ვუთხარი, - თქვენ რას მიკეთებდით, სიები თქვენ არ შეგიდგენიათ, ერთი საათია მეძებთ სიაში და ჭაჭალა დეიდას, ჩემს ორი წლის წინ გარდაცვლილ მეზობელს პოულობთ და მე ვერა-მეთქი...

ხალხი კი, ქართველი "ამომრჩეველი", "უბრალო ადამიანი" ან კიდევ, უფრო უბრალოდ, "მოსახლეობა", ისე აქტიურობდა, პური არ შეატანინეს კომისიის წევრის ქმარს, - რა ვიცით, იქნებ ბიულეტენებიაო შიგ (აი, ისე, არსენას რომ პურში დამალული ქლიბი შეუგზავნეს მეგობრებმა). ხანდაზმულები ურიგოდ შევუშვათო, - გაისმა რიგში. ერთის შენიშვნამ, - ეგენი პირველს შემოხაზავენო, - პათოსი ვერ გააქარწყლა და გადაწყვიტეს, - "მაგათ" ყველაზე მეტად იწვნიეს "პირველისგან" და აღარ შეეშლებათო.

რაღაც კარგი ხდებოდა – ჩემი მეზობლები თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ ჩემს თვალში, მოქალაქეებად ყალიბდებოდნენ. "მე რასაც დავუკვეთავ, ის უნდა გააკეთონ, უყურე მაგათ, არ "დაგვაჩმორეს!"- ამბობდა ხალხი.

ვიდრე არ გადახტები, "ჰოპ" არ დაიძახოო, - ნათქვამია. მე არ ვიცი, როგორ ჩამთავრდება ყველაფერი, მაგრამ ის ვიცი, რომ ეჭვი საკუთარ არჩევანში უნდა შეიტანო და არა არჩეულის პატიოსნებაში.

## დღე მეორე: ვინ, თუ არა მე?!

ახლა?!

ჩემმა დღემ ჩაიარა, როცა მნიშვნელოვანი ვიყავი. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვის დავჭირდები-მეთქი, - ვფიქრობ და ჯერ კიდევ ვჯახირობ, რომ მოქალაქეობრივ აპათიაში არ ჩავვარდე, არ გავქრე თვალსაწიერიდან.

მაგრამ, როგორ მოვახერხო, რომ ისევ არ ვირწმუნო ჩემი ვირტუალურობა. როგორ მოვახერხო, რომ ჯადოსნური ჯინივით, რომელმაც ზღაპრის სცენარით თავისი საქმე უკვე გააკეთა, კვლავ დოქში არ აღმოვჩნდე, რომელსაც მომავალ არჩევნებამდე საცობს ნამდვილად არ მოხსნიან?!

გავივლი, გავხედავ ტელევიზორის ეკრანს, პროცენტებს მოვკრავ თვალს; გამოვივლი, და ისევ პროცენტები... "ეგზითპოლი" და "სამართლიანი არჩევნები"ერთს მეუბნება, ცესკო - მეორეს. გარეთ გავდივარ, იქნებ გულის გასამაგრებელად იქ მაინც ვპოვო იმედი, რომ ხელისუფლებამ, როგორც იქნა, ისინდისა და ნებით თქვა უარი გაყალბებაზე და არჩევნებში მოქალაქეთა ნების უპირველესობა აღიარა?!

ვჯდები "მარშრუტკაში" - ერთი ჩადის, მეორე ამოდის და ვუსმენ: ერთი, ახლა "მრეწველების" პროცენტები აიწევს - ფულის მიტანის დრო დადგაო; რა, არ იცოდით, ეგენი ხომ პირველებს აძლევენო ; მეორე "ლეიბორისტების" მომავალ შიდაპარლამენტურ ვაჭრობაზე ლაპარაკობს; მესამე ერთოთახიანში შემწყვდეულ ხუთკუნჭულა შალვას ვერ იტანს და "ახლებს" შემოევლება, საკუთარ სიმდიდრეს რომ არ მალავენ და კეთილდღეობის ალმართს ხალხსაც 900 დღეში შეუყენებენ; მეოთხეს არც "მაგათი" სჯერა, - საკუთარიც ბევრი აქვთ, კახა თარგამაძის ფული რომ არ დაეხარჯათო;

ვილაცას იმისიც სჯერა, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" ხმები სააკაშვილის გამო დაკარგეს და სააკაშვილი კი "პირველმა" გაქაჩა, როგორც მორდუმ, რომელმაც, - თუ სისხლით შვილი არა, მემკვიდრე, გაზრდილი მაინც იქნებაო; ერთი იმას მისტირის, პატიაშვილისთვის მიმეცა, ცხრა აპრილის ცოდვის მონანიებას შეეცდებოდა-მაინცო... "ერთიანი" არ იყოს, "ორიანს" მოვუვლიდითო... "მარშრუტკა" გავაჩერებინე, ვიფიქრე, -ფეხით გავივლი-მეთქი. უმიზნოდ შევხეტიალდი სუპერმარკეტში, თაროებს ვათვალიერებდი და ვისმენდი, რომ არც ცესკო-ს თავმჯდომარე ყოფილა სანდო, - იმიტომაც აირჩია შევარდნაძემო...

თავს თუ არ ვუშველე, ამ ბორბალმა მევე უნდა გადამიაროს; მერე ერთი დღით ამომიშვებენ დოქიდან, ამომასუნთქებენ და კვლავ დამხშავენ?!

ჯერ კიდევ პროცენტებს ვუყურებ - აჭარის ხმებსაც რომ დათვლიან, გაყალბება მაშინ ნახეო... სუპერმარკეტიდან გამოვედი, რომელიღაც გაზეთის კორესპონდენტი მხვდება და მეკითხება, რას ფიქრობთ არჩევნების შედეგებზეო, "ვივა პროტესტო!"- ჩამჩურჩულა შინაგანმა ხმამ და ენამ იგივე ხმამაღლა გაიმეორა.

# „ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია - აბა, მე ხომ არ გავაყალბებდი?"

ნანა ქადაგიშვილი

*"არჩევნებისგან რა შედეგს ელოდით; გააყალბა თუ არა ხელისუფლებამ საარჩევნო სიები და რა მოჰყვება სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვებას?" – ამ კითხვებზე გამოკითხულმა მოქალაქეებმა, თითქმის, იდენტური პასუხები გაგვცეს.*

### ანზორ ბატიაშვილი:



უკეთეს შედეგს ველოდი. ხელისუფლებას სიები რომ არ გაეყალბებინა, ოპოზიცია ბევრად მეტ ხმას მიიღებდა. თვითონ შევესწარი, პოლიციის თანამშრომლები რამდენჯერმე რომ მოიყვანეს ხმის მისაცემად. ხელისუფლებამ თუ გაიმარჯვა, ოპოზიცია, ბუნებრივია, არ დათმობს. როცა ამდენს წვალობ, ხალხზე ფიქრობ და ბოლოს ხელმოცარული რჩები, რა თქმა უნდა, წონასწორობიდან გამოხვალ. სერიოზულ შეტაკებას არ ველი, მაგრამ გარკვეული ექსცესები ნამდვილად იქნება. თუმცა, არა მგონია, ოპოზიციას რამე გამოუვიდეს - ჩვენი ხელისუფლება ყველაფერზეა წამსვლელი.

### ნატო სირაძე:



არჩევნების გუშინდელმა სავარაუდო შედეგებმა იმედი მომცა, მაგრამ დილით აღმოჩნდა, რომ სახელისუფლებო ბლოკს ყველაზე მეტი ხმა მოეპოვებინა. ამან ძალზე გამაკვირვა. ეს შედეგები, რა თქმა უნდა, ყალბია. ოპოზიცია ისეთი აქტიურია, რომ არ დათმობს. იმედი მაქვს, საქმე სისხლისღვრამდე არ მივა და პოლიტიკოსები კონსესუსს მიაღწევენ. მე, პირადად, საპროტესტო აქციებში მონაწილეობას არ მივიღებ. ყველამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს.

### ლივერ ყაჭრიშვილი:



საარჩევნო უბანში ორჯერ მივედი; პირველად სიაში ვერ მიპოვეს. ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლები სულ არეულად შეეყვანათ სიებში. ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, აბა, მე ხომ არ გავაყალბებდი? თუ ისევ ხელისუფლებამ გაიმარჯვა, გამორიცხული არ არის, დაპირისპირება შეტაკებამდე მივიდეს.

### მაია ჭანჭალაშვილი:

არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან ვიცოდი, რომ მაინც გაყალბდებოდა. სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი გამართლდა. თუმცა, ამ არჩევნებს რა შედეგიც უნდა მოჰყვეს, ჯობს დავთმოთ, ჩვენი ხელისუფლება აზერბაიჯანის მთავრობას არ ჩამოუვარდება და ნამდვილად არ მინდა, არჩევნები ჩვენთანაც სისხლისღვრით დასრულდეს.

### ვლადიმერ ლუარსაბიშვილი:



არჩევნების გაყალბებას ველოდი, თუმცა იმედი მქონდა, რომ შედეგი უკეთესი იქნებოდა. მოსახლეობამ და ოპოზიციამ, ბუნებრივია, პროტესტი უნდა გამოხატონ, მაგრამ სისხლისღვრის გარეშე. თუმცა, ჩვენთან სამშვიდობო აქციები შეტაკების გარეშე იშვიათად სრულდება. თუკი საპროტესტო აქციას ნორმალური სახე ექნება, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ.

### პოლიციელი (ვინაობა არ დაასახელა):




ჩვენ არაფრის უფლება არ გვაქვს... ხმა კი მივეცით, მაგრამ ვერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცით...

### ჟუჟუნა ციხისელი:

არჩევნების შედეგებით კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები. მაგარი გაყალბებები იყო. დევნილი ვარ და ვიცი, რომ ბევრი დევნილი სიაში არ შეუტანიათ. ახალგაზრდა რომ ვიყო, ოპოზიციას გვერდით დავუდგებოდი. თუმცა, საქმე ომამდე არ უნდა მივიყვანოთ.

# ქართული ტრადიციების და „ღამეების" ამბავი

### "თურქეთში ძალიან მკაცრი პოლიციაა, მაგრამ საქართველოში უფრო პოლიციური რეჟიმი ყოფილა"

*ბურსას მახლობლად მდებარე 30 სოფლიდან 25 ქართულია. მახარაძეები, სოლოღაშვილები, დავითაძეები დღეს პასპორტში ქუფჩ ოღლებად და ალედ ოსურებად არიან გატარებულები. თუმცა, მათ კარგად იციან, რა გვარისაც არიან და მშობლიურ ენაზეც ახერხებენ საუბარს. "როდესაც აფხაზებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებს, აფხაზები იყვნენ ჩამოსულები ჩვენს სოფელში და რაღაც ცუდად თქვეს ქართველებზე; მაშინ ყველანი ერთად დავდექით და ის ერთი ნათქვამიც კი არ ვაპატიეთ. თუ ყველა ქართველი ერთად იდგება, საქართველოს ცუდს ვერავინ გაუბედავს,"- ამბობს კოტე დავითაძე (ქუფჩ ოღლი).*

თამარ დვალი

**"ჩემი ბაბუა ჩაქვიდან იყო; მთელი ბავშვობა საქართველოზე მელაპარაკებოდა. პირველად 1988 წელს ჩამოვედი საქართველოში და სწორედ ისეთი დამხვდა, როგორიც წარმომედგინა. ყველაზე მეტად ძველი ქართული ცეკვები და სიმღერები მომეწონა. ბაბუაც კარგად ცეკვავდა. მისმა თაობამ ცეკვის ისეთი ილეთები შემოინახა, დღეს რომ დაკარგულია. მეორედ 1996 წელს ჩამოვედი საქართველოში და ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ის ქართული ტრადიციები, თითქოს, დაკარგულია. ახლა სხვანაირ მუსიკას უსმენენ, სხვანაირად ცეკვავენ. მე ის ძველი უფრო მომწონდა. საქართველოში ყოფნისას ქართული ცეკვა ვისწავლე და ახლა ჩემს სოფელში ვასწავლი. "ინეგოლის კავკასიის ანსამბლი" ასე ჰქვია ჩვენს ანსამბლს, სადაც 120 ადამიანია გაწევრიანებული. წელიწადში ერთ დღეს, კერძოდ, ივლისის ექვსი რიცხვიდან თორმეტის ჩათვლით, კვირა დღე როდესაც დაემთხვევა, რამდენიმე სოფელი ვიკრიბებით და "ქართულ ღამეს" ვაწყობთ. ქართული ჭიდაობის ტრადიციაც გვაქვს,** – მიამბობს კოტე დავითაძე, ახლა უკვე ქუფჩ ოღლი, რომელსაც სტამბულში ერთ-ერთ გამოფენაზე შემთხვევით შევხვდი, - **ვიცოდი, რომ ამ გამოფენაზე ქართული დელეგაციაც უნდა ჩამოსულიყო. როგორც კი ავტობუსიდან ჩამოხვედით, მივხვდი, რომ ქართველები იყავით. ჩემს ამხანაგს ვეუბნებოდი, რომელ დელეგაციაშიც ყველაზე ლამაზი გოგო-ბიჭები იქნებიან, ისინი იქნებიან ქართველები-თქო. ბურსაში რომ ყოფილიყო ეს გამოფენა, ჩვენს სოფელში აუცილებლად დაგპატიჟებდით. ვიცი, რომ საქართველოში სტუმარის დახვედრის განსხვავებული ტრადიციაა და ჩვენც ვიცავთ ამ წესებს."**

მართალია, თურქეთში გადახვეწილი ქართველები, რელიგიის გამო, სასმელს ნაკლებად ეტანებიან, მაგრამ სუფრასთან თამადის ტრადიცია მაინც აქვთ. **"ძალიან მომწონს სუფრასთან თამადა,** - ღიმება კოტე, - **როცა საქართველოში პირველად ვნახე, როგორ უძღვებოდა ერთი კაცი ამხელა სუფრას, გაკვირვებული დავრჩი. ჩემს ქორწილში თამადაც მყავდა და ქართული ჩოხაც მეცვა. ძალიან ვცდილობ, ძველი ტრადიციები შევინარჩუნო. თუკი საქართველოში ისეთი პირობები მექნება, რომ ოჯახის რჩენას შევძლებ, აუცილებლად დავბრუნდები. მეუღლეც ქართველი მყავს, თუმცა, სამწუხაროდ, მან ქართული არ იცის. ჩემი შვილები ჯერ პატარები არიან და როცა გაიზრდებიან, აუცილებლად ვასწავლი ქართულს."**

თურქეთში მცხოვრები ქართველები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად ადევნებენ თვალყურს და შევარდნაძესაც კარგად სცნობენ. ასლან აბაშიძის გაცნობა კი კოტეს საქართველოში სტუმრობისას მოუნდომებია, მაგრამ... **"ბათუმში ყოფნისას ასლან აბაშიძე დავინახე, მინდოდა, ახლოს მივსულიყავი და გავსაუბრებოდი, მაგრამ დაცვამ ისე სასწრაფოდ მომაშორა იქაურობას, გაკვირვებული დავრჩი. ახლოს დანახვის საშუალებაც კი არ მომცეს,** - იხსენებს იგი, - **თურქეთში ძალიან მკაცრი პოლიციაა, მაგრამ საქართველოში უფრო პოლიციური რეჟიმი ყოფილა..."**

მოკლედ

### სტიპენდია ჩეხეთიდან

ჩეხეთის რესპუბლიკამ 2004-2005 სასწავლო წლისთვის საქართველოს სტუდენტებისთვის სამი სტიპენდია გამოყო: ორი - სწავლების სრული კურსი, ან მაგისტრატურა და ერთი - დოქტორანტურა. სტიპენდიანტების შერჩევის მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტროში შექმნილია კომისია, რომლის წევრებიც 20 ნოემბერს შეიკრიბებიან. მსურველთა რეგისტრაცია 14 ნოემბრამდე მოხდება. როგორც განათლების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი ანა აბულაძე აცხადებს, მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ როგორც ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებს, ისე უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება განათლების სამინისტროში, ხოლო შედეგები გადაიგზავნება ჩეხეთში. გამარჯვებულებს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის განათლების განყოფილება დაასახელებს. სტიპენდიანტი მხოლოდ მგზავრობის ხარჯებს დაფარავს. ჩეხეთის მხარე შედეგების შეჯამების შემდეგ თავად გადაწყვეტს, რომელ უმაღლეს სასწავლებელში ისწავლიან კონკურსში გამარჯვებული ქართველი სტუდენტები. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ თბილისის 12 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, იქ განლაგებული საარჩევნო უბნების გამო, სასწავლო პროცესი ვერ განახლდა. განათლების სამინისტროს სასკოლო სამმართველოს ხელმძღვანელის კობა სუჯაშვილის განცხადებით, ეს იმის ბრალია, რომ ბიულეტენების გადათვლა სკოლებში დილის 7 საათამდე გაგრძელდა, საარჩევნო კომისიის წევრები კი, ძირითადად, სკოლის პედაგოგები იყვნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1 ნოემბრიდან, დედაქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც წყალს 8 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში იღებს, წყლის გადასახადს ახალი ტარიფით გადაიხდიან. საკრებულოს დადგენილების თანახმად, ისინი, ვისაც წყალი 8 საათის განმავლობაში მიეწოდება, 90 თეთრს გადაიხდიან. წყლის ფასი გაიზრდება რესტორნების და კვების ობიექტებისთვის. მათთვის გადასახადი 4,80 ლარი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ პოლიტიკურ პარტიებს დედაქალაქის ქუჩებში განთავსებული საკუთარი საარჩევნო პლაკატების ჩამოსახსნელად და კედლების გასაწმენდად 15 დღის ვადა მისცა. ინსპექციაში აცხადებენ, რომ, თუკი ეს მითითება არ შესრულდა, პარტიებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა დაეკისრებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო ადმინისტრაციები გუშინ ელექტროენერგიას შეუზღუდავად იღებდნენ. დღეიდან საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება ჩვეული გრაფიკით მოხდება. ელექტროენერგიას მხოლოდ გადახდის მაღალი მაჩვენებლის მომხმარებელი მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში, გამარჯვების მოედანზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი იკურთხა. ის ადგილი, სადაც ტაძარი უნდა აშენებულიყო. ტაძარი, დაახლოებით, 500-600 მლოცველს იტევს. მომავალში იგი გახდება ნაწილი დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრისა, რომლის მშენებლობა, პარალელურად იწყება. მას ექნება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამი სხვადასხვა ტრაპეზი. **მედია-ნიუსი**

# ვერისუბნელი მეზობლების გასაჭირი

*ცნობილი ქართველი მრეწველისა და ქველმოქმედის გიორგი ქართველიშვილის, თითქმის, ორსაუკუნოვან სახლს დანგრევა ემუქრება. ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია ისტორიული სახლის ადგილას მაღალსართულიანი კორპუსის წამოჭიმვას გეგმავს. ქართველიშვილის კანონიერი მემკვიდრე და სახლის დღევანდელი მფლობელი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებს. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი კატეგორიულად აცხადებს, რომ უძველესი სახლის იერსახეში, თუნდაც, მცირეოდენი ცვლილებების შეტანაც კი დაუშვებელია. ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის ტერიტორიის მოსუფთავება ამ ცოტა ხნის წინათ უკვე დაიწყო.*

ეთერ მამულაშვილი

ისტორიული სახლი, რომელსაც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ვერაზე ღამბაშიძის ქუჩის №3-ში მდებარეობს. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აგებულ სახლს რვაასი კვადრატული მეტრის ფართობი უკავია. თითქმის, ორასწლოვან ერთსართულიან სახლში დღეს გიორგი ქართველიშვილის შთამომავალი ნატო ქართველიშვილი მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. სახლის კედლების უმრავლესობა დაბზარულია, ერთი კედელი ჩრდილოეთისკენ რამდენიმე სანტიმეტრით არის გადახრილი. შარშანდელი აპრილის ცნობილი მიწისძვრის შემდეგ ერთსართულიანი შენობის ავარიულობის ხარისხი კიდევ უფრო დამძიმდა. ნატო ქართველიშვილი ირწმუნება, რომ სპეციალური კომისიის დასკვნით, ისტორიულ სახლს მესამე კატეგორიის დაზიანების ხარისხი მიანიჭეს. **"სახლი, კარგა ხანია, დასანგრევია. მის გამაგრებას აზრი არ აქვს, აღდგენას არ ექვემდებარება, დღითიდღე საცხოვრებლად საშიში ხდება. ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუკი ერთ დღესაც ჭერი თავზე დაგვემხობა?"** - კითხულობს ნატო ქართველიშვილი.

ქართველიშვილების საგვარეულო სახლიდან, დაახლოებით, სამი მეტრის მოშორებით ოთხსართულიანი, ასევე, ავარიული საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობს. კორპუსის მობინადრეთა უმრავლესობა შენობიდან სასწრაფოდ გაყვანას და ახალი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას მოითხოვს. მათი განცხადებით, რამდენიმე წლის წინათ არასწორედ მიშენებულმა ლოჯებმა კორპუსის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ოთახებში ბზარების რაოდენობა დღითიდღე იზრდებაო, - წუწუნებენ ავარიული სახლის მაცხოვრებლები. ავარიული კორპუსისთვის მერიის შესაბამის სამსახურს ჯერ არ სცალია და კიდევ რამდენიმე წელს ვერ მოიცლის. თავის გადასარჩენად გამოსავლის მოძებნა მეზობლებმა თავად დაიწყეს. სამშენებლო კომპანია "თეთრი შველი" მზად არის, დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნები, საკუთარი კომერციული ინტერესების გათვალისწინებით, სიამოვნებით დააკმაყოფილოს. სამშენებლო კომპანიისა და ღამბაშიძის №3-ის მაცხოვრებლების ინტერესების დაკმაყოფილებას ერთი მაღალსართულიანი კორპუსი არ ყოფნის. ამიტომ შპს "თეთრი შველი" ეზოში ორი - შვიდი და ცხრასართულიანი კორპუსის აშენებას აპირებს.

ყველაფერი, ალბათ, "ჰეფი ენდით" დამთავრდებოდა, მეზობელი კორპუსის - ღამბაშიძის №1-ის, მაცხოვრებლებს განგაში რომ არ აეტეხათ.

ღამბაშიძის №3 და №1 ერთი პატარა საერთო ეზო აქვთ. №1 ბინადარნი ამბობენ, რომ ეზოში ერთდროულად ორი მაღალსართულიანი სახლის აშენება ჰაერისა და მზის სხივების უკმარისობას გამოიწვევს. **"გარდა ამისა, ბავშვებს აღარ ექნებათ სათამაშო მოედანი; ამას ვინ ჩივის - ეზოში სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად ჩამოსვლასაც ვერ შევძლებთ. ესეც რომ არ იყოს, ნადგურდება ისტორიული - ქართველიშვილების სახლი",** - შემოგვჩივლეს ღამბაშიძის №1-ის მეზობლებმა.

საჩივარი, განცხადება, წერილი თუ თხოვნა მეზობლებმა სხვადასხვა უწყებებში საჩქაროდ აფრინეს, თანაც - არაერთი. დედაქალაქის საკრებულოს, არქიტექტურის საქალაქო სამსახურსა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს დახმარებისთვის რამდენჯერმე მიმართეს.

ერთადერთი საიდანაც მომჩივანებმა, ასე თუ ისე, მათთვის დამაიმედებელი პასუხი მიიღეს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი იყო. ხსენებული სამსახურის სპეციალურმა კომისიამ სადავო ადგილის დეტალური დათვალიერების შემდეგ დაასკვნა, რომ **"შენობის (საუბარია ქართველიშვილების ისტორიულ სახლზე) დანგრევა და ჩამოყალიბებულ სივრცულ-გეგმარებით კომპოზიციაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია - ეს დაარღვევს ეზოს სტრუქტურას; ირგვლივ არსებული სახლებისა და სკოლის ეკოლოგიურ გარემოს; მათ ნორმალურ ინსოლაციას და გააუარესებს ელემენტარულ სასიცოცხლო პირობებს",** - ასე წერია ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უძრავ ძეგლთა სამმართველოს სპეციალისტების დასკვნაში.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ ამ უბანში, მით უმეტეს, ამ პატარა ქუჩაზე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას მოქმედი კანონმდებლობა კატეგორიულად კრძალავს. მიუხედავად ამისა, ღამბაშიძის №1-ის მაცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ ახალი მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებით დაინტერესებული მეზობლები სამშენებლო კომპანია "თეთრ შველთან" მაინც აწარმოებენ მოლაპარაკებას.

დღეს სამშენებლო კომპანია "თეთრი შველი" საცხოვრებელი კორპუსების პროექტებზე აქტიურად მუშაობს. კომპანიის ხელმძღვანელის განცხადებით, ისინი უახლოეს თვეებში დასრულებულ პროექტს არქიტექტურის საქალაქო სამსახურს წარუდგენენ შესათანხმებლად.



ეზო "განაჩენს" ელოდება.

## ბელგიაში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

ბელგიის ფედერალურმა პოლიციამ კონტრაფაქციული პროდუქციის რეალიზაციის ბრალდებით 7-კაციანი კრიმინალური დაჯგუფება დააკავა. დაკავებულთა შორის სამი – საქართველოს მოქალაქეა. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის პაატა მსხილაძის ინფორმაციით, ბელგიელი სამართალდამცველებისგან მათ უკვე მიიღეს დახმარების თხოვნა დაკავებული პირების ვინაობის დადგენასა და შესწავლასთან დაკავშირებით. თუმცა, პაატა მსხილაძე დაკავებულთა ვინაობას და საქმესთან დაკავშირებულ სხვა დეტალებს არ აკონკრეტებს. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის განცხადებით, ბელგიელმა სამართალდამცველებმა მათ მიმართეს თხოვნით, დაიცვან ადამიანის უფლებები და საქმის დეტალები, ჯერჯერობით, არ გაახმაურონ.

თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ბელგის პოლიციამ აღნიშნული დაჯგუფების შვიდივე წევრი დოკუმენტების გაყალბებაში, გადასახადების თავის არიდებასა და ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა. გარდა ამისა, დაკავებულებისგან ამოღებულია 1 მილიონი ევროს ღირებულების 330 ტონა კონტრაფაქციული ტვირთი. ბელგიის პოლიციის მონაცემებით, დანაშაულებრივი ჯგუფი დაკავებული იყო ყალბი მობილური ტელეფონების დიდი პარტიის ჩინეთიდან იმპორტით. პროდუქციის რეალიზაციას ისინი ბელგიისა და ესპანეთის ტერიტორიაზე ეწეოდნენ. ბელგიელი კანონდამცველების ინფორმაციით, დაკავებულთა მიერ ბელგიისათვის მიყენებულმა ზარალმა 12 მილიონ ევროს მიაღწია.

დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს ბელგიაში გაასამართლებენ და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება პატიმართა ხარჯებით მათი საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდეს. თუმცა, როგორც პაატა მსხილაძე აცხადებს, ევროპის მთელი რიგი ქვეყნები საკუთარი ხარჯებით ახორციელებენ მათ ტერიტორიაზე დაკავებულ ქართველ კრიმინალთა საქართველოში ექსტრადიციას. ამის მიზეზია ქართველი პატიმრების მიერ ევროპის ქვეყნების ციხეებში "შავი სამყაროს" კანონების დამკვიდრება. მსგავსი ფაქტი საქართველოს გენერალურ პროკურატურას ამჟამადაც მოეპოვება. ჰოლანდიელი სამართალდამცველები მკვლელობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს მოქალაქის დაუყოვნებლივ ექსტრადიციას ითხოვენ და ეტაპირების ხარჯებს თავად იხდიან.

*24 საათი*

### მოკლედ

## კარიბის ზღვაში ორი ტონა კოკაინი დააკავეს

ერთობლივი პოლიციური რაუნდის ჩატარების შედეგად კარიბის ზღვაში ორი ტონა კოკაინის დაკავება მოხერხდა. ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო-საზღვაო ნაღმოსანი კარგა ხანი კვალში ედგა კონტრაბანდისტების გემს, რომელმაც კოლუმბიის ტერიტორიულ წყლებს შეაფარა თავი, თუმცა მანამდე წყალში ერთი ტონა კოკაინის გადაგდება მოასწრო. მოგვიანებით, კოლუმბიელმა სამართალდამცველებმა მიტოვებულ გემზე კიდევ ერთი ტონა ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩინეს. ოპერაციაში, ბრიტანელების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჰოლანდიის პოლიციის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ.

## კრიმინალური პოლიციის უფროსმა ბიზნესმენი გაძარცვის მიზნით მოკლა

ნოვოსიბირსკში ბურიატიის რესპუბლიკის ერთ-ერთი რაიონის კრიმინალური მილიციის უფროსი დააკავეს. მას ბრალად ედება მეწარმის მკვლელობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მილიციის ჩინოსანმა მკვლელობა მაშინ ჩაიდინა, როდესაც მივლინებაში იმყოფებოდა. როგორც გაირკვა, დაკავებული ნოვოსიბირსკის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში ჩაუსაფრდა ბურიატიიდან ჩასულ 45 წლის მეწარმეს და მეტალის მილის გადანაჭერი რამდენჯერმე ჩაარტყა თავში. ამის შემდეგ კრიმინალური მილიციის უფროსმა დაღუპულს ჯიბიდან ამოაცალა ფული - ერთი მილიონი რუბლი და მიიმალა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული კარგად იცნობდა მოკლულ კომერსანტს და იცოდა, რომ იგი ხშირად ჩადიოდა ნოვოსიბირსკში საქონლის შესაძენად, ამიტომ მას თან ჰქონდა მსხვილი თანხა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულ მილიციელს ნაძარცვი თანხა უპოვეს, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს. ბურიატის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გადაიგზავნა ცნობა ნოვოსიბირსკში კრიმინალური მილიციის უფროსის დაპატიმრების შესახებ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ორი დღის წინ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს ლევან ქადაგიშვილი და დავით მჭედლიშვილი. როგორც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურში განაცხადეს, დაკავებულებს ბრალად ედებათ ტაქსის მძღოლზე ყაჩაღური თავდასხმა. წინასწარი ინფორმაციით, ისინი წურწუმიას ქუჩაზე ტაქსის მძღოლს - დავით შიოშვილს ავტომანქანაში ჩაუსხდნენ და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 30 ლარი და მობილური ტელეფონი გასტაცეს. არჩევნების გამო ქუჩაში ბევრი პოლიციელი იყო და თავდასხმაში ეჭვმიტანილთა დაკავება შემთხვევიდან რამდენიმე წუთში მოხერხდა. დაკავებულებს პისტოლეტი „ვოლტრა" და ნაძარცვი ჩამოართვეს. ამ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1 ნოემბერს 17 წლის იოსებ ბლიაძე მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის" ვესტიბიულში მეტროპოლიტენის პოლიციამ ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით დააკავა. არასრულწლოვანს ბრალად ედება 22 წლის ივანე გაბუნიას დაჭრა ხელის არეში. წინასწარი ინფორმაციით, ბლიაძემ გაბუნია ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დაჭრა. საქმეს ტრანსპორტის პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

# რას ემსახურებოდა არჩევნების დღეს პოლიცია

*რით იყო დაკავებული საქართველოს პოლიცია არჩევნების დღეს – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით თუ ხმათა რაოდენობით სახელისუფლებო ბლოკის უზრუნველყოფით?*
*მთელი საქართველოს მასშტაბით საარჩევნო უბნების დარბევების, საარჩევნო ყუთების გატაცების, საარჩევნო უბნებს შიგნით თუ სიახლოვეს ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებს თუ დავთვლით, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე რთული ხდება.*



პოლიცია სახელისუფლებო ბლოკს ხმების დაგროვებაში ამ არჩევნებშიც წარმატებით დაეხმარა.

სოფიკო ჩხაიძე

დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ პოლიციამ არჩევნების დღეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ანუ წესრიგის დაცვას თავი ვერ გაართვა, ხოლო როგორ შეასრულეს მათ მოქალაქეობრივი ვალი და იყო თუ არა მათი არჩევანი ნებაყოფლობითი, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად გადაწყდა, რომ საარჩევნოდ პოლიციის ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, მათთვის ცალკე უბნები გახსნილიყო, სადაც მხოლოდ სამართალდამცველები (პოლიციისა და უშიშროების ორგანოების თანამშრომლები) მიიღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას. მოგვიანებით, ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და ძალოვნები ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებს მიამაგრეს, ოღონდ არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასე და ამგვარად, ფაქტობრივად, ნულამდე დაივიდა შესაძლებლობა იმისა, რომ ვინმემ გაარკვიოს, იყო თუ არა პოლიციელთა და იმავე უშიშროების თანამშრომელთა არჩევანი ზეწოლის შედეგად გაკეთებული, ანუ მასობრივად ერთი მიმართულების პოლიტიკური სიმპათიების გამომხატველი.

არჩევნებში პოლიციელთა მონაწილეობასთან დაკავშირებული მეორე გადაწყვეტილება კი, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1 ნოემბერს, ღამით მიიღო, სახელისუფლებო ბლოკის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, პოლიციას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ხმას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ აძლევს, მაჟორიტარი კანდიდატებისთვის ხმის მიცემის უფლება მიეცა.

**"ხელისუფლებამ კარგად იცის, როგორ გამოიყენოს არჩევნებზე პოლიცია,"** - განაცხადა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით "სამართლიანი არჩევნების" საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა თამარ ჟვანიამ. მისივე თქმით, **"ხელისუფლება ასე ცდილობს, მათთვის სასურველ კანდიდატებს არჩევნებში გამარჯვება მოაპოვებინოს."**

საქართველოში პოლიციის 30 ათასი თანამშრომელია, აქედან 4 ათასი – თბილისში. დედაქალაქის პოლიციელები 12 საარჩევნო უბანზე იყვნენ მიმაგრებულნი, ანუ თითოეულზე - 300-ზე მეტი. სხვათა შორის, ამ უბნებზე მათი ერთობლივად გამოჩენა ხშირ შემთხვევაში გაუგებრობას იწვევდა. ასე მოხდა ჩუღურეთის რაიონის მე-14 უბანზე, სადაც ასობით პოლიციელის გამოჩენა სერიოზული არეულობის მიზეზად იქცა. იგივე მოხდა ქუთაისში, სადაც ერთ-ერთ უბანში 700-მდე პოლიციელი მივიდა. ამასთან, თითქმის არც ერთი მათგანი ქუთაისელი არ იყო. "სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციით, პოლიციელების მიერ ხმის მიცემის პროცესში დარღვევებს ჰქონდა ადგილი ვანში, კერძოდ, მე-3 საარჩევნო უბანზე, სადაც პოლიციელები ხმას აძლევდნენ პოლიციელის მოწმობით და მათი მარკირება არ ხდებოდა. სხვათა შორის, პირველი ინფორმაცია პოლიციელთა მიერ მარკირებაზე უარის თქმის შესახებ სვანეთიდან გავრცელდა. სვანმა პოლიციელებმა პირველებმა განაცხადეს უარი მარკირებაზე. თბილისში იგივეს განმეორებამ "სამართლიანი არჩევნების" ეჭვი გამოიწვია: **"ხელისუფლებამ "კარუსელის" დასატრიალებლად ამომრჩეველი ვეღარ იპოვა და ამჯერად საამისოდ პოლიციას იყენებს. დაფიქსირდა რამდენიმე ავტომანქანა, რომლითაც პოლიციელები მოძრაობდნენ და "კარუსელში" იღებდნენ მონაწილეობას,"** - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც პოლიციელთა "კარუსელში" ჩართვას "ხელისუფლების მხრიდან ძალადობის განხორციელებას" უწოდებს.

თვით შინაგან საქმეთა მინისტრი კატეგორიულად უარყოფს პოლიციელთა მიერ მარკირებაზე უარის თქმისა და მათი "კარუსელებში" მონაწილეობის ფაქტს.

**"რამდენიმე უბანზე კი არა, ბევრმა პოლიციელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო მოქალაქეობრივი ვალი ვერ მოიხადა და არჩევნებში საერთოდ ვერ მიიღო მონაწილეობა"**, - განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

სხვათა შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში არჩევნების დღეს ცხელი ხაზი მოქმედებდა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო შსს-ს შესაბამისი სამსახურებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია არა მარტო ამა თუ იმ უბანზე არსებული უწესრიგობის, არამედ პოლიციელთა თვითნებობის შესახებაც. არ იქნება გასაკვირი, თუ გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, პოლიციელთა თვითნებობის შესახებ ცხელ ხაზზე არც ერთი შეტყობინება არ შესულა.

და ბოლოს, 2 ნოემბერს საკუთარი თავი საარჩევნო სიებში პოლიციელებმაც ვერ იპოვეს. უფრო ზუსტად, საბურთალოს საარჩევნო ოლქის 33-ე უბანზე მიმაგრებულმა სამართალდამცველებმა სპეცსიებს საერთოდ ვერ მიაგნეს. საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობით, სიები, რომლებითაც სპეცსამსახურების თანამშრომლებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, მოპარული აღმოჩნდა.

# საქმეები, რომლებითაც პროკურატურა თავის მოწონებას აპირებს

*მოვიდა დრო, როცა პროკურატურამ წინასაარჩევნო დაპირებები საქმით უნდა დაამტკიცოს; მით უმეტეს, რომ გენერალური პროკურორის მიერ პრეზიდენტისა და მაღალჩინოსნებისთვის მიცემული სიტყვა - არჩევნების პროცესში დაშვებულ ყველა კანონდარღვევას შესაბამის რეაგირებას მივცემთო, გუშინ ქვეყნის პირველმა პირმაც გაიხსენა თავის რადიოინტერვიუში.*
*"საარჩევნო სიებში, ცესკო-ს დროული გადაწყვეტილებების მიუხედავად, უზუსტობები მაინც არსებობდა და ეს ფაქტია. რაც შეეხება სხვადასხვა საარჩევნო უბანზე მომხდარ ძალადობისა (მათ შორის - დეპუტატობის კანდიდატების მხრიდან) და მოსყიდვის ფაქტებს, ამასთან დაკავშირებით პროკურატურა თავის სიტყვას იტყვის". – განაცხადა შევარდნაძემ.*


საარჩევნო კომისიის ნაცემი წევრი სიმართლის დადგენას ითხოვს.

თამარ კაციტაძე

რომელი ფაქტები მოხვდება პროკურატურის ყურადღების ცენტრში, ან რამდენად ობიექტურად ჩატარდება და დასრულდება საარჩევნოდ გამოვლენილ დარღვევებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი ფაქტია, საქართველოს პროკურატურებში უკვე დაფიქსირებულია ათობით კანონდარღვევა, რომლებზეც სამართალდამცველები აქტიურად მუშაობენ და პრეზიდენტისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად სტატისტიკას ამზადებენ, თუმცა სხვა ამბავია, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება "დოსიეში" მოხვედრილი საქმეები.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ყველაზე დიდი პრობლემა საარჩევნო სიები (კანონის ენით, გაყალბებული სიები) იყო, პროკურატურაში ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. სამაგიეროდ, პროკურატურებში არსებულ საქმეებში უხვად მოიძებნება მასალა საარჩევნო ურნების დამტვრევასა და განადგურებაზე.

თბილისში ასეთი ფაქტები მხოლოდ ორ რაიონში დაფიქსირდა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე ვინმე ნოდარ ქაშიბაძეზე, რომლემაც ერთ-ერთ უბანში საარჩევნო ყუთი დაამტვრია. ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურაში კი არჩევნებისთვის ხელის შეშლის რამდენიმე ფაქტზე დაიწყეს მოკვლევა.

საარჩევნო დანაშაულების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონები. რუსთავში სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა №9 საარჩევნო უბნის დარბევის ფაქტზე. პირთა ჯგუფმა დაამტვრია საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდა. დამნაშავეებს პოლიცია, ჯერჯერობით, უშედეგოდ ეძებს. ასევე დაუდგენელია ის პიროვნებაც, რომელმაც არჩევნების წინა დღეს რუსთავის საარჩევნო ოლქის თავჯდომარეს მამუკა მუმლაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით არის აღძრული. რუსთავის პროკურატურა მოკვლევას ატარებს საარჩევნო უბნებში მომხდარ კიდევ რამდენიმე შემთხვევაზე. მოკვლევა მიმდინარეობს დმანისში საარჩევნო ყუთის გატაცებისა და ბიულეტენების განადგურების ფაქტზეც.

იმერეთში საარჩევნო ციებცხელება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. ჯერ იყო და, დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატს დავით მუმლაძეს სახლში ხელყუმბარა შეუგდეს, მოგვიანებით კი, ვანში, ვინმე ხურციძის ბინა რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა ავტომატებით დაცხრილა. ეს ფაქტიც არჩევნებს უკავშირდება, თუმცა, ჯერჯერობით, არც ერთი საქმე გახსნილი არ არის. არჩევნებს უკავშირდება ჭიათურელი გოგსაძის რამდენიმე დღიანი გატაცებაც, რისიც იქაურ სამართალდამცველებს ნაკლებად სჯერათ, თუმცა წინასწარი საგამოძიებო მოქმედებები ამ ფაქტზეც მიმდინარეობს.

რაც შეეხება უშუალოდ არჩევნების დღეს მომხდარ დანაშაულებს: მოკვლევა მიმდინარეობს სამტრედიის ერთ-ერთი უბნიდან საარჩევნო ყუთის გატაცების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ბაღდადის ერთ-ერთ უბანში არჩევნების ჩაშლის და გამგებლის მოადგილის ცემის გამო. ორივე შემთხვევაში დანაშაულის კვალი დეპუტატობის კანდიდატის - მსხვილიძის მხარდამჭერებისაკენ მიდის. იმერეთის პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის ვარაუდით, სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება ჭიათურის საარჩევნო უბნიდან "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლის გამოგდების ფაქტზე. მართალია, საარჩევნო უბანში ავტომატიანი ხალხი შეცვივდა, მაგრამ სროლა არ მომხდარა, ამიტომ შეიარაღებულ ხალხს სამართალდამცველები ადმინისტრაციულ სახდელს აკმარებენ.

სხვათა შორის, იმერეთის რეგიონი ერთადერთია, სადაც, საკანონმდებლო ხარვეზის მიუხედავად, ამომრჩევლების მოსყიდვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თუმცა, როგორ დასრულდება აღნიშნული საქმე, ეს, ალბათ, სასამართლო ხელისუფლების გამბედაობაზეც იქნება დამოკიდებული.

იმის გამო, რომ საარჩევნო სიებში შეყვანილი არ იყო ასობით ადამიანი, არჩევნები ჩაიშალა გორის რაიონის შემდეგ სოფლებში - ზერტი, ქვახვრელი და ბნავისი. მოკვლევას გორის პროკურატურა აწარმოებს.

მოკვლევა მიმდინარეობს ახმეტის რაიონის პროკურატურაშიც. არჩევნების დღეს სოფელ ომალოში რამდენიმე საათით დააკავეს ზაზა ბერიკაშვილი, ხოლო სოფელ მაღრაანში - ხარება ფარულიძე. სამართალდამცველების თქმით, ისინი კომისიის წევრებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და არჩევნების ჩაშლას ცდილობდნენ. სხვა რაიმე სახის დარღვევა კახეთის რეგიონში არჩევნების დღეს არ დაფიქსირებულა.

კანონდარღვევის სამი შემთხვევაა რეგისტრირებული სამეგრელოში. საარჩევნო ყუთები განადგურდა ჩხოროწყუს, მარტვილისა და წალენჯიხის თითო უბანში. სხვათა შორის, ჩხოროწყუში ურნა თავად კომისიის წევრების კონფლიქტის დროს დაიმტვრა.

მოკვლევა გრძელდება მცხეთაში, სადაც მუხრანისა და ქსოვრისის საარჩევნო უბნები დაარბიეს. მართალია, სისხლის სამართლის საქმეები არჩევნების დღესვე აღიძრა, მაგრამ ეჭვმიტანილები, ჯერჯერობით, არ გამოკვეთილან.

არჩევნების მსვლელობის დროს არანაირი დანაშაული არ დაუფიქსირებიათ რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურატურებს. სამაგიეროდ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა ცხინვალის პროკურატურამ. ლიახვის ხეობაში, სოფელ ხეითში, 50-მდე ადგილობრივი მოსახლე, რომელიც საარჩვენო სიებში არ იყო შეყვანილი, კომისიის წევრებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას სთხოვდა. მათ უარი მიიღეს. გაბრაზებულმა მოსახლეობამ საარჩევნო ყუთი გაიტაცა და ბიულეტენები დაწვა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით – არჩევნებისთვის ხელის შეშლის და არჩევნების ჩაშლის მუხლებით აღიძრა.

მოკლედ, ეს ის საქმეებია, რომლებიც დღეს საქართველოს პროკურატურებში დევს და რომლებითაც სამართალდამცველები ქვეყნის პრეზიდენტთან თავის მოწონებას ეცდებიან. არჩევნების პროცესში მომხდარი მთავარი დანაშაულები კი სიაში, ალბათ, საერთოდ არ მოხვდება, თუმცა, ისინი შევარდნაძეს მაინც არ აინტერესებს.

# აჭარაში დამკვირვებელი უკანონოდ დააკავეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციების - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელთა აქტიური ჩარევის მიუხედავად, გუშინ გვიანობამდე კიდევ გაურკვეველი იყო არჩევნების დღეს, აჭარაში დაკავებული "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებლის გიორგი მშვენიერაძის საკითხი.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელი გიორგი მშვენიერაძე ქობულეთის პოლიციამ N84 საარჩევნო ოლქის სოფელ დაგვის N23 უბანზე დააკავა, როცა იგი დამკვირვებლის მოვალეობას ასრულებდა.

**"მშვენიერაძე საარჩევნო უბანზე წესრიგს იცავდა და კომისიის წევრებისგან კენჭისყრის ჩატარებას საარჩევნო კანონის სრული დაცვით მოითხოვდა. პოლიციამ ის რამდენჯერმე გაიყვანა სარჩევნო უბნიდან და ურჩია, არ ჩარეულიყო საარჩევნო პროცესში, თუმცა სამართალდამცველებს არაფერი გამოუვიდათ და გადაწყვიტეს, მშვენიერაძე დაკავების გზით ჩამოეშორებინათ. ეს ადამიანი ასრულებდა თავის მოვალეობას. არ აწყობდათ მისი იქ ყოფნა და ამიტომაც მოხდა დამკვირვებელზე თავდასხმა. სამოქალაქო ფორმაში გადაცმული აჭარელი პოლიციელები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მოგვიანებით კი, ქუჩაში გააჩერეს და დააპატიმრეს"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა გიორგი ჩხეიძემ.

დაკავებულის კოლეგები აცხადებენ, რომ მშვენიერაძე უკანონოდ დააკავეს და არც იმის იმედი აქვთ, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება. პროკურატურამ დაკავებული დამკვირვებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არჩევნებისათვის ხელის შეშლის მუხლით აღძრა, რაც ჯარიმას ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩვენი ინფორმაციით, გიორგი მშვენიერაძე ჯერ კიდევ ქობულეთის პოლიციის განყოფილებაში იმყოფება. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" მშვენიერაძის მიმართ აღძრულ საქმესთან დაკავშირებული საბუთები მოითხოვა და მისი ადვოკატი მუშაობას უკვე შეუდგა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აჭარელმა სამართალდამცველებმა ადვოკატს დაცვის ქვეშ მყოფის მონახულების უფლება მისცეს.

**"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა აღვკვეთოთ უკანონობა. ვერ ვენდობით აჭარაში მოღვაწე სამართალდამცველების მიერ გამოძიებულ საქმეს. გამორიცხულია, ის ობიექტური იყოს. რომელ ობიექტურ გამოძიებაზეა საუბარი, როცა გიორგი მშვენიერაძე უკანონოდ დააკავეს. კანონი სამართალდამცველებმა თავად დაარღვიეს"**, - განაცხადეს ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებმა.

# შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ტყუილი აღმოჩნდა

2 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწყობილ საგანგებო ბრიფინგზე კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ სამართალდამცველების ხელთ არსებული არაერთი ოპერატიული ინფორმაციით, არჩევნების დღეს ქვეყანაში სერიოზული არეულობა და დესტაბილიზაცია იგეგმებოდა. ეს მოსაზრება ნარჩემაშვილმა გაამყარა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, 2 ნოემბრის საღამოს, ყუმბარმტყორცნებით, ავტომატებითა და სხვა სახის იარაღით აღჭურვილი ორი პიროვნების დაკავების ფაქტით. თუმცა, ეს ინფორმაცია გუშინ სამეგრელოს პოლიციამ თავადვე გააბათილა.

ვინ მიაწოდა შინაგან საქმეთა მინისტრს ცრუ ინფორმაცია, ამის შესახებ სამართალდამცველები ვერაფერს ამბობენ. აღნიშნავენ მხოლოდ იმას, რომ დარჩელში გაუგებრობის გამო დაკავებულ ორ პიროვნებას, რომელთაგან ერთ-ერთი გახლდათ აფხაზეთის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თანათავმჯდომარე რუზგენ გოგოხია, არანაირი იარაღი არ ჰქონია და არც რაიმე დანაშაული ჩაუდენია.

"რუზგენ გოგოხია და მისი თანმხლები მანქანით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდნენ, სრულიად შემთხვევით ისინი თბილისიდან ჩამოყვანილი სპეცრაზმის წევრების ახლოს აღმოჩნდნენ. სპეცრაზმელებმა ისინი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის გამო გააჩერეს და პოლიციაში წარმოგვიდგინეს. რომელ ყუმბარმტყორცნებზე და ავტომატებზეა საუბარი, რუზგენ გოგოხიას და მის ახლობელს არანაირი იარაღი არ ჰქონიათ და არც რამე დანაშაულში ყოფილან ეჭვმიტანილები, ამიტომ ისინი უპრობლემოდ, მაშინვე გავათავისუფლეთ", - განაცხადეს "24 საათთან" საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა.

ერთი სიტყვით, მინისტრის მიერ არჩევნების დღეს გავრცელებული ინფორმაცია ტყუილი აღმოჩნდა.

*24 საათი*

# აფხაზმა სეპარატისტებმა ზუგდიდელი მძევალი გაათავისუფლეს

გუშინ აფხაზმა სეპარატისტებმა მძევლად მყოფი ქართველი, სექტემბერში ზუგდიდიდან გატაცებული როლანდ ჩანგელია გაათავისუფლეს. გათავისუფლების დეტალები გუშინ მთელი დღის განმავლობაში უცნობი იყო. რისი გაგებაც ჩვენ შევძელით, მხოლოდ ის გახლავთ, რომ გათავისუფლება უხმაუროდ მოხდა – აფხაზმა სეპარატისტებმა ჩანგელია ენგურის ხიდამდე მიიყვანეს, იქ დატოვეს და სახლში წასვლის უფლება მისცეს. რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მძევლის გათავისუფლება გამოსასყიდი თანხის გადახდის გარეშე მოხდა, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ერთადერთი ინფორმაცია, რაც გუშინ ზუგდიდელი სამართალდამცველებისგან შევიტყვეთ, მხოლოდ ის გახლდათ, რომ მძევალში ოჯახს ფული არ გადაუხდია (შეგახსენებთ, როლანდ ჩანგელიას გათავისუფლების სანაცვლოდ აფხაზი კრიმინალი ვალმერ ბუთბა 80 ათას დოლარს ითხოვდა).

"ერთი დღე მაინც ვაცალოთ ყოფილ მძევალს სახლში, ოჯახში ყოფნა. ხვალ მას დეტალურად დავკითხავთ და ყველაფერი ცნობილი გახდება", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილემ მებრძოლი ჭკადუამ.

როლანდ ჩანგელიას გათავისუფლების დეტალები და ის, თუ რისთვის ჰყავდა აფხაზ ბოევიკს იგი მძევლად ორი თვის განმავლობაში, დღეს გახდება ცნობილი.

*24 საათი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვისათითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
■ საოფისე პროგრამები (Word, Excel),
■ Windows,
■ მულტიმედია,
■ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: წერეთლის 223.

## ეს აღარ უნდა განმეორდეს!

პირველი გვერდიდან

იმან, რაც გუშინ მოხდა, ჩვენ ძალზე შეგვაშფოთა. ჩვენ გვინდა ვითანამშრომლოთ თქვენთან არა მხოლოდ საარჩევნო დემოკრატიის შექმნაში, არამედ ბევრი სხვა პრობლემის გადაწყვეტაშიც.

მაგრამ, ამ ქვეყნისათვის ძირითადი გამოცდა ის იქნება, ისწავლის თუ არა ჭკუას ეს ქვეყანა და მისი მთავრობა გუშინდელი დღის შემდეგ. როგორც მე და ჩემმა კოლეგებმა ვთქვით, ჩვენ ვიცით, როდის იქნება შემდეგი არჩევნები. ახლავე უნდა გითხრათ, რომ ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იქნება, თუ არჩევნები ფუნდამენტურად არ გამოსწორდა. ჩვენ აღარ გავითვალისწინებთ იმ არგუმენტს, რასაც ასე ხშირად გვეუბნებიან, რომ დრო არ იყო საკმარისი.

შემდეგ არჩევნებამდე დრო საკმარისია: 18 თვე. იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა გაიგებს, რა უნდა გაკეთდეს არჩევნებამდე და ითანამშრომლებს ჩვენთან და ჩვენს კოლეგებთან არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

შემდეგ არჩევნებზე ხალხს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება და დარწმუნებული იყოს იმაში, რომ არჩევნების შედეგები სრულიად ასახავს ხალხის განწყობას.

**- შეიძლება თუ არა, დავასკვნათ: პრობლემები იმიტომ შეიქმნა, რომ მთავრობას ასე სურდა?**

- იყო პრობლემების ფართო სპექტრი, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა გადაწყვეტილიყო. როდესაც ჩვენ ამ საკითხებს საპარლამენტო ასამბლეაზე განვიხილავთ, ამ საკითხს იქ აუცილებლად შევეხებით, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა.

**- თუ შეიძლება, რომ ასეთ არაპოპულარულ მთავრობას საარჩევნო პრობლემების მოგვარება უნდოდეს?**

- როგორც ჩემმა კოლეგამ ბრუს ჯორჯმა განაცხადა, ჩვენ იმედი გვაქვს, ამ მთავრობას ესმის, რომ სახელმწიფო ინტერესები მათ პირად ინტერესებზე მაღლა დგას. ევროპის საბჭო დაჟინებით ეცდება, აუხსნას ეს იმ დელეგაციას, რომელსაც საქართველო გამოგზავნის.

## „ამორალური არჩევნები" ქუთაისში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

წინასაარჩევნო ვითარება ქუთაისში არჩევნების მეორე დღესაც მეტად დაძაბული გახლდათ. არჩევნების გასაყალბებლად "სახელისუფლებო მანქანა" განსაკუთრებით 3 ნოემბერის გამთენიის 2-3 საათიდან გააქტიურდა. მანამდე კი ქუთაისის საოლქო კომისიაში შესული 10 საარჩევნო უბნის მონაცემების მიხედვით, ყველა უბანში ნინო ბურჯანაძე ლიდერობდა. ხმათა შეფარდება მის ძირითად კონკურენტ დოდო შელიასთან თითქმის ორი-ერთზე იყო. დილით კი აღნიშნული მონაცემები რადიკალურად შეიცვალა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საუბნო კომისიების ხელმძღვანელებს ხელისუფლებიდან დაუკავშირდნენ და საოლქო კომისიებში მონაცემების გადაგზავნის დაყოვნება სთხოვეს. "სახელისუფლებო ბლოკის შტაბის წევრები უბნებში მთელი ღამის განმავლობაში დადიოდნენ, გადაჰქონდათ ყალბი ბიულეტენები, ცდილობდნენ, ისინი ყუთებში რაც შეიძლება ბევრი ჩაეყარათ. 3 ნოემბრის დილამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ამოცანას მათ წარმატებით გაართვეს თავი," - აცხადებდნენ გუშინ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ოფისში.

რა მოხდა შუაღამის შემდეგ სახელისუფლებო ბლოკის ქუთაისის ორგანიზაციაში? "24 საათის" ინკოგნიტო რესპოდენტი იუწყება, რომ ოპოზიციის დიდი უპირატესობით გამარჯვებაში დარწმუნებულმა საქართველოს ხელისუფლებამ, ქუთაისის სახელისუფლებო ბლოკის შტაბის ხელმძღვანელზე, ნუგზარ ფალიანზე, ინტენსიური ზეწოლა განახორციელა. თავის მხრივ დოდო შელიასაც მშვიდი და სათნო იმიჯი უეცრად შეცვლია და ნუგზარ ფალიანისგან მასაც მკაცრად მოუთხოვია არსებული მონაცების კარდინალურად შეცვლა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პირველი მასიური გაყლბების შესახებ ფაქტები ღამის 2-3 საათიდან დაფიქსირდა. მაგალითად, დევნილებით დაკომპლექტებულ კოპიტნარის დასახლებაში "ბურჯანაძე-დემოკრატების" მონაცემებით 700 ამომრჩეველია რეგისტრირებული. შელიას კი რატომღაც 750-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა(?!). ილია მანდარიას სახელობის სტამბაში განთავსებულ უბანში კი ხმის დათვლის დროს დამკვირვებლები ოთახიდან მხოლოდ იმ მოტივით გამოყარეს, რომ თურმე სივიწროვე ყოფილა(?!). "24 საათთან" საუბრისას ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღწერა, თუ როგორ აყალბებდნენ აღნიშნულ უბანში არჩევნებს: "წესით ბიულეტენები დიდ ოთახში უნდა დაეთვალათ, მაგრამ მოიმიზეზეს, აქ სიცივეაო და პატარა ოთახში გადავიდნენ. იქ კი მაგიდის ირგვლივ მჭიდროდ განლაგდნენ და უჯრებიდან დიდი რაოდენობით ყალბი ბიულეტენები საარჩევნო ყუთის ბიულეტენებს შეურიეს. როდესაც ეს ფაქტი დავაფიქსირე, მუჯლუგუნი მკრეს და გარეთ გამომაგდეს.. მე პირადად ისტორიკოსი ვარ და ვიფიქრე, ხელფასის სახით კიდევ ორ კაპიკს გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ ასეთი ბინძური ფული მე არ მჭირდება," - განაცხადა აღნიშნულმა ქალბატონმა და საარჩევნო უბანი პროტესტის ნიშნად დატოვა. "მანდარიას სტამბაში" მიმდინარე პროცესებს ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" ქუთაისის შტაბის უფროსი დათო კოსტავა ხელმძღვანელობდა.

3 ნოეზრის დილა განსაკუთრებული სიურპრიზი "ბურჯანაძე-დემოკრატებისთვის" აღმოჩნდა. ნინო ბურჯანაძის გამარჯვება, რომელიც წინა დღეს ეჭვს არ იწვევდა, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

გაყალბების კონკრეტული ფაქტები კი დილიდანვე ფიქსირდებოდა. მერვე საარჩევნო უბანზე, რომელიც ნიკეას დასახლებაშია განლაგებული, კომისიის თავჯდომარემ, რომელიც დიდი რაოდენობით ბიულეტენების ჩაყრაში გამოიჭირეს (აღნიშნულ უბაზნე დაახლოებით 300-მდე გამოცხადებული ამომრჩეველი იყო დაფიქსირებული, გაყალბების შემდეგ მათმა მაჩვენებელმა კი 1050-ს მიაღწია), ბიულეტინებიან ყუთს ხელი მოხვია და გაქცევა დააპირა. მას, რა თქმა უნდა, ხელი შეუშალეს, რის შემდეგაც პოლიცია მანვე გამოიძახა. სამართალდამცავებმა კომისიის თავმჯდომარე თავის ყუთიანად პოლიციის ავტომობილში ჩააჯინეს და ბიულეტენების ჩასაბარებლად საოლქო კომისიაში დაუპირეს წაყვანა. ავტომობილის ბლოკირება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა შეძლეს. ადგილზე მისულმა ჟურნალისტებმა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, პოლიციის ავტომობილში მყოფ თავმჯდომარესთან გასაუბრება მოისურვეს, თუმცა უშედეგოდ. სამართალდამცავები ყოველნაირად ცდილობდნენ მის იზოლირებას და იმას, რომ საარჩევნო ყუთი თავის თავმჯდომარიანად როგორმე საოლქო კომისიამდე მიეტანათ. აღნიშნულ პროცესს რატომღაც დასავლეთ საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი მიქაუტაძე ხემძღვანელობდა. უშიშროების კომპეტენციაში კი საარჩევნო ყუთის დაცვა სრულებით არ შედის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოხლოდ და მხოლოდ პოლიციის პრეროგატივაა. თუმცა, ეს არ არის არჩევნებში უშიშროების ირიბი ჩარევის ერთადერთი ფაქტი. ქუთაისში, აღნიშნული სამსახური, ამ საქმეში მეორედაც გაიშიფრა. "ბურჯანაძე-დემოკრატების" მხარდამჭერებმა ეჭვი მიიტანეს, რომ საოლქო კომისიის შენობის უკან მდებარე ოთახებში მყოფმა პირებმა შენობაში ყალბი ბიულეტენები შეიტანეს.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, აღნიშნულ ოთახებში შესვლა ჟურნალისტებმა მოახერხეს. ჩვენ ყალბი ბიულეტენები არა, მაგრამ სათვალთვალო ვიდეო-აპარატურა კი ნამდვილად დავაფიქსირეთ.

შუადღისთვის კი საოლქო კომისიაში რამდენიმე დაულუქავი ყუთი შემოვიდა, მათი პატრონის ვინაობა დღემდე ვერ გაარკვიეს. საოლქო კომისიაში დღის ბოლომდე ელოდნენ შვიდი საარჩევნო უბნის მონაცემებსაც, რომლებიც საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა. მაგალითად 77-ე უბნის ბიულეტენები "საოლქოს" მიმართულებით ღამის თორმეტი საათისთვის წამოიღეს და იქ კი დღემდე არ მიუტანიათ. ამავე პერიოდში გავრცელდა ხმა, რომ აღნიშნულ უბნებში ხელისუფლება დამატებით 1400 ყალბი ბიულეტენის ჩაგდებას აპირებდა.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში, საოლქო კომიისიის წინ "ბურჯანაძე-დემოკრატები" აქტიურობდნენ, მათ გარკვეული პერიოდი "აღორძინებაც" შეუერთდა. "ის, რაც ქუთაისში გუშინ და დღეს ფიქსირდება, ყოველგვარ ზღვარს სცდება, ასეთი ამორალური არჩევნები ქუთაისში არასდროს ყოფილა. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არჩევნები ყველა მისაღები და მიუღებელი გზით გაყალბოს. ჩვენი ბლოკი ამ უმსგავსობას მაქსიმალურ წინააღმდეგობას გაუწევს," - განაცხადა ჩვენთან სუაბრისას "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა გოგიტა გეგელაშვილმა. შუადღისას პრესკონფერენცია მოაწყო დოდო შელიამ. მან განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების მხრიდან მასიური გაყალბების გამო არჩევნებს მხოლოდ 600 ხმით აგებს. "24 საათმა" გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ შელიას იმ მომენტისთვის გამარჯვებისგან არა 600, არამედ 2800 ხმა აცილებდა. ამავე პერიოდში "ბურჯანაძე-დემოკრატები" საოლქო კომისიასთან დარჩენილი 7 უბნის მონაცემების მოსვლას ელიან. მათი განმარტებით, არჩევნების ბედს სწორედ ეს ყუთები გადაწყვეტს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ უბნებზე არჩევნები გაყალბდა, რის შემდეგადაც "ბურჯანაძე-დემოკრატების" მხარდამჭერებმა "საოლქოს" კარებთან პიკეტირება დაიწყეს. ისინი ცდილობდნენ, გაყალბებული ბიულეტენები საოლქო შენობაში არ შეეტანათ. წესრიგის დასაცავად სამართალდამცავებმა შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონი გამოიძახეს.

დღის ბოლოს, კი საოლქო კომისიის თავმჯდომარე კოტე თევდორაძე, ბოლოსდაბოლოს, ქუთაისის მაჟორიტარული არჩევნების წინასწარ შედეგებს საჯაროდ აცხადებს. "სულ ქუთაისში არჩევნებზე 37713 ადამიანი გამოცხადდა, ნინო ბურჯანაძემ მოაგროვა 14 398 ხმა, დოდო შელიამ 11 581 ხმა. ეს არის წინასწარი მონაცემები." მოგვიანებით გაირკვა, რომ კოტე თევდორაძე თანამდებობიდან გადადგა. მისი გადადგომის მიზეზად კი სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას ასახელებენ. თავად თევდორაძე ამ თემაზე გუშინ კომენტარს არ აკეთებდა.

# ხელისუფლება მიზნისკენ ჭიუტად მიიწევს

თამარ მჭედლიშვილი

*არჩევნებზე მისული ორი მილიონი ამომრჩეველი, სახელისუფლებო ბლოკის მიერ მოპოვებული მინიმუმ 350, მაქსიმუმ 400 ათასი ხმა და, მთლიანობაში, ოთხსუბიექტიანი პარლამენტი – ეს ის გეგმაა, რომელიც, ხელისუფლების ჩანაფიქრით, კენჭისყრის ჩატარებიდან არაუგვიანეს 18 დღის შემდეგ წარმატებით უნდა დასრულდეს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისი საბოლოო შემაჯამებელი ოქმით ახალი პარლამენტის სწორედ ასეთი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს.*

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ხელისუფლების სცენარით, ახალ პარლამენტში შევლენ ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", "ნაციონალური მოძრაობა", "ლეიბორისტული პარტია" და "აღორძინების კავშირი". თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებიან ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" და "ახალი მემარჯვენეები".

ის, რომ სახელისუფლებო ბლოკი პირველი იქნება, ამაში ეჭვი არც საქართველოს პრეზიდენტს, არც ბლოკის ლიდერებს და არც ცესკო-ში მათ წარმომადგენლებს არ ეპარებათ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არაფრად აგდებენ არც ეგზითპოლებს და არც "სამართლიანი არჩევნების" მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული პარალელური დათვლის პროცესს. არადა, სწორედ ამ ეგზითპოლებისა და პარალელური დათვლების მიხედვით (რომელსაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ენდობა), ხელისუფლება ამ არჩევნებში დამარცხდა.

"სამართლიანი არჩევნების" მონაცემებით, სახელისუფლებო ბლოკის შედეგები არც ისე შთამბეჭდავია, როგორც ამას საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი ამტკიცებენ. პარალელური დათვლების შედეგები ასე გამოიყურება:

**"სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა"– 26,26 პროცენტი;**

**ბლოკი "ახალი საქართველოსათვის"– 18,92 პროცენტი;**

**"ლეიბორისტები"– 17,36 პროცენტი;**

**"ბურჯანაძე – დემოკრატები"– 10,15 პროცენტი;**

**"დემოკრატიული აღორძინების კავშირი"– 8,13 პროცენტი**

**"ახალი მემარჯვენეები" – 7,99 პროცენტი**

**"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 5,2 პროცენტი**

ამავე დროს, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი კატეგორიულად არ ეთანხმებიან ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, პირველ ადგილზე სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" გავიდა. ორგანიზაციის აღმასრულებული დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი ცესკო-ს ხელმძღვანელობისგან საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ოქმებისა და ჩანაწერთა წიგნების წარმოდგენას მოითხოვს, რათა საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა შეექმნას იმაზე, თუ რეალურად ვინ მოიგო არჩევნები და ვის მისცა ხმა ქართველმა ამომრჩეველმა.



*ზურაბ ჭიაბერაშვილი "სამართლიანი არჩევნების" მიერ ხმების პარალელურ დათვლას უზუსტეს მონაცემად მიიჩნევს.*

ამავე დროს, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიამ კენჭისყრის დღეს სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა, მაგრამ ამ დარღვევათა მასშტაბებს არჩევნები ტოტალურ გაყალბებამდე არ მიუყვანია. მათივე თქმით, ამომრჩევლის აქტიურობამ დაიცვა არჩევნები გაყალბებისაგან და მომხდარმა დარღვევებმა არჩევანის საერთო სურათზე ზეგავლენა ვერ მოახდინა. **"სამართლიანმა არჩევნებმა", ამომრჩეველთა ხმებისა და აქტივობის პარალელური დათვლის მექანიზმის მეშვეობით, არჩევნების არა მხოლოდ თვისობრივი, არამედ სტატისტიკურად ზუსტი (ცდომილება 2 პროცენტზე ნაკლების ფარგლებში) და მყარი რაოდენობრივი შედეგებიც მიიღო",** - მიაჩნიათ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ამჯერად ცენტრალური საარჩევნო კომისია **"გამოიჩენს კეთილ ნებას და არჩევნების შემაჯამებელ ოქმში იმ შედეგებს დააფიქსირებს, რა არჩევანიც ქართველმა ამომრჩეველმა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე გააკეთა".**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ განცხადებებზე არანაირ ოფიციალურ რეაგირებას არ ახდენენ. ჩვენთან საუბარში კი ცესკო-ში სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ, ჯერ ერთი, "სამართლიანმა არჩევნებმა" მხოლოდ ექვსას უბანზე განახორციელეს ხმების პარალელური დათვლა, და მეორეც – როგორც კომისიის წევრი მამუკა გობეჩია აცხადებს, **"სამართლიანი არჩევნები" დიდი ხანია, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის დაკვეთას ასრულებს. მოსახლეობამ სახელისუფლებო ბლოკს, "ნაციონალურ მოძრაობასა" და "ლებიორისტებს" მისცა ხმა. ყოველ წუთს ტელეფონოგრამებით შემოდის მონაცემები და თქვენ თვითონ ხედავთ მოსახლეობის არჩევანს",** – განუცხადა "24 საათს" მამუკა გობეჩიამ.

საკმაოდ საინტერესო ვითარებაა შექმნილი თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. არჩევნების შედეგებს არ აპროტესტებს არც ერთი პოლიტიკური პარტია, მათ შორის - "ახალი მემარჯვენეები" და "გაერთიანებული დემოკრატები". არადა, გუშინ, საღამოს ცხრა საათისათვის ხმების ნახევარიც არ იყო დათვლილი. როგორც თავად პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, ამ დროისათვის მთავარი ბრძოლები საარჩევნო ოლქებში მიმდინარეობს და სწორედ ამით არის განპირობებული ასეთი სიწყნარე თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი პასიურობის ფონზე, სახელისუფლებო ბლოკს ყოველ წუთს ემატება ამომრჩეველთა ხმები და ადგილებიდან მოსული მონაცემების საერთო ოქმში შეტანის პროცესს, ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, არავინ აკონტროლებს.

გუშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოსული მონაცემები ქვემო ქართლიდან. თუმცა, იგივე სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათი ბლოკი ამ რეგიონში სრულ უპირატესობას ფლობდა. "24 საათი" გუშინ უკვე ესაუბრა თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შალვა ნიაზაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნების დღეს არც ერთი სერიოზული სახის დარღვევა ამ ოლქში არ ყოფილა და შედეგებიც გაყალბებული არ არის. მისი თქმით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 8865-მა ამომრჩეველმა. სახელისუფლებო ბლოკმა კი ხმების მხოლოდ 34 პროცენტი მოიპოვა (ეს პირველი შემთხვევაა ქვემო ქართლში, როდესაც ხელისუფლება ხმების ასეთ მოკრძალებულ რაოდენობას აგროვებს – თ.მ.). ნიაზაშვილის თქმით, მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვება ოპოზიციონერმა კანდიდატმა დავით ბეჟუაშვილმა მოიპოვა.

ეს მონაცემები ჯერ არ არის გადაგზავნილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. თუმცა, ოპოზიციონერები უკვე ეჭვობენ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იგი შეიცვლება და სახელისუფლებო ბლოკის მონაცემები, მინიმუმ, ორჯერ გაიზრდება.

და ბოლოს: საღამოს ცხრა საათისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მონაცემების შეჯერება შეწყვიტა. ამ დროისათვის არჩევნების შედეგების ოფიციალური სურათი ასე გამოიყურებოდა:

**ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" - 168 525 (23,4 პროცენტი), "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" - 162 223 (22,3 პროცენტი), "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" - 101 737 ხმა (14,0 პროცენტი), ბლოკი "ბურჯანაძე – დემოკრატები" - 59 482 ხმა (8,2 პროცენტი), ბლოკი "ახალი მემარჯვენეები" - 57 539 ხმა (7,9 პროცენტი), "დემოკრატიული აღორძინების კავშირი"- 56 279 ხმა (7,8 პროცენტი), ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 48 577 ხმა (6,6 პროცენტი).**

# არჩევნები საბერძნეთშიც გაყალბდა

### 2 ნოემბერს ათენში ჩავიდნენ სახელისუფლებო ბლოკის ემისრები

გია ჭაფარიძე
ათენიდან

*ათენის N38 საარჩევნო უბანი:*
*1. ლეიბორისტული პარტია - 27*
*2. სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა - 18*
*3. ბურჯანაძე - დემოკრატები - 18*
*4. ახალი საქართველოსთვის - 8*
*5. ახალი მემარჯვენეები - 7*
*6. დემოკრატიული აღორძინების კავშირი - 5*
*5. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 2*
*6. ერთიანი საქართველო - 1*
*7. საქართველოს ადვოკატები - 1*
*8.ერთობა - 1*
*9. მშვიდობიანი კავკასია - 1*
*10. არავის - 1*

საარჩევნო საუბნო კომისია ძირითადად დაკომლექტდა ათენის ქართველთა სათვისტომოთი. კომისიის თავმჯდომარე იყო სათვისტომოს პრეზიდენტი. კენჭისყრა მიმდინარეობდა კანონის სრული დაცვით, ხმის დათვლა იყო დარღვევების გარეშე და გამჭვირვალე.

რაც შეეხება დარღვევებს, საქმე გვაქვს ერთადერთ დარღვევასთან - მოქალაქეებს არ მიეცათ განეხორციელებინათ თავიანთი კონსტიტუციური უფლება, მათ ხმა ვერ მისცეს, რადგან არ იყვნენ სიაში. საკონსულო აღრიცხვაზე მდგომი მოქალაქეების სია იყო არასრული, ეს არასრული სია გაცხრილა საოლქო საარჩევნო კომისიამ და ამოაგდო დაახლოებით 350 მოქალაქე. გაჩნდა ეჭვი, რომ ათენისა და სალონიკის სიები შეგნებულად იყო არეული. უბანზე მოსული პირველი ამომრჩეველი გახლდათ საქართველოს ყოფილი დესპანი საბერძნეთში ალექსანდრე ბერიძე, რომელიც სიაში არ იყო და ხმა ვერ მისცა. ასევე ხმა ვერ მისცა მეორე ამომრჩეველმა, რომელიც წლებია ათენში ცხოვრობს და წვრთნის საბერძნეთის ნაკრებს სროლაში. სიაში არ იყო საუბნო კომისიის თავმჯდომარეც. სამაგიეროდ, სიაში ორჯერ იყო რეგისტრირებული რამდენიმე მოქალაქე, ასევე სიაში იყვნენ საბერძნეთში უკვე არმყოფი მოქალაქეები. ხმის მისაცემად ხალხი მოვიდა პირეების პორტიდან, ნაუპლიოდან და სხვა დაშორებული ქალაქებიდან და ხმა ვერ მისცეს. ძნელი გახლდათ მათთვის პასუხის გაცემა. "ლეიბორისტული პარტიის" ასეულობით წევრმა ხმა ვერ მისცა, ასევე ხმა ვერ მისცა "ნაციონალური მოძრაობის" დაახლობით 150-მა მომხრემ, "აღორძინების" ათეულობით მომხრემ.

არჩევნებზე ასეთი დაბალი აქტივობა ათენში არასოდეს ყოფილა. დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე საოლქომ ნება დართო კომისიას, დამატებით სიებში შეეტანათ ერთიან სიაში არმყოფი ამომრჩევლები. მოქალაქეებმა მოისმინეს ცესკო-ს თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის შუადღისას გაკეთებული ზეპირი განცხადება პირველადი სიების შესახებ და დაჟინებით ითხოვდნენ ხმის მიცემის უფლებას. ასევე აღსანიშნავია, რომ მომდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ათენის ცენტრში შეგროვილ საქართველოს მოქალაქეებში ვიღაცეები ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს საარჩევნო უბანი დახურული იყო და ხმას ვერ მისცემდნენ. ადვილი მისახვედრია, ვინ იყვნენ ეს ვიღაცეები.

რაც შეეხება სალონიკს, პირველადი მონაცემები ასეთი იყო: არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1200-მა მოქალაქემ და იგებდა "ნაციონალური მოძრაობა". ბოლო მომენტში თბილისიდან ჩამოსული სამთავრობო ბლოკის სპეცწარმომადგენლები სალონიკში გაუშვეს, ალბათ, მიხვდნენ, რომ ათენში ან არაფერი გამოუვიდოდათ, ან საქმე გაკეთდა და დაბალი აქტივობა გარანტირებული იყო.

## რუსთავში ხელისუფლებისა და "ნაციონალების" ტანდემი ლიდერობს

### თურმე ცხელი შხაპი კენჭისყრის შედეგებზე დადებითად მოქმედებს

მაია მოსიაშვილი

3 ნოემბერს ღამის სამ საათზე "რუსთავი-2"-ის გადამღებმა ჯგუფმა ბლოკ "ახალი საქართველოსათვის" რუსთავის შტაბიდან ორი უბნის საარჩევნო ყუთების გამოტანის ფაქტი დააფიქსირა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი იყო უბნიდან საოლქო კომისიამდე ყუთები სადმე "შეესეირნებინათ", მთელი საღამოს მანძილზე ვრცელდებოდა. ფაქტის დაფიქსირება მხოლოდ "რუსთავი-2"-მა მოახერხა.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში გუშინ საღამოს აცხადებდნენ, რომ ჟურნალისტების მიერ დაფიქსირებული დარღვევა მათთვის არაფერს ნიშნავს. მით უფრო, რომ ამის შესახებ კომისიაში საჩივარი არ შესულა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, რუსთავის 54 უბნიდან კენჭისყრა მხოლოდ სამზე ჩაიშალა: N13-ზე, სადაც კომისიის თავმჯდომარეემ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის კენკებაშვილის ქალიშვილს გაარტყა, და კიდევ - N44 და N30 უბნებზე. ეს სწორედ ის უბნებია, რომლის ყუთებიც ღამით სახელისუფლო ბლოკის შტაბთან დააფიქსირეს. გუშინ საღამოს 6 საათზე საოლქოში აცხადებდნენ, რომ ამ უბნებიდან მონაცემები ჯერ არ მისვლიათ და არც იციან, რატომ.

არჩევნებამდე ორი დღით ადრე რუსთავში ამომრჩეველთა გულის მოგების ყველაზე ორიგინალური მეთოდი დაფიქსირდა. ორი დღის განმავლობაში ერთ-ერთი აბანო უფასოდ იღებდა დაბანის მსურველებს. აბანოში ეუბნებოდნენ, რომ მათ ნაცვლად ფული გოგი სალაყაიამ გადაიხადა. როგორც ჩანს, ცხელი შხაპი კენჭისყრის შედეგებზე დადებითად მოქმედებს. მართალია, ოფიციალური მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის მაჟორიტარი 9 ათასი ხმით სახელისუფლო ბლოკის კანდიდატი, "საქცემენტის" ხელმძღვანელი გიორგი სალაყაია გახდა და მან "ნაციონალ" გიორგი ხევიაშვილს 2500 ხმით გაუსწრო. გენერალი იოსებ ალავიძე მესამე ადგილზეა.

პროპორციული არჩევნების წინასწარი შედეგები რუსთავში ასეთია: პირველ ადგილზე - "ნაციონალები", ხოლო მეორეზე - "ახალი საქართველოსათვის".

საოლქოს მონაცემებით, საბოლოოდ დადგინდა ამომრჩეველთა რაოდენობა - 72 800, არჩევნებზე კი 28 ათასი მივიდა, ანუ არჩევნები შედგა. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ალეკო ედიშერაშვილის თქმით, განსაკუთრებული დარღვევა არც ერთ უბანზე არ მომხდარა. რაც შეეხება სიის გარეთ დარჩენილ ათასობით ამომრჩეველს, ედიშერაშვილის თქმით, ეს არც ისე სერიოზული დარღვევაა და ხალხის კონსტიტუციური უფლების იგნორირება საარჩევნო კოდექსის, კერძოდ, დამატებითი სიების გაუქმების ბრალია. მერე რა, რომ ამ კატეგორიის ამომრჩეველთა უმრავლესობა თავდაპირველ სიაში იყო?! ყველაფერი მაინც არა საარჩევნო ადმინისტრაციის, არამედ კანონის ბრალია, - ამბობს ედიშერაშვილი.

არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ მთელი ღამის მანძილზე რუსთავის საარჩევნო უბნებზე სალაყაიასა და ალავიძის მომხრეებს შორის ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა. ამბობენ, რომ სალაყაიას სვანებმა ყველას აჯობეს, თუმცა სიმართლესთან ის უფრო ახლოსაა, რომ ალავიძის მხარეემ, ფაქტობრივად, დათმო, რადგან ქალაქი სავსე იყო სრულ მზადყოფნაში მყოფი სპეცრაზმელებითა და შინაგანი ჯარის წარმომადგენლებით და ხელისუფლება არეულობის პროვოცირებას აუცილებლად სათავისოდ გამოიყენებდა.

რუსთავის არჩევნების შედეგებით ერთნაირად კმაყოფილნი არიან ხელისუფლება და "ნაციონალები". უკმაყოფილონი არიან "ბურჯანაძე-დემოკრატები", რომლებიც, ალბათ, მესამე ადგილზე გავლენ.

"სამართლიანმა არჩევნებმა" ხმების პარალელური დათვლა რუსთავში სრულყოფილად ვერ მოახერხა, რადგან მათი დამკვირვებლების ნაწილი უბნებიდან გამოაძევეს და დათვლის პროცედურას არ დაასწრეს, ნაწილმა კი უბნებზე შექმნილი არეულობის გამო დატოვა პოსტი.

2 ნოემბრის არჩევნებზე რუსთავში იმყოფებოდნენ მოსკოველი და ნიუ-იორკელი ჟურნალისტები, რომლებმაც საოლქო კომისიაში მთელი დღის მანძილზე პასუხისმგებელი პირი ვერ იპოვეს, სამაგიეროდ, ნახეს უამრავი რუსთაველი, რომლებიც სიის გარეთ დარჩნენ. **"ამერიკელები ხართ? ხომ უამბობთ მსოფლიოს, რომ ნახევარი რუსთავი გარეთ დაგვტოვეს. ჩვენ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ, რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?",** - ასე შესჩიოდა ისედაც გაოგნებულ უცხოელებს რუსთავის მკვიდრი, ბატონი ელგუჯა.

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# ოპოზიციამ ხალხის არჩევანის დასაცავად უნდა იბრძოლოს

მაია ჭალაგანიძე

*უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება საუკეთესო ხელისუფლებას იმსახურებს და არა იმას, რაც ჰყავს...*
*შიშმა, რომელსაც ხელისუფლება იმ ხალხის მისამართით ნერგავდა, გაყალბების წინააღმდეგ პროტესტს რომ აპირებდა - გაიარა. შიში გადის მაშინ, როდესაც მუქარა ქრება. მუქარა ქრება, როდესაც წინააღმდეგობა იწყება - კანონზე დაფუძნებული წინააღმდეგობა და ის, რომ ხელისუფლებას მუქარის (თუნდაც, ქარაგმულის) სურვილი გაუქრა, სწორედ იმ საზოგადოების დამსახურებაა, რომელიც არჩევნების დღეს საათობით იდგა რიგში იმისთვის, რომ არ შემოეხაზა N1.*
***გიგი თევზაძე,*** *გარდა იმისა, რომ ამ არჩევნების შედეგების დამოუკიდებელ კვლევებში მონაწილეობდა, 1995 წლის მოწვევის პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. მისი სამსახურის ფუნქცია დეპუტატების კანონშემოქმედებითი მუშაობისთვის ხელშეწყობა იყო. იმ პარლამენტს მართლაც ნაყოფიერი კანონშემოქმედებითობა სჭირდა, მაგრამ, აწ უკვე წინა მოწვევის პარლამენტმა ნაკლებად იცოდა, რას აკეთებდა. ის ცდილობდა კანონებში ცვლილებების შეტანას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ის პარლამენტი კანონმდებლობის, სისტემების ქვეყანაზე მორგების, დახვეწის საფეხურზე გაჩერდა. ახალ პარლამენტს უკან მიბრუნება და მუშაობის სწორედ აქედან დაწყება მოუწევს...*

**- დამოუკიდებელი კვლევების შედეგებზე თქვენმა ორგანიზაციებმა ერთობლივი ბრიფინგი ჩაატარეს. კერძოდ, რა ითქვა?**

- ბრიფინგზე დამოუკიდებელი კვლევების ("რუთავი 2-ის" ეგზითპოლების) საბოლოო შედეგები წარვადგინეთ და ის "სამართლიანი არჩევნების" შედეგებს შევადარეთ, რომლის მონაცემებიც არა რომელიმე გამოკითხვას, არამედ - რეალურ, ხმების პარალელურ დათვლას ეყრდნობოდა. "სამართლიან არჩევნებს" ზუსტი რიცხვი ჰქონდა. ჩვენ კი, მოგეხსენებათ, გამოკითხულთა 21 პროცენტმა გვითხრა უარი პასუხის გაცემაზე. ჩვენ 79 პროცენტიდან დავითვალეთ. ეს პროცენტი 100 პროცენტად ჩავთვალეთ და მოხდა ის, რომ ერთი-ერთზე დაემთხვა "სამართლიანი არჩევნების" ციფრებს.

**- არჩევნების მოახლოებასთან ერთად, აშკარა ხდება სოციოლოგთა პოლიტიკური მიმართულებები. ისევე, როგორც საზოგადოება, კვლევების მონაცემებიც ორად გაიყო და ორივეს სანდოობაზე აქვს პრეტენზია. საით იხრება ობიექტურობა?**

- ჩვენი სანდოობა აკადემიური სინდისი და მეთოდების სარწმუნოობაა.

ჩვენ მარტო არ ვართ და არც გუშინ შევიქმენით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს უკან ჩვენი სტუდენტები დგანან. (ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტი). გარანტი იმისა, რომ არ მოვიტყუები, ჩემი სტუდენტები არიან. მათ ვერ დაემალები.

**- ხელისუფლება არ ცნობს "რუსთავი 2"-ის მიერ ჩატარებული ეგზითპოლების შედეგებს. რა დამოკიდებულება აქვს ცესკო-ს "სამართლიანი არჩევნების" შედეგებთან?**

- ხელისუფლება უნდობლობას ვერც ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს და ვერც ეგზითპოლებს ვერ გამოუცხადებს. დევდარიანს კი განუცხადებია, რომ ამის არ სჯერა, მაგრამ, ეს დაჯერებაზე დამოკიდებული არ არის. ეს არის მსოფლიოში მოქმედი მეთოდოლოგია და არ მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანდიდატების შედეგებს შორის მცირე განსხვავებაა. სწორედ ეს აქვთ ხელზე დახვეული.

**- ეგზითპოლის შედეგებს ლეგიტიმურობა არ გააჩნია, მაგრამ, რამდენად სანდოა ის არჩევნებზე დამკვირვებლებად მოწვეული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის?**

- მათთვის ეს მაღალი სანდოობის მქონე დოკუმენტია. მით უფრო, როცა ეს "სამართლიანი არჩევნების" შედეგებს დაემთხვა.

**- შეიძლება თუ არა, რომ ეგზითპოლებისა და ცესკო-ს მონაცემებს შორის არსებული დიდი სხვაობა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დასკვნის საფუძველი გახდეს?**

- არა მგონია, რომ ამ სხვაობაზე დაყრდნობით რაიმე ოფიციალური დასკვნა გააკეთონ. ყოველ შემთხვევაში, მანამდე, სანამ საქართველოში ოპოზიციის ქცევის წესები არ ჩამოყალიბდება.

საქმე ისაა, რომ დღეს ბევრი ხიფათი არსებობს... ცდუნება ძალზე ცუდი რამაა. ჩემი ერთი მეგობარი ამბობს, რომ ყველაზე დიდი საშინელება, რაც ძლიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს, ცდუნებააო...

**- რა კონტექსტშია ეს ცდუნება?**

- ძალიან დიდი ხიფათი არსებობს იმისა, რომ ხელისუფლება ოპოზიციური პარტიების მოსყიდვას შეეცდება. ეს დაუშვებელია. უკანასკნელი ათწლეულის ისტორიაში რეალურად მოგვეცა იმის შანსი, რომ ხალხის არჩეული ხელისუფლება გვყავდეს. ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ.

**- ხიფათი, რა თქმა უნდა, არსებობს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, როგორც სოციოლოგი, დიდი ხანია აკვირდებით. რამდენად ადვილია "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" ცდუნება?**

- ვფიქრობ, არ უნდა გაებან ამ ხიფათში. მათ საამისოდ, არა მხოლოდ გამოცდილება, ჭკუაც გააჩნიათ. აქვთ ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება და, ბოლოს და ბოლოს, თავადაც იყვნენ ხელისუფლებაში.

წლევანდელი არჩევნები საინტერესო იყო. რა თქმა უნდა, მიღებული შედეგები ის არ არის, რაც მთლიან მოსახლეობას უნდა. ცხადია, რომ ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებამდე მიღწევისთვის ბოლომდე იბრძოდა.

არჩევნების შედეგები, მეტწილად, ჩვენს წინასწარ გამოკვლევებს ემთხვევა, განსხვავება ორგვარია - "ახალი საქართველოს" ხმები 9-10 პროცენტით არის გაზრდილი და მეორე - "ბურჯანაძე-დემოკრატების" ხმები 9 პროცენტით ნაკლებია.

ხელისუფლებამ სერიოზულად გააყალბა ხმები. ჩვენც და "სამართლიანმა არჩევნებმა" "კარუსელებიანად" დავითვალეთ. ასე რომ, ეს ზედმეტი 9 მთელი საქართველოს მასშტაბით "კარუსელების" დროს არის ჩაყრილი.

ძალიან დაიჩაგრა "ბურჯანაძე-დემოკრატების" ამომრჩეველი. ის, უბრალოდ, საარჩევნო ყუთამდე ვერ მივიდა. ამ ბლოკის ამომრჩეველი უფრო პასიურია, ვიდრე "ნაციონალებისა" და "ლეიბორისტების" და როგორც ჩანს, ნაკლებად იბრძოლეს იმისთვის, რომ საარჩევნო ყუთთან მისულიყვნენ. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ - ყველაზე მეტად ისინი დაიჩაგრნენ.

**- ამომრჩევლის პასიურობა მათი ფავორიტი ლიდერების თავშეკავებული და მოთოკილი ემოციებისა და განცხადებების ბრალიც ხომ არ არის?**

- სამწუხაროდ, უარყოფითი როლი სწორედ იმ განწყობამ ითამაშა, რასაც "ბურჯანაძე-დემოკრატები" გადასცემდნენ თავის ამომრჩეველს.

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს განცხადებები იყო ბლოკის მაღალი რეიტინგის მიზეზი, კრიტიკულ ვითარებაში, სწორედ ამან არ იმუშავა. აშკარად გამოჩნდა, რომ კრიტიკულ ვითარებაში ის პარტიები აღმოჩნდნენ წარმატებულნი, რადიკალური ქმედებებისკენ რომ მოუწოდებდნენ.

ეს ნამდვილად ასახავს მოსახლეობის აქტივობას. ეს შედეგები ასევე ასახავს გაყალბებასაც...

ძალიან ხშირად ავიწყდებათ, რომ ადამიანი არც მხოლოდ ტვინია და არც მხოლოდ გადაწყვეტილება. ადამიანი - განხორციელებული გადაწყვეტილებაა. ამას კი ტვინის გარდა, ტანიც სჭირდება. თუ ტანი არ აამუშავე (და ეს იმდენად კარგად გამოჩნდა, რომ ბევრი სოციოლოგი ინატრებდა ამ ვითარებას), არაფერი გამოგივა - დღეს ეს ნათელი მაგალითია.

**- უკვე ცნობილი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ხელისუფლებამ საბოტაჟი მხოლოდ "ბურჯანაძე-დემოკრატებს" მოუწყო. ნიშნავს ეს იმას, რომ ხელისუფლებას მხოლოდ ამ ძალის ეშინია?**

- ასე გამოვიდა. ხელისუფლებამ ეს ვითარება ყველასთვის და არა მხოლოდ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ამომრჩევლებისთვის შექმნა. გამოვიდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ეს პარტია დაიჩაგრა და სწორედ იმ პოლიტიკის გამო, რითიც მათ ეს ხმები მოიპოვეს. სწორედ იმის გამო, რითიც ისინი სხვა ოპოზიციური პარტიებისგან გამოირჩეოდნენ.

**- და რა ჰქვია მეცნიერულად ამ პარადოქსს?**

- მეცნიერულ ენაზე ამას ბევრი რამ შეიძლება დავარქვათ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესის საინტერესო და არა განსაკუთრებული ნაწილია. ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ რაღაც პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვო და შემდეგ სწორედ ამ წარმატებების გამო დამარცხდე. ეს ფორმულაა - დამარცხებების ისტორია სწორედ ასეთია - რის გამოც წარმატებას მოიპოვებ, იმის გამო მარცხდები. თუმცა, "ბურჯანაძე-დემოკრატების" შემთხვევაში, საქმე ასე ფატალურად არ გვაქვს. ჯერ ერთი, ისინი პარლამენტში მოხვდნენ, მათ მაინც აიღეს 10,4 პროცენტი. ეს კი ცოტა არ არის. მათ ხმების შესანარჩუნებლად ბრძოლა მოუწევთ. მით უფრო უნდა იბრძოლონ იმისთვის, რომ ის ხელისუფლება მოიყვანონ, რომელიც ხალხს უნდა და არა ის - რაც მთავრობას სურს. მოსაზრება, რომ ხელისუფლება ისეთია, როგორსაც ხალხი იმსახურებს, ჰეგელს ეკუთვნის და ეს მაშინ თქვა, როდესაც ის ფუნქციონერი იყო...

**- ჩვენს სინამდვილეში თუ გადმოვალთ, კანცელარიამ წინა მოწვევის პარლამენტის დისკრედიტაცია და გამონათქვამის - "პარლამენტი საზოგადოების სარკეა" - დანერგვა ერთდროულად დაიწყო...**

- როდესაც ეს ითქვა, იმ დროს სამოქალაქო საზოგადოების იდეა ახალი იყო. ჰეგელი ამით ამბობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება პასუხისმგებელი უნდა იყოს თავის ხელისუფლებაზე და არა ის, რომ ნებისმიერი საშინელი ხელისუფლება ხალხის დამსახურებაა. შემდეგ, ამ იდეიდან გამომდინარე, შემუშავდა, რომ საზოგადოება უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის ხელისუფლებაზე, მაგრამ, ამისთვის უნდა არსებობდეს მექანიზმები. აი, ამას ნიშნავს ჰეგელის გამოთქმა და არა იმას, რომ შევარდნაძე რომ ასეთია, ეს ჩვენი დამსახურებაა...

**- საზოგადოებამ არჩევნებზე საკუთარი ნება გამოხატა და ეს ნება შედეგებზე არ აისახა. რა დარჩენია საზოგადოებას?**

- იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გონს მოეგება. ასე თუ არ მოხდა - ყველაფერს დაკარგავს და ეს ფიგურალური გამოთქმა არ არის. ყველაფერი შეიძლება მოხდეს და საზოგადოებას პროტესტის გამოხატვის ლეგიტიმური უფლება ექნება. ამ შემთხვევაში, არ არსებობს არც თეორიული და არც პრაქტიკული რაიმე ზღვარი, რომელიც ხელისუფლების შეცვლის სურვილს დაედება. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ უნდა დათმოს. ბოლოს და ბოლოს, ეს არის პარლამენტი და მეტი არაფერი. ამით, ასე პირდაპირ, მათი ბედი არ წყდება (თუმცა, საბოლოოდ მაინც გადაწყდება). მაინც მგონია, რომ გონს მოეგებიან.

**- თუკი პარლამენტში ოპოზიციური უმრავლესობა მოვიდა, ხელისუფლებას შანსი ეძლევა, თავი ოპოზიციონერობით გამოიჩინოს. როგორ ფიქრობთ, ის ისეთივე ოპოზიცია იქნება, როგორიც ხელისუფლება იყო?**

- არა მგონია, ხელისუფლებამ რამენაირი ოპოზიციონერობა გასწიოს. თუ ოპოზიცია პარლამენტში გაერთიანდება, რა თქმა უნდა, "ახალი საქართველოს" წევრები სხვადასხვა პარტიებს მიეკედლებიან და პარლამენტში სახელისუფლებო ოპოზიცია ძალზე ცოტა ხანს იარსებებს.

**- ხელისუფლება აკონტროლებს ძალოვანებს, საბიუჯეტოებს. არც ერთი ეს კომპონენტი ახლადშექმნილი დემოკრატიული ინსტიტუცია არ არის. დაკარგავს თუ არა ხელისუფლება გავლენას ამ სტრუქტურებზე საპარლამენტო ოპოზიციის მოძლიერების შემთხვევაში?**

- ალბათ, უკვე აღარ ექნებათ გავლენა. ეს გავლენა კანონის და არაფორმალური კავშირების გამოა. რა თქმა უნდა, თუკი პარლამენტი ისეთი იქნება, როგორც ეს ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა - ხელისუფლება ისეთი გავლენიანი ვერ იქნება.

თუმცა, არც არაფერი შეიცვლება, რადგან უბედურება ისაა, რომ კანონები ცუდია და სწორედ ეს ცუდი კანონები განაპირობებენ ცუდი სახელმწიფო ინსტიტუციების არსებობას. შსს იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ ნარჩემაშვილი არ ვარგა, არამედ, იმიტომ, რომ პატარა ქალაქის პოლიციის უფროსსაც კი ნარჩემაშვილი ნიშნავს. ეს სისტემები ამ ინსტიტუციების ტოტალურ კორუფციულობას განაპირობებენ. მაინც იმედი მაქვს, რომ თუკი ოპოზიციას (თუნდაც ფორმალურს) ორჯერ უფრო მეტი ხმა ექნა, ამ საშინელი სისტემების გამოცვლაზე იზრუნებენ.

**- ეყოფა ოპოზიციას ნება, დაძლიოს ამბიციები და გაერთიანდეს ბურჯანაძის მიერ დეკლარირებულ "ოპოზიციურ უმრავლესობაში"? რა როლს შეასრულებენ ამ გაერთიანებაში ფსევდოოპოზიციური ძალები?**

- ეჭვი არ მეპარება, რომ "ნაციონალები", "დემოკრატები" და "ახლები" ერთად იქნებიან. შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციას შორის ხმების ეს არათანაბარი გადანაწილება მათ მოსალოდნელ კავშირზე მეტყველებს. "ლეიბორისტების" არანაირი იმედი არ მაქვს, თუმცა, შეიძლება, ზოგიერთ თემატურ საკითხზე გაერთიანება მოხდეს.

რეალობა ისეთია, რომ "ნაციონალები", "ახლები" და "დემოკრატები" ერთად იქნებიან. როდესაც პარლამენტში თანაბარი ძალა, მსგავსი სტრატეგია გაქვს, დიდ როლს ტაქტიკური განსხვავებები თამაშობენ. როდესაც ერთი რომელიმე ძალა უფრო სერიოზულია, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ტაქტიკური კამათები მოხდეს. ასეთ დროს სტრატეგია უფრო მნიშვნელოვანია და სტრატეგიაზე ისინი შეთანხმდებიან.

**- რომელი პოლიტიკური ძალა იქნება პრეზიდენტის დასაყრდენი მომავალ პარლამენტში? აირჩევს ის კვლავ ნულოვანი რეიტინგის მქონე არაპოპულარულ ბლოკს, დაეყრდნობა პერსონალურ, მის მიერ შექმნილ "ოპოზიციას" თუ მოუწევს ანგარიშის გაწევა რადიკალური ოპოზიციისთვის?**

- არა მგონია, პრეზიდენტმა, "ლეიბორისტების" გარდა, ამ პარლამენტში რაიმე დასაყრდენი იპოვოს. შალვა არის ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც პრეზიდენტს გზა არ მოუჭრია. პრეზიდენტმა "ბურჯანაძე-დემოკრატებს" თავისი წინასაარჩევნო მანიპულაციებით ამომრჩეველი დააკარგვინა. ამაზე უფრო საშინელი რამ არ შეიძლება პარტიას გაუკეთო. სააკაშვილთან და "ახლებთან" მისი თანამშრომლობა გამორიცხულია...

**- ჯერ კიდევ არჩევნებამდე სააკაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში დანანებით აღნიშნა, რომ პარლამენტში მოსახვედრად, შესაძლოა, "ახლებს" ხელისუფლების დახმარება დასჭირდეთ...**

- "ახლები" პარლამენტში უკვე მოხვდნენ, მაგრამ ამის შენარჩუნების ორი გზა არსებობს. ხელისუფლებასთან გარიგება, ან ოპოზიციასთან ერთად ბრძოლა. რა თქმა უნდა, მათ მეორე გზა უნდა აირჩიონ, რადგან, შეიძლება, პირველმა მათ იოლად მოუტანოს გამარჯვება, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. მეორე გზაა ძლიერი ბრძოლა ოპოზიციის გამარჯვებისთვის - ამ შემთხვევაში, "ახლებს" ხელისუფლებასთან არანაირი კავშირი არ ექნებათ.

**- აჭარა... აქ არჩევნები ცესკო-ს მიერ დაუმტკიცებელი სიებით ჩატარდა. შეიძლება თუ არა ეს გახდეს აჭარის შედეგების გაუქმების საფუძველი?**

- როგორც ვიცი, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სწორედ ამის საფუძველზე აპირებს სასამართლოში ჩივილს. დღეს არჩევნების მონაპოვარის დასაცავად ოპოზიციური პარტიების გაერთიანებაა მთავარი. არჩევნების ამგვარი შედეგები არასდროს ყოფილა და ეს მართლაც მონაპოვარია. პირველად ხდება, რომ, დამოუკიდებელი კვლევით ოპოზიციამ გაიმარჯვა და არა ხელისუფლებამ.

რაც არ უნდა თქვან უცხოელმა დამკვირვებლებმა, ეს ქართველი ამომრჩევლის მიერ მოპოვებული ძალზე სერიოზული შედეგია. ამის მისაღწევად ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოებას 10 წელი დასჭირდა.

**- რა ფორმით უნდა იბრძოლოს ოპოზიციამ, სასამართლო საკმაოდ გაწელილი პროცესია...**

- ეს არის მშვიდობიანი, სამოქალაქო პროტესტის ფორმა, რომელსაც უძლიერესი ეფექტი აქვს... დრო კიდევ არის იქამდე, ვიდრე ცესკო საბოლოოდ არ დაამტკიცებს არჩევნების შედეგებს. იმედი მაქვს, რომ ცესკო ამას ხვალვე არ გააკეთებს.

**- დროის გაჭიანურებას ხელისუფლება ოპოზიციის ცდუნებისთვის გამოიყენებს...**

- რა თქმა უნდა. ამ დარგში ხელისუფლება ძალზე გაწაფულია.

**- ემოციები გადაივლის და ბრძოლის ჟინიც რომ განელდეს?**

- ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ ემოციების განელების საშუალება...

**- სიტუაცია ყოველ წუთს იცვლება. საით მიჰყავს ვითარება ხელისუფლებას ან საით - ოპოზიციას. რა მოხდება ამ ჭიდილში?**

- ჩვენდა საბედნიეროდ, ოპოზიციას და მოსახლეობას ერთ მხარეს სურთ წაყვანა. საქართველოს უკანასკნელი 10-12 წლის ისტორიაში ესეც ბედნიერი შემთხვევაა. ამიტომ, ახლა ერთმნიშვნელოვნად არის გაყოფილი: ხელისუფლება, რომელსაც არ სურს ის, რაც მოსახლეობას და ოპოზიცია, რომელიც ცდილობს გააკეთოს ის, რაც მოსახლეობას უნდა. ოპოზიციამ იცის - მისი ძალაუფლების ერთადერთი გარანტია ხალხია.



უკანასკნელი ათწლეულის ისტორიაში
პირველად მოგვეცა შანსი,
რომ ხალხის არჩეული ხელისუფლება გვყავდეს.

რეალობა ისეთია, რომ პარლამენტში
"ნაციონალები", "ახლები" და "დემოკრატები"
ერთად იქნებიან.

არჩევნების ამგვარი შედეგები არასდროს
ყოფილა და ეს მართლაც მონაპოვარია.
პირველად ხდება, რომ დამოუკიდებელი კვლევით
ოპოზიციამ გაიმარჯვა და არა ხელისუფლებამ.

ოპოზიციამ იცის - მისი ძალაუფლების
ერთადერთი გარანტია ხალხია.

## ლუჩანო პავაროტი მოდენში დაქორწინდება

იტალიური პრესის განცხადებით, ტენორი ლუჩანო პავაროტი და მისი თანამეცხედრე – ნიკოლეტა მანტოვანი მოდენში 13 დეკემბერს დაქორწინდებიან. სამოქალაქო ცერემონია ცნობილი მომღერლის მშობლიური ქალაქის - მოდენის თეატრში გაიმართება. პავაროტი მსოფლიოს ლტოლვილთა დასახმარებლად მოდენში ყოველ წელიწადს გალა კონცერტებს აწყობს სახელწოდებით – "პავაროტი და მეგობრები".

68 წლის ტენორმა თავისი ქორწინების თარიღის დანიშვნა სააგენტო Ansa-ს მიანდო და აღნიშნა, რომ არავითარი განსაკუთრებული მოტივი არ ამოძრავებს - მთავარია, ქორწილმა მის უახლოეს გეგმებს ხელი არ შეუშალოს.

ადგილობრივმა გაზეთმა Gazzetta di Modena-მ აღნიშნა, რომ ქორწინებას ქალაქის მერი ჯულიანო ბარბოლინი დაესწრება. წყვილს უკვე ჰყავს იანვარში დაბადებული ქალიშვილი ალისა. გარდა ამისა, ლუჩანო პავაროტის წინა ქორწინებიდან სამი ქალიშვილი ჰყავს და აპრილის თვეში ბაბუაც გახდა.

## სამედიცინო ჯილდო მუსიკოსებისთვის



70-იანი წლების ცნობილი ამერიკული ჯგუფის Grateful Dead-ის ყოფილი დრამერი და The Dead-ის ახლანდელი წევრი მიკი ჰარტი მუსიკისა და ნევროლოგიური ფუნქციის ამერიკული ინსტიტუტისგან დაჯილდოვდება. ჯილდოს - Music Has Power-ის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ნიუ იორკში 1 დეკემბერს გაიმართება. მის გარდა, ჯილდოზე წარდგენილნი არიან: პიანისტი ლორინ ჰოლანდერი და დასარტყამი ინსტრუმენტების მწარმოებელი ფირმა Remo Inc.-ის ხელმძღვანელი რემო ბელი. ეს ჯილდო ენიჭებათ მათ, ვინც ეხმარება საზოგადოებას ახლებურად გაიგოს მუსიკის ძალა. მაგალითად, ჰარტი მონაწილეობს რიტმის გამოყენებით ალცგეიმერის დაავადების განკურნებაში. ჰოლანდერი კი ხშირად მართავს კონცერტებს საავადმყოფოებსა და ციხეებში.

## ლეგენდების გადასამოწმებლად

გარდაცვალებიდან 600-ზე მეტი წლის შემდეგ უდიდეს იტალიელ პოეტსა და ჰუმანისტს ფრანჩესკო პეტრარკას საფლავიდან ამოიღებენ იმისათვის, რომ მასთან დაკავშირებული ლეგენდები გადაამოწმონ.

ჯერჯერობით უცნობია, მოაღწია თუ არა ჩვენამდე იტალიელი ჰუმანისტის რეალური სახის მიხედვით შექმნილმა პორტრეტებმა. "დეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, ექსპერტები ვარაუდობენ პეტრარკას სახის აღდგენას თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების დახმარებით. ამას გარდა, სპეციალისტებს სურთ, დარწმუნდნენ, მართალია თუ არა, რომ - ამას მისი ბიოგრაფები გვამცნობენ.

ექსჰუმაცია სამი კვირის შემდეგ უნდა მოხდეს და ეს არის იმ პროექტის ნაწილი, რომელიც ადგილობრივმა ბანკმა დაასპონსორა, ხოლო კოორდინატორი პადუას უნივერსიტეტის პროფესორია.

პეტრარკა, რომელიც აღორძინების ჰუმანისტური კულტურის მამამთავრადაა აღიარებული და იტალიური ლიტერატურული ენის ერთ-ერთი შემქმნელია, ცნობილია იმითაც, რომ მან სრულფასოვანი გახადა სონეტის ფორმა. პეტრარკას სონეტებმა ზეგავლენა იქონიეს ჩოსერზე, შექსპირსა და სპენსერზე. ამას გარდა, პეტრარკას სახელთან არის დაკავშირებული ცალმხრივი სიყვარულის ჟანრის განვითარება – ყველასთვის ცნობილია პოეტის შეყვარებულის, ლაურას სახელი. როგორც ამბობენ, პეტრარკა 70 წლის ასაკში საწერ მაგიდასთან, საწერი კალმით ხელში გარდაიცვალა.

## იაპონელებმა როსტროპოვიჩს ღვაწლი დაუფასეს



სახელგანთქმული რუსი მუსიკოსი მსტისლავ როსტროპოვიჩი იაპონური ამომავალი მზის ორდენით დააჯილდოვეს. როგორც რუსეთში იაპონიის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი, ეს ჯილდო იმ ღვაწლის დასტურია, რაც ცნობილ მუსიკოსს რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად გაუწევია.

ცნობილი ვიოლონჩელისტი და დირიჟორი იაპონიაში პირველად 1958 წელს ჩავიდა. "როსტროპოვიჩმა სერიოზული დახმარება გასწია იაპონური მუსიკის განვითარებისთვის", - ამბობენ იაპონელი დიპლომატები. ცნობილია, რომ როსტროპოვიჩმა იაპონელ დირიჟორთან სეიძი ოძავასთან ერთად საქველმოქმედო კონცერტები გამართა რუსეთსა და იაპონიაში. თუმცა, როგორც ჩანს, მუსიკოსი მხოლოდ იაპონელებთან არ მეგობრობს.

ორშაბათს მსტისლავ როსტროპოვიჩმა მადრიდის სამეფო თეატრში ესპანეთის სამეფო ოჯახისთვის კონცერტი გამართა. "იარაღი ადრე თუ გვიან გაისვრის, ამისათვის სჭირდება კაცობრიობას მეტი განათლება და კულტურა", - უთხრა ერთ-ერთ ესპანურ გაზეთს მუსიკოსმა ინტერვიუს დროს. ინტერვიუში მუსიკოსი ჰყვება, რომ ესპანეთის სამეფო ოჯახისგან ის მეტად დავალებულია - იხსნებს იმ დროს, როდესაც სსრკ-ს დატოვებისას ხუან კარლოსი და სოფია მუსიკოსს დაეხმარნენ, თუმცა მაშინ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ესპანეთის მეფე-დედოფალი.

ესპანურ გასტროლებზე მსტისლავ როსპტროპოვიჩი კონცერტებს მადრიდის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მართავს.

# შეხვედრა ჰოლივუდის კლასიკასთან

### ლალო შიფრინი თბილისში კონცერტამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა

ვერა ნეფარიძე

*მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი ლალო შიფრინი მეუღლესთან და ტურის მენეჯერთან ერთად დღეს გამთენიისას თბილისში ჩამოფრინდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 6 ნოემბერს კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" დაგეგმილი Film Music Classics პროექტი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე წარმატებით განხორციელდება. ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი) ჰოლივუდის ცნობილი კინოფილმებიდან მელოდიებს ააჟღერებს.*



ცნობილი კომპოზიტორი თბილისში კონცერტამდე ორი დღით ადრე ჩამოდის, ძირითადად, რეპეტიციების მოსასწრებად. თუმცა, თითქმის, თვენახევრით ადრე იგი ვახტანგ მაჭავარიანს საკონცერტო მასალას უგზავნის. დღესვე ლალო შიფრინი უნდა დასწრებოდა განახლებული კინოთეატრ "რუსთაველის" პრეზენტაციას. თავიდან ჩაფიქრებული იყო, "რუსთაველი" გახსნილიყო ამერიკული ფილმით Bringing Down the House (მთავარ როლებში: სტივ მარტინი და ქუინ ლატიფა), სადაც ლალო შიფრინის მუსიკა ჟღერს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ დროისათვის ფილმი ევროპაში ჯერ არ არის ნაჩვენები და, ამის გამო, მისი თბილისში ჩამოტანა ვერ მოხერხდა; ამიტომ არჩევანი შეჩერდა "ჩარლის ანგელოზები 2"-ზე. მაგრამ, რადგანაც კინოთეატრში მიმდინარე რემონტი არ დასრულებულა, პრეზენტაცია გადაიდო და, ცხადია, მას ლალო შიფრინი ველარ დაესწრება. იმ ბილეთების მფლობელებს კი, ვინც კონცერტთან ერთად კინოთეატრ "რუსთაველის" გახსნასაც უნდა დასწრებოდნენ, ამის შესაძლებლობა 14 ნოემბერს ექნება.

თუ გავითვალისწინებთ ლალო შიფრინის პროფესიულ კარიერას, გამოცდილებასა და მიღწევებს, ყოველგვარი გადაჭარბებული პათეტიკის გარეშე, შეიძლება ითქვს, რომ მისი თბილისში მოწვევა წლის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში. თავად ორგანიზატორებისთვის კი ერთ-ერთი, ალბათ, ყველაზე საპასუხისმგებლო პროექტი.

პიანისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი; დღეისათვის ჰოლივუდში ყველაზე სასურველი მუსიკოსი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი შემოქმედი - ასე მოიხსენიებენ მთელს მსოფლიოში ლალო შიფრინს; "მისი შემოქმედება მუსიკის ფერიაა;" "მუსიკოსი - გამორჩეული წარმოსახვითა და შესაძლებლობებით", - წერენ მასზე წამყვანი დასავლური გაზეთები. გარდა ამისა - ლალო შიფრინი ოსკარის პრემიაზე ექვსჯერ არის წარდგენილი; მუსიკაში ყველაზე პრესტიჟული "გრემი" 21 ნომინაციიდან ოთხჯერ აქვს აღებული; 1988 წელს მიენიჭა BMI-ის ჯილდო პროფესიული ღვაწლისათვის; მიღებული აქვს ისრაელის მთავრობის ჯილდო – "მუსიკის საშუალებით ხალხთა შორის ურთიერთგაგებაში შეტანილი წვლილისათვის"; 1998 წელს ლოს-ანჟელესის მუსიკალურმა ცენტრმა მას დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა; 1999 წელს აირჩიეს არგენტინის პრეზიდენტის მრჩევლად კულტურის საკითხებში; ამავე წელს დაინიშნა The Los Angeles Latin Jazz Institute ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელად.

არგენტინაში დაბადებული მომავალი მუსიკოსი საკუთარმა მამამ, ბუენოს-აირესის ორკესტრის "თეატრო ჩოლონ" კონცერტმეისტერმა, ლუი შიფრინმა ბავშვობიდან აზიარა კლასიკურ განათლებას. პარიზის კონსერვატორიაში სწავლისას ჩვეულებრივ დღეებში კლასიკურ მუსიკას ეუფლებოდა, დასვენების დღეებში კი - საუკეთესო ევროპელ მუსიკოსებთან ერთად ჯაზკლუბებში უკრავდა. მას შემდეგ ჯაზი შიფრინის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. 50-იან წლებში ბუენოს-აირესში დაბრუნებულმა შიფრინმა საკუთარი ორკესტრი ჩამოაყალიბა. როდესაც ლეგენდარულმა მესაყვირემ დიზზი გილესპიმ მისი პიანიზმი და არანჟირების ოსტატობა მოისმინა, ნიუ-იორკში მიიწვია. სცენაზე შიფრინი გამოდიოდა ჯაზის ვარსკვლავებთან ერთად. ესენი იყვნენ: სარა ვოენი, ელლა ფიცჯერალდი, სტენ გეცი, ქაუნტ ბეისი და ბევრი სხვა. მუშაობდა ისეთ ორკესტრებთან, როგორებიცაა: პარიზის, ლონდონის, ლოს ანჟელესის, მეხიკო სითისა და ისრაელის ფილარმონიების ორკესტრები, ასევე - ლონდონის, ვენის, ჰიუსტონის, ატლანტის, არგენტინის ეროვნული სიმფონიური და ლოს ანჟელესის კამერულ ორკესტრებში.

1986 წელს შიფრინმა Glendale Symphony ორკესტრთან ერთად Hollywood Bowl დარბაზში 17-ათასიან აუდიტორიას საკუთარი ნაწარმოები: "დიდება თავისუფლების ქანდაკებას" წარუდგინა. მაესტროს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზები: "კარნეგი ჰოლი", "ლინკოლნ ცენტრი", "ლოს ანჟელეს მიუზიქ ცენტრი", "როიალ ფესტივალ ჰოლი", "ტეატრო კოლონი", "სალე ფლეიელი" და "ჩემფს ელისი თეატრი".

ლალო შიფრინი ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც ერთი ადამიანის შემოქმედებით ბიოგრაფიაში თანაბარი ადგილი უკავია კლასიკურ მუსიკასაც და ჯაზსაც. მუსიკოსის კლასიკურ ნაწარმოებებს მიეკუთვნება: Cantos Aztecas - ჩაწერილი პლასიდო დომინგოსთან, ორკესტრთან და გუნდთან ერთად; "კონცერტი ფორტეპიანოსთვის № 2"- სტეინვეის ფონდის დავალებით დაწერილი, რომლის პრემიერა, მსტისლავ როსტროპოვიჩის ხელმძღვანელობით, ვაშინგტონში, კენედის ცენტრის დარბაზში გაიმართა და ბევრი სხვა.

ლალო შიფრინს სამი გალაკონცერტისათვის სამმა აღიარებულმა ტენორმა: ხოსე კარერასმა, პლასიდო დომინგომ და ლუჩიანო პავაროტიმ მუსიკა "შეუკვეთა". ეს მუსიკა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების (1990 წელს იტალიაში, 1994 წელს ლოს-ანჟელესსა და 1998 წელს პარიზში დახურვისას ჟღერდა. ლალო შიფრინი საშობაო პროექტებზეც მუშაობდა. მისი არანჟირებით შეიქმნა: "შობა ვენაში" დაიანა როსის, ხოსე კარერასისა და პლასიდო დომინგოს შესრულებით; "შობის დღესასწაული"' ხოსე კარერასის, პლასიდო დომინგოსა და ნატალი კოულის მონაწილეობით.

1993 წლიდან შიფრინი, როგორც კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი წარმოადგენს ჩანაწერების სერიას "ჯაზი ხვდება სიმფონიას". ამ ნაწარმოებებს ასრულებენ: ლონდონის ფილარმონიისა და ლონდონის სიმფონიური ორკესტრები; ასევე, ჯაზის ვარსკვლავები: რეი ბრაუნი, გრედი ტაიტი, ჯონ ფედისი, პაკუიტო დ,რივიერა, ჯეიმს მორისონი და ჯეფ ჰემილტონი. ოთხი ჩანაწერისგან შემდგარი "კოლექცია ჯაზი ხვდება სიმფონიას" დაჯილდოებულია გრემით. შიფრინის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ ჩანაწერად კი მიიჩნევა, ასევე, გრემის მფლობელი "ლატინ ჯაზ სუიტა".

# ესპანეთის გასტროლები, თელაველების ლხინი და გასაჭირი

ნათია ვადაჭკორია

*ზაფხულის მიწურულს თელავის თეატრი, ესპანეთში მცხოვრები ქართული ემიგრაციის მიწვევით, საგასტროლოდ იმყოფებოდა. სწორედ ეს მოვლენა გახდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან - ვანო იანტბელიძესთან ჩვენი საუბრის მიზეზი.*

### თელავის თეატრი

თელავის თეატრს, რომელსაც, მართლაც, საამაყოდ აქვს საქმე, გასული წლის დეკემბერში თბილისში გასტროლების დროს, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, აკადემიურის სახელი მიენიჭა და ამჟამად ვაჟა-ფშაველას სახელობის აკადემიურ თეატრად იწოდება. ყოველგვარ დახმარებას თელაველები ადგილობრივ ხელისუფლებას უმადლიან - სხვა არც არავინ იბერტყავს ყურს. და თუ მაინც მოხდა ამგვარი გამონაკლისი, ისიც - პირადი ურთიერთობების ხარჯზე.

არადა, თეატრს მართლაც უჭირს - არ არსებობს გათბობა, ჭერიც შესაკეთებელია. პრობლემები სხვაც ბევრია, რომელთა მოსაგვარებლად თეატრის ხელმძღვანელობა არამარტო მთავრობისგან, არამედ ბიზნესმენებისგან და, თუ გნებავთ, პოლიტიკოსებისგანაც მოელის დახმარებას. შექმნილი პირობების გამო, მთელი სეზონის განმავლობაში თეატრი, ფაქტობრივად, მხოლოდ შემოდგომაზე და გაზაფხულზე ფუნქციონირებს, რადგან ზამთარში იქ სპექტაკლების ჩატარება და მაყურებლის მოზიდვა შეუძლებელია. თელაველებს იმედი აქვთ, რომ გაისისთვის შენობის შესაკეთებლად რაიმე თანხა მაინც გამოინახება, რათა 2004 წლის 14 იანვარს ქართული თეატრის დღე თელავში საკადრისად აღინიშნოს.

### რეპერტუარი

შემოქმედებითი აღმავლობის და წარმატებების მხრივ, თელაველებს ნამდვილად არ დაეძრახებათ. ვანო იანტბელიძის (მეორე წელია, რაც იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია) თქმით, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში თეატრმა რვა პრემიერა წარმოადგინა, რაც პერიფერიის თეატრისთვის საკმაოდ საამაყოა. რეპერტუარი მრავალფეროვანია – ლევან სვანაძის მიერ დადგმული "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", კოტე მირიანაშვილის მიერ განახლებული "ივანიკას ოინები", გოგი ჩაკვეტაძის "მშვიდობით ლომებო", "ქურდების მეჯლისი", ფიქრია ყუშიტაშვილის "ალადინის ლამპარი", "ქალი მკვლელი" და სხვა დადგმები.

**"თეატრში სპექტაკლები, როგორც დიდ, ისე მცირე სცენაზეც იდგმება და მსახიობები სრულად არიან დაკავებულები. არტისტთა უსაქმოდ ყოფნა, პრაქტიკულად, გამორიცხულია და შედეგიც არ გახლავთ ურიგო. მით უმეტეს, რომ მაყურებელი დიდ და მცირე სცენაზე განხორციელებულ სპექტაკლებს საკმაოდ აქტიურად ესწრება,"** – გვიამბობს ვანო იანტბელიძე.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, თელავის თეატრში კიდევ ერთი წესია - არ არსებობს მთავარი რეჟისორი და სპექტაკლებს მხოლოდ მოწვეული რეჟისორები დგამენ, რაც, სამხატვრო ხელმძღვანელის აზრით, ამ ეტაპზე მისაღები ფორმაა. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მთავარი რეჟისორის მოძიების დროც დადგეს.

### გასტროლები

ევროპული კულტურების ინტეგრაციის ფესტივალი - Festival de Europa del Este, რომელიც ყოველწლიურია, მესამედ ჩატარდა ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში და, გარდა თელავის თეატრისა, მასში პანტომიმის თეატრი, მომღერალი მამუკა ონაშვილი და ფოლკლორული ჯგუფი "მინდია" მონაწილეობდნენ. ქართველებმა ფესტივალის ყველა ნომინაციაში გრან-პრი მოიპოვეს. თელაველებმა თეატრალურ სფეროში გაიმარჯვეს რეჟისორ გოგი ჩაკვეტაძის სპექტაკლით "მშვიდობით ლომებო". პიესა, რომლის თავდაპირველი სახელწოდებაა "ჰუმანიტარული დახმარება ბავშვებს", სპეციალურად თელავის თეატრისთვის დრამატურგმა თამაზ ჭილაძემ დაწერა. გარდა ამისა, მსახიობებმა სხვადასხვა სპექტაკლიდან, კოლაჟის სახით, საინტერესო ადგილები წარმოადგინეს, თან ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვებიც დაურთეს, რაც ესპანეთში მცხოვრები ემიგრაციისთვის ძალზედ ემოციური და ამაღელვებელი გახლდათ. ესპანეთის გასტროლებს მალე უკრაინის, საფრანგეთის, გერმანიის და კანადის გასტროლები მოყვება.

### აქაცა რეკამს

თავად ვანო იანტბელიძე მაყურებლისთვის განსაკუთრებით პოპულარული გახდა, რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებების მიხედვით, რეჟისორ ალექსანდრე ქანთარიას მიერ დადგმული სპექტაკლით "ალალე." ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი როლების სათამაშოდ, მაინცდამაინც, ველარ იცლის, თუმცა, როგორც თავად თქვა, ლაშა ბუღაძის სცენარის – "ჰეი, მეგობრებო!" მიხედვით, გიო ცინცაძე აპირებს ოთხსერიანი კომედიის გადაღებას, სადაც ვანო იანტბელიძეცაა მიწვეული. სავარაუდოდ, ფილმი ძალზედ საინტერესო გამოვა, რადგან მასში ნანი ბრეგვაძე, არჩილ გომიაშვილი და სხვა ცნობილი არტისტები მონაწილეობენ. გადაღებები კი თბილისში, თელავში და მოსკოვში იწარმოებს.

"მაგთის" რეკლამის მიხედვით, კახური ქვევრიდან ამოძახილი – აქაცა რეკამს... ვანო იანტბელიძისთვის, კახეთის რეგიონის მასშტაბით, სარეკლამო კლიპებში მრავალრიცხოვანი გადაღებების მიზეზი გახდა.

### როგორ გახდა ამერიკელი ჯონი სიღნაღელი

სამომავლო გეგმებზე საუბრის დროს ბატონმა ვანომ ერთი საინტერესო ისტორია მოგვითხრო. რამდენიმე წლის წინ სიღნაღში ამერიკიდან მხატვარი ჯონი ვუდერმანი ჩამოვიდა. ჩამოვიდა და, პრაქტიკულად, უკან აღარც დაბრუნებულა, ისე მოეწონა ქართველები და, კერძოდ, სიღნაღელები. აქაური ქალიც შეირთო, შვილებიც ეყოლა, ქართულადაც მშვენივრად საუბრობს და მღერის. პარალელურად, ულამაზეს ალაზნის ველს ხატავს, ამერიკაში ქართული ხალხური სიმღერის დასაგუგუნებლად ქართველი მეგობრები დაჰყავს და ვანო იანტბელიძესთან ერთად ხელოვნების ფესტივალის ჩატარებასაც აპირებს. ასე გახდა ამერიკელი ჯონი - ჯონი სიღნაღელი.



## ფრანგების სიამაყე

ამ დღეებში საფრანგეთის ხელისუფლებამ, პარიზთან ახლოს მდებარე ვერსალის სასახლის განახლების ფართომასშტაბიანი გეგმა წარმოადგინა, რომლის მიხედვით სარესტავრაციო სამუშაოები 17 წელიწადს გასტანს და 390 მილიონი ევრო დაჯდება. “ლუი-ფილიპის (1830) მეფობის შემდეგ სასახლისთვის ეს ყველაზე გრანდიოზული აღდგენითი პროექტია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჟამთააღმწერელ ძეგლს შეეხება და ძველი რეჟიმის და რევოლუციის სიმბოლოდ მოიაზრება,” – განაცხადა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ჟანჟაკ აილაგონმა.

სარესტავრაციო სამუშაოები სამ ეტაპად განვითარდება. პირველი ეტაპი, რომელიც 2003 წლიდან 2009 წლამდე გასტანს, დამცავ მექანიზმებს (ხანძრის და ვანდალიზმის საწინააღმდეგო სისტემა) და შესასვლელის რეორგანიზაციას დასჭირდება. XVII საუკუნის სასახლე წელიწადში 3 მილიონ დამთვალიერებელს მასპინძლობს, რომელთაგან 80 პროცენტი უცხოელია. “ევრო დისნეის” ატრაქციონების შემდეგ ვერსალის ბაღები (10 მილიონი დამთვალიერებელი) ყველაზე სტუმრიანი ადგილია.

ამიერიდან დამთვალიერებელთა მიღება, ექვსი შესასვლელის ნაცვლად, მხოლოდ ორი კარიდან მოხდება. ტურისტული ჯგუფები ერთი კარით ისარგებლებენ, ხოლო ინდივიდუმები – მეორეთი. წინასწარი ვარაუდით, სარესტავრაციო სამუშაოების პრიორიტეტი ბაღში გამავალი სასახლის წინა ფასადი, ბაროკოს სტილის მარმარილოს და სამეფო ეზოები იქნება. გარდა ამისა, აღდგება ლუი XIV-ის მოოქროვილი სკულპტურა და ბაღების ცენტრალური ნაწილი – Grand Trianon, რომელიც 1999 წლის ქარიშხლის შედეგად დაზიანდა.

ფრანგული პრესა მოწონებით შეხვდა პრეზიდენტ ჟაკ შირაკის გრანდიოზულ პროექტს და მისი წინამორბედის, სოციალისტ ფრანსუა მიტერანის მიერ განხორციელებულ Grand Louvre-ის აღდგენას შეადარა. მასშტაბურ რესტავრაციას სახელწოდებით – Grand Versailles არქიტექტორი ფრედერიკ დიდიე ხელმძღვანელობს და აღნიშნავს, რომ, ლუვრის რესტავრირებისგან (უძველეს მუზეუმს თანამედროვე სტილის ნაგებობა მიუდგეს) განსხვავებით, ვერსალის სტილი ხელუხლებლად შენარჩუნდება.

## საქველმოქმედო შოუ

11 დეკემბერს ლონდონის Islington Carling Academy-ში დიდი საქველმოქმედო შოუა დაგეგმილი. ღონისძიებისთვის ემზადება ცნობილი ბრიტანული ჯგუფი Cure. როგორც მისმა ლიდერმა რობერტ სმიტმა განაცხადა, კონცერტი საკმაოდ კარგი გამოვა. თავად ჯგუფისთვის ეს საღამო იმითაც იქნება მნიშვნელოვანი, რომ მისი აუდიტორია მცირეწლოვანი მსმენელი იქნება. “ჩვენ ძალიან მოგვეწონა იდეა და დარწმუნებულები ვართ, რომ კონცერტი გაამართლებს”, - ამბობს მუსიკოსი.

## სამი წელიწადი ლას ვეგასში

ელტონ ჯონმა უკვე ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც ავალდებულებს მუსიკოსს, სამი წლის განმავლობაში ლას ვეგასში 75 კონცერტი გამართოს. მომღერალი, რომელიც აქამდე მალავდა ასეთ გარიგებას, 2004 წლის თებერვალში შეუდგება ვალდებულების აღსრულებას. დაგეგმილია უკვე პირველი კონცერტი Caesars Palace-ში. ხოლო ამ კონცერტზე დასასწრები ბილეთები, რომელთა ღირებულება 100, 175 და 250 აშშ დოლარია, უკვე იყიდება.

## ახალი შედევრი

ჯონ კეილი ის ადამიანია, რომლის ღვაწლიც მუსიკაში და, საერთოდ, თანამედროვე ხელოვნებაში, ალბათ, შეუფასებელია. The Velvet Underground-ის მამა და დამაარსებელი, ნიჭიერი მუსიკოსი, პოეტი და მხატვარი, რამდენიმე კლასიკური ალბომის ავტორი... ახლა კი გამოვიდა კეილის ნამუშევარი ინტრიგული სახელწოდებით Hobosapiens, რომელიც ისეთმა ავტორიტეტულმა მუსიკალურმა ჟურნალებმა, როგორებიცაა: Q, New Musical Express და Mojo სეზონის ცენტრალურ მოვლენად შეაფასეს. კეილის ხმა და ქარიზმატული ტექსტები, ელექტრონული ხმაურის ფონზე, შერწყმულია დახვეწილ ჰარმონიასთან – კარგა ხანია, კეილი ამ საქმეში უბადლოა. მართალია, ალბომი გაყიდვების ჩემპიონი, ალბათ, ვერასდროს გახდება, თუმცა ეს ბევრს არ ნიშნავს. ალბომი აუცილებლად დააინტერესებს ჭეშმარიტ მელომანებს.

# მუსიკა, პოლიტიკა და გემოვნება

ჩვენი პოლიტიკოსების ინდივიდუალურ გემოვნებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ კოლექტიურის შესახებ, ასე თუ ისე, ცნობილია. რეკლამის დამამზადებლებისგან განსხვავებით, მათ წინდახედულობა, ან, როგორც დღეს ამას ეძახიან, პოლიტკორექტულობა გამოიჩინეს და თავიანთ წინასაარჩევნო ბატალიებში არ გამოუყენებიათ ცნობილი დასავლური ჰიტების აკორდები. მათ აქცენტი ეროვნულ ფოლკლორსა და ახალ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებზე გააკეთეს. ძნელი სავარაუდოა, რომ თუნდაც ლევან მამალაძე მოცალეობის ჟამს სახლში ჯემალ სეფიაშვილის ახალი ჰიტით, "საქართველო, საქართველო," იქცევდეს თავს. თუმცა, მისმა ბლოკმა გადაწყვიტა, რომ ეს ამომრჩეველთა ხმების მისაპყრობად ერთ-ერთი საშუალება იქნებოდა. "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" ამ მხრივ უფრო გემოვნებიანი არჩევანი გააკეთეს - "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია" დედა-შვილის ნანი ბრეგვაძისა და ეკა მამალაძის შესრულებით; "აღორძინება" ხუჯაძის ტალანტით შემოიფარგლა, ხოლო ყველაზე ეფექტური, ალბათ, ხალხური ფესვების გამო, "ახლების" "დოუ-ნანა" გამოდგა.

დაახლოებით, ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და დემოკრატიულ მეგობარ ქვეყანაში, ამერიკაში. ეტყობა, იქაც კარგად იციან, რომ ტეხასში ბანკი ტეხასელებმა უნდა გაიტანონ. განსხვავება საქართველოსთან, უბრალოდ, ის არის, რომ მათი რჩეულნი საერთაშორისო სტატუსის ვარსკვლავები არიან. თუმცა, თქვენ თვითონ ნახეთ, თუ რას უსმენენ დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატები.

“თუ გსურთ, იცოდეთ, რას ფიქრობენ პოლიტიკოსები სინამდვილეში, დაივიწყეთ მათი გამოსვლები და წინასაარჩევნო კამპანიაზე დახარჯული თანხები, გადახედეთ მათი კომპაქტ-დისკების კოლექციებს, ყური უგდეთ, რას ღიღინებენ ისინი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობის დროს და სიმართლეს სწორედ ასე გაიგებთ”, - წერს “ლოს ანჯელეს ტაიმსის” მიმომხილველი ჯოფ ბაუჩერი და აღტაცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ერთ-ერთი დებატების დროს დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატებს საყვარელი სიმღერების დასახელება სთხოვეს. ბაუჩერი პოლიტიკურ-იუმორისტულ მიმოხილვას სწორედ ამ ჰანგებზე აგებს და პოლიტიკურ პროგნოზებს სიმღერების ტექსტების მიხედვით აკეთებს. აი, მისი დასკვნები:

**ვერმონტის ყოფილი გუბერნატორი ჰოვარდ დინი**: ეს პოლიტიკოსი, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალზე ორიგინალურია. ის საყვარელ სიმღერად უიკლიფ ჯინის Jaspora-ს ასახელებს. **უიკლიფ ჯინი** – ჰიპ-ჰოპის წარმოშობით ჰაიტელი მომღერალი და პოპულარული ჯგუფის “ფუჯიზის” წევრი Jaspora-ს ფრანგული კრეოლით მღერის. რა, ჰოვარდ დინი ფლობს ამ ენას? თუ ის შინაარსს არად დაგიდევთ და, უბრალოდ, ჰიპ-ჰოპის ენერგიული რიტმი მოსწონს? ეს არავინ იცის. ისე კი, მისი მეტოქეები დინის პოპულისტურ ხიბლსა და პრესის მისადმი კეთილგანწყობას რომ ითვალისწინებდნენ, ალბათ, ახლა “ფუჯიზის” სხვა ჰიტს უნდა ღიღინებდნენ გულამოსკვნით – “ნაზად მკლავს თავისი სიმღერით” (Killing Me Softly).

**კონგრესმენი რიჩარდ გეპჰარდტი**: პრეზიდენტმა რეიგანმა თავისი მეორე საპრეზიდენტო კამპანიისთვის **ბრიუს სპრინგსტინის** ანტი-ამერიკული ჰიტი Born in the U.S.A. (“ამერიკაში დაბადებული”) შეარჩია და ის ამერიკული პატრიოტიზმის მაგალითად დასახა. ალბათ, რეიგანს საერთოდ არ ჰქონდა მოსმენილი სიმღერის ტექსტი ვიეტნამიდან შინ დაბრუნებულ ამერიკელზე: “დავიბადე გარდაცვლილი კაცის ქალაქში... დღედაღამ ნაცემი ძაღლივით მიგაგდებენ ბოლოს... ხელში იარაღი მომაჩეჩეს, ვიეტნამში მიკრეს პირი, ყვითელკანიანი ადამიანების მოსაკლავად” – თორემ არჩევანში ასე ხომ არ შეცდებოდა?

ახლა იგივე სიმღერას რიჩარდ გეპჰარდტი ირჩევს... საინტერესოა, პოლიტიკური მიზნებით, ტექსტის უცოდინარობის გამო, თუ, უბრალოდ, მაქს ვაინბერგის დასარტყამ ინსტრუმენტზე ენერგიული შესრულება მოსწონს?

**სენატორი ჯონ კერი**: ისიც გეპჰარდტს უბამს მხარს და საყვარელ სიმღერად **სპრინგსტინის** ნაკლებად ცნობილ ჩანაწერს – No Surrender-ს (არ დანებდეთ) ასახელებს. კერი ვიეტნამის ომის ვეტერანია და, შესაძლოა, სიმღერაში აღწერილი სამხედრო სიტუაციები მოსწონს. თუმცა, სინამდვილეში ამჯერად ომი არაფერ შუაშია. სიმღერისთვის ბოლომდე რომ მოესმინა, კერი მიხვდებოდა, რომ “ბოსი” ქუჩის ხულიგან ბავშვებზე მღერის, რომლებიც აცდენენ გაკვეთილებს და როკ-ენ-როლს უსმენენ. ხოლო თუ მაინცდამაინც ასეთი სიტუაციები იზიდავდა სენატორს, არ ჯობდა, სპრინგსტინის სხვა სიმღერა Jungleland (ალბომიდან Born to Run, 1975 წ.) შეერჩია ღამეული ჰარლემის ქუჩის ბანდებზე, ვირთხებზე, სიკვდილის ვალსზე და ქუჩაში ფეხშიშველა მდგარ გოგოზე, რომელიც ზაფხულის წვიმას უშვერს სახეს და თბილ ლუდს სვამს?

**სენატორი ჯონ ედვარდსი**: ის საყვარელ სიმღერად **ჯონ მელენკამპის** Small Town-ს (“პატარა ქალაქი”) ასახელებს. ისე, თუ მაინცდამაინც ქალაქზე დაწერილი სიმღერები მოსწონს, სპრინგსტინის My Hometown (“ჩემი მშობლიური ქალაქი”) ვერ აირჩია? არა, განა მელენკამპის სიმღერას მელოდიას ვუწუნებთ, მაგრამ ტექსტს რომ უსმინოთ, დარწმუნდებით, რომ სენატორი ედვარდსი ბოლოს თავს დიდ, თეთრ რეზიდენციაში კი არა, პატარა ვარდისფერ სახლში ამოჰყოფს. მელენკამი ხომ ასე მღერის: “მე პატარა ქალაქში დავიბადე; აქ მე ლაღად ვსუნთქავ; ამ ქალაქში ვაპირებ სიკვდილს; ალბათ, აქვე დამასაფლავებენ”.

**სენატორი ჯო ლიბერმანი**: მისი საყვარელი სიმღერაა **ფრენკ სინატრას** My Way (ჩემი გზა). თავისთავად ლამაზი მელოდიაა, მაგრამ კარგი ფინალი პრეზიდენტობის მოსურნე სენატორისთვის მაინც არ აქვს: “ახლა აღსასრული მოახლოვდა, უკანასკნელი ფარდა უნდა დაეშვას...”

**სენატორი ბობ გრემი**: ფლორიდელი გრემი თავისი მშობლიური შტატის გმირს **ჯიმი ბაფეტს** და მის 1977 წლის სიმღერას Changes in Latitudes, Changes in Attitudes ირჩევს. ამ ჩანაწერს, მართლაც, ვერაფერს დავუწუნებთ - ფლორიდული განწყობა მოაქვს თან. მაგრამ, ამავე დროს შეიცავს ერთ ძალზე საინტერესო სტროფსაც, რომელიც არა მხოლოდ ბობ გრემმა, არამედ ყველა პოლიტიკოსმა უნდა დაიხსომოს: “იმდენს დავრბივართ და ვმაიმუნობთ, რომ სიცილი რომ არ შეგვეძლოს, ალბათ, ყველა გავგიჟდებოდით”.



*მაიკლ ჯექსონი და ჯეიმს ბრაუნი.*

# ორი რასპუტინი - ბანი და... ტენორი, ერთი ლოს ანჯელესში, მეორე - ჰელსინკში

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ეს ამბავი ბერლინში მოხდა. იქაური ოპერის სცენაზე, უკვე მერამდენედ, ვაგნერის “ვალკირიებში” ერთმანეთს გმირი და ბოროტმოქმედი შეერკინენ – ესპანელი ტენორი პლაჩიდო დომინგო და ფინელი ბანი მატი სალმინენი. სცენაზე მოსისხლე მტრები ცხოვრებაში განუყრელი მეგობრები არიან. დომინგო ჰყვება, რომ ერთხელ “მეგობარმა მტრებმა” გადაწყვიტეს, თავისუფალი დროით ესარგებლათ და ცნობილ ბერლინურ სასტუმროში, “ადლონში” ესადილათ. დომინგომ სალმინენს უთხრა, რომ ლოს ანჯელესის ოპერაში, “ნიკოლაი და ალექსანდრაში” რასპუტინის პარტიის რეპეტიციებს გადის. ტენორს საშინლად გაუკვირდა, როცა ბანმა უპასუხა, რომ ჰელსინკში ისიც რასპუტინის პარტიაზე მუშაობს! “შეუძლებელია!” - შესძახა დომინგომ.

პრემიერის დღეებიც, თითქმის, ერთმანეთს დაემთხვა. რასპუტინის როლში დომინგოს დებიუტი 14 სექტემბერს შედგა, სალმინენისა ჰელსინკში – 19 სექტემბერს. მაგრამ, დამთხვევები ამით არ დასრულებულა. ოპერა, რომელშიც დომინგო მღერის, ამერიკელმა კომპოზიტორმა ქალმა დებორა დრეტელმა ნიკოლას ფონ ჰოფმანის ლიბრეტოს მიხედვით დაწერა. იმ ოპერის და ლიბრეტოს ავტორი, რომელშიც სალმინენი მღერის, ცნობილი ფინელი კომპოზიტორი, 74 წლის ეინოიუჰანი რაუტავაარა გახლავთ (დებორა დრეტელი 47 წლისაა). მას მოკლე და კონკრეტული სახელწოდება აქვს: “რასპუტინი”.

რუსეთის ისტორია, მისი დრამატიზმი და ტრაგიზმი, ალბათ, ყველაზე ემოციურად რუსი კომპოზიტორების – გლინკას, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ბოროდინის, პროკოფიევის გენიალურ ოპერებშია ასახული. რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ II და მისი ოჯახის ბედით ასეთივე სისხლითა და მისტიკით გაჟღენთილი მასალისგანაა შექმნილი. მასში რუსეთის ტრაგიკული ისტორიის, თითქმის, ყველა ინგრედიენტია თავმოყრილი. ყველა ღირსებისა და მათში სახელგანთქმული მომღერლების მონაწილეობის მიუხედავად, სამწუხაროდ, ვერც ერთი ეს ოპერა ვერ გაუტოლდა რუსულ მუსიკალურ კლასიკას, ისტორიის დრამატული სიუჟეტი ვერც ერთმა ვერ დაძლია და შემოქმედებითად ვერ გადაამუშავა. რასაკვირველია, ორივე კომპოზიტორს ესმოდა, რომ რუსული სიუჟეტი რუსულ მუსიკალურ ატმოსფეროს, რუსულ ჰაერს მოითხოვდა.

დრეტელიც და როუტავაარიც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ლიტურგიულ საგალობლებს მიმართავენ. მაგრამ, ისინი ისეთივე ეული გამოუვიდათ, როგორც ზეთისხილი - ვოდკა-მარტინიში. მიკო ფრანკი, ფინელი მაესტრო, რომელიც “რასპუტინს” დირიჟორობს, ამას არც მალავს. “მუსიკალური თვალსაზრისით, ოპერის პარტიტურა სრულიად უნიკალურია, - თვლის ის, - სირთულეები მხოლოდ ერთ-ორ სცენაში იჩენს თავს, რომლებიც სწრაფ ტემპში უნდა შესრულდეს. ამიტომ ვეცადეთ, რომ ოპერის ხანგრძლივობა და ორგანული სტრუქტურა სწრაფ ეპიზოდებთან შედარებით შენელებული არ ჩანდეს” (კომპოზიტორზე საეკლესიო საგალობლებმა მოახდინა გავლენა, რომელიც მას ფინეთის კუნძულებზე, რუსულ მონასტერში არაერთგზის მოუსმენია).

ლოს ანჯელესში სადირიჟორო პულტთან თავად მსტისლავ როსტროპოვიჩი დგას, რომელსაც ორგანულად ახლავს “რუსული სურნელი”. თუმცა, ის პარტიტურის “რუსიფიკაციის” გზას არ დადგომია და სწორადაც მოიქცა, ვინაიდან შედეგი სავალალო იქნებოდა. დირიჟორმა ზუსტ გადაწყვეტილებას მიაგნო, როცა წმინდა წყლის რუსული დრამის ზოგადსაკაცობრიო კონტექსტზე გააკეთა აქცენტი და მუსიკის კოსმოპოლიტურ ხასიათს გაუსვა ხაზი. “ოპერის აზრი მხოლოდ რუსული როდია. წმინდა ნაციონალურის გავლით, ის ადამიანური, ინტერნაციონალურია,” - ამბობს როსტროპოვიჩი. სხვა ამბავია, რომ ის თავად, ამერიკული აუდიტორიისაგან განსხვავებით, ემოციური თვალსაზრისით, ოპერას ბევრად უფრო ღრმად აღიქვამს და არამარტო იმიტომ, რომ მუსიკოსია, არამედ იმიტომაც, რომ “რუსული სული” აქვს. როსტროპოვიჩი ამბობს: “მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდეგ ათი წლის თავზე დავიბადე, მეფის ოჯახის მკვლელობის ცოდვა ყოველთვის მძიმე ტვირთად მაწვა. წელს ყველა ჩემი კონცერტი გადავდე, რომ ეკატერინბურგში ახალი, ლამაზი ეკლესიის გახსნას დავსწრებოდი. ეს ეკლესია სწორედ იმ ადგილასაა აშენებული, სადაც მეფის ოჯახი დახვრიტეს. მაშინ შვება ვიგრძენი. ჩვენ ყველამ ვაღიარეთ ჩვენი საერთო ცოდვა. ახლა რუსეთში აღარ დავობენ იმის შესახებ, სწორი იყო ეს თუ არასწორი. ჩვენ, უბრალოდ, ღმერთს ვთხოვთ, მოგვიტევოს”.

თუმცა, ორ რასპუტინს მივუბრუნდეთ. მისი პიროვნება დასავლეთის საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებს. “ნიუ იორკ ტაიმსში” კრიტიკოსი მეტიუ გურევიჩი აღნიშნავს, რომ “დრამის ყველა სახე ტრაგიკულია, მაგრამ განსაკუთრებით რასპუტინი გვნუსხავს. ვინ იყო ის სინამდვილეში – იმპერატორის მეუღლის, ალექსანდრას საყვარელი თუ იმპოტენტი? მესია თუ ჭეშმარიტი ანტიქრისტე? წმინდა მკურნალი თუ ვნებებს აყოლილი ეშმაკი? ასკეტი თუ ლოთი?” ორივე ოპერის ლიბრეტო, მნიშვნელოვანწილად, ედვარდ რაძინსკის მიერ რასპუტინის შესახებ დაწერილ წიგნს ეყრდნობა. სხვათა შორის, მსტისლავ როსტროპოვიჩს ამაშიც მიუძღვის წვლილი. სწორედ მან იყიდა “სოტბის” აუქციონზე მრავალი, მანამდე უცნობი საბუთი რასპუტინის შესახებ, და ისინი მწერალს გადასცა. რაძინსკისთან რასპუტინი სულაც არაა ერთუჯრედიანი. ის ცალსახა პასუხებს არც ერთ კითხვაზე არ იძლევა. რასპუტინის გარეგნობაც კი სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. მის თანამედროვეთა მოწმობით, ის მაღალიც იყო და დაბალიც; გამხდარიც და მსუქანიც. ერთნი მას იდეალური, თეთრი კბილებით აღწერენ, სხვები ამბობენ, რომ რასპუტინს დამპალი კბილები ჰქონდა და პირი უყარდა. ხმა როგორი ჰქონდა? ეს რაძინსკიმაც კი არ იცის (სწორედ ასეთი გაუგებრობის შედეგია ორი რასპუტინი – ტენორი და ბანი).

რაც შეეხება რასპუტინის იმპოტენტობას: ორმოცზე მეტი წლის წინათ რასპუტინის ასულმა მამამისის მუმიფიცირებული პენისი წარმომიდგინა, რომელიც – თუ ყალბი არაა, იმპოტენციის გარდა, ყველაფერზე მეტყველებს. სხვათა შორის, ამ ცოდვილის ასული ლოს ანჯელესში ცხოვრობდა.

თავდაპირველად დებორა დრეტელის რასპუტინიც ბანი იყო. როცა პლაჩიდო დომინგოსთან დაიჭირა საქმე, ის მისთვის იმდენად მომღერალი არ ყოფილა, რამდენადაც ლოს ანჯელესის ოპერის გენერალური დირექტორი და ვაშინგტონის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. დომინგოსთვის თავის მოსაქონად მან მას მეფე ნიკოლოზ II-ის პარტია შესთავაზა. მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ავტორის საფორტეპიანო შესრულებით ოპერის ფრაგმენტები მოისმინა, დომინგომ მას მოულოდნელი რამ შესთავაზა: რასპუტინის პარტიის ტენორისთვის გადაკეთება. ამ შემთხვევაში ის მის სიმღერაზე დათანხმდებოდა. დომინგომ ლოს ანჯელესის მიერ ოპერის შეძენის გარანტიაც მისცა, იმ პირობით, რომ ავტორი რასპუტინის პარტიას “გაზრდიდა” და მეფე ნიკოლოზს ტენორიდან ბარიტონში გადაიყვანდა.

რით ხელმძღვანელობდა დიდი ტენორი? თავად ის თავის გადაწყვეტილებას ამგვარად ხსნის: “ოპერაში ნიკოლოზი რამდენიმე ასაკს გადის. ლოგიკურად, დასაწყისში ის ძალიან ახალგაზრდაა. მისტიკურ რასპუტინს კი, თითქოს, ასაკი არა აქვს”. დომინგო აშკარად თავის ასაკს გულისხმობდა – ის 62 წლისაა. მაგრამ, როგორც ჩანს, მომღერალმა არ იცოდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ რასპუტინი სინამდვილეში ნიკოლოზზე ერთი წლით უმცროსი იყო (ის 1869 წლის 10 იანვარს დაიბადა).

დებორა დრეტელი დომინგოს წინადადებამ შეძრა – ის სრულიად ეწინააღმდეგებოდა მისი ოპერის მუსიკალურ კონცეფციას. მან მის იდეაზე უარის თქმა გადაწყვიტა. მაგრამ, ცდუნება მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა. “ერთმა მუსიკალურმა მოღვაწემ, რომელსაც კარგად ვიცნობ, მითხრა: “გადაირიე? ასეთ იღბალზე უარის თქმა ვის გაუგია?” თან მისტერ დომინგო რასპუტინის როლს დიდ ძალად აქცევდა”. მოკლედ, დებორა დრეტელმა, დომინგოს გამო, თავისი პრინციპები დათმო. რასპუტინი მან მეორე აქტის ბოლოს “მოკლა”. ამიტომ მესამე, დასკვნით აქტში რასპუტინი სცენაზე აღარ დგას. “სულელი ხომ არა ვარ. მესამე აქტი ყველაზე მოკლე გავაკეთე,” - აღიარა ოპერის ავტორმა.

დომინგოსგან განსხვავებით, რასპუტინ-სალმინენს ბევრად უფრო რთულად აქვს საქმე. ოპერაში, რომელიც ორსაათნახევარი გრძელდება, ის საათნახევრის განმავლობაში მღერის. სალმინენს წმინდა დრამატული დატვირთვაც მეტი აქვს. მისი რასპუტინი ხან ძალიან ნაზია, ხანაც – გამხეცებული. “რასპუტინის” წერისას კომპოზიტორი უკვე სალმინენს გულისხმობდა. “ამ პერსონაჟის ხასიათი მიზიდავს, - ამბობს ის, - სხვაგვარად დრამა კი არა, ალეგორია გამოვიდოდა... ოპერის წერა რასპუტინის მონოლოგით დავიწყე, რომელშიც ის ციმბირის სასწაულებს აღწერს. მე ის სალმინენს ვაჩვენე. ვუკრავდი, ვმღეროდი, დავდიოდი, თუმცა მომღერლად არ ვვარგივარ. სალმინენმა მომისმინა და თქვა: “ცხადია, შენზე უკეთესი მომღერლებისთვისაც მომისმენია, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ეს ჩემი როლია. და ეს ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელი ახალი როლი იქნება”. მე ძალიან გავბედნიერდი, როცა ეს გავიგონე. მე ვიცოდი, რომ სალმინენი თავად რასპუტინზე უკეთესი რასპუტინი იქნებოდა”.(დომინგოსა და სალმინენის დონის ოპერის მომღერლებს, როცა სიმწიფის ხანა უდგებათ ხოლმე, ახალი როლების აღება აღარ უყვართ – მ.ს.).

ლოს ანჯელესის ოპერის სცენაზე დადგმული “ნიკოლაი და ალექსანდრა” სასიყვარულო ამბავია. მას ლიბრეტოს ავტორი ფონ ჰოფმანიც ასე ახასიათებს. და სადაც სასიყვარულო ამბავია, იქ ისტორიული გადახვევებიც დასაშვებია. “თუ რუსეთის რევოლუციის შესახებ გინდათ რამის გაგება, ოპერის ნაცვლად, ბიბლიოთეკაში გაიარეთ, - ამბობს ლიბრეტოს ავტორი, - თუმცა თავად ოპერა საზოგადოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს არ ეწინააღმდეგება, ის მაინც ფანტაზიის ნაყოფია”. მიუხედავად იმისა, რომ რასპუტინის პარტიას დიადი დომინგო მღერის, როსტროპოვიჩსაც მიაჩნია, რომ ოპერის “ემოციური ცენტრი” ნიკოლოზისა და ალექსანდრას ურთიერთობაა. “ცხადია, რასპუტინი ძალიან ძლიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, მაგრამ ის ისტორიულ სცენაზე მხოლოდ მეფესა და დედოფალთან კავშირში აღმოჩნდა. მათ გარეშე, არავის ეცოდინებოდა, ვინ იყო,” - ამბობს როსტროპოვიჩი. ეს სავსებით სამართლიანი შენიშვნაა, ისევე, როგორც ის, რომ მეფისა და მისი ოჯახის ჯალათი რევოლუცია რომ არა, ნიკოლოზი წამებულის კი არა, მტარვალის სახელით შევიდოდა ისტორიაში, როგორც მეფე, რომელიც სუსტიც იყო და “სისხლიანიც”; ალექსანდრა კი უგუნური უცხოელი პრინცესა იქნებოდა, რომელიც რუსეთმა ვერაფრით ვერ მიიღო...

ჰელსინკელი რასპუტინიც ისტორიისა და ფანტაზიის სიმბიოზია. რაუტავაარამ არც აქ უღალატა თავის შემოქმედებით ხელწერას. როგორც ოპერაში “ვინსენტი” (ვან გოგის ცხოვრების შესახებ), “რასპუტინშიც” მთავარი გმირი ბიოგრაფიისა და ჰალუცინაციის ნარევია. დამდგმელის, ვილპი კილიუნენის თქმით, ოპერა “სიურრეალიზმისა და მელოდრამის ერთგვარი კოქტეილია, რომელიც ჰოლივუდის კოსტიუმირებულ, ეპიკურ ტილოებს მოგვაგონებს”. მაგრამ, მისი თქმით, მთავარი აქ ქარგაა, სიუჟეტი. “ნიკოლაი და ალექსანდრას” დამდგმელი ენ ბოგარტი თავისი ქმნილების საკვანძო სიტყვად, “ქარგას” კი არა, “მეხსიერებას” თვლის. “სულ მეხსიერების დაკარგვის ზღვარზე ვდგავართ. გახსენება ჩვენთვის რადიკალური აქტი გახდა. სწორედ ამ მიზეზის გამო, დავდგი “ნიკოლაი და ალექსანდრა”, - ამბობს ის. ბოგარტისთვის ოპერის მთავარი ღერძი ალექსანდრაა.

მაშ ასე, ორი ოპერა და ორი რასპუტინი: ტენორი დომინგო – ლოს ანჯელესში, ბანი სალმინენი – ჰელსინკში. და ისინი ბრწყინვალედ მღერიან.



*დომინგო – რასპუტინი.*

ფეხბურთი

# ჰარგრეივზი დაისვენებს


ჰარგრეივზი "ლიონთან" ვერ ითამაშებს.

ოტმარ ჰიტცფელდს ფრანგულ "ლიონთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ დიდი თავსატეხი გაუჩნდა. მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს ინგლისის ნაკრების წევრი ოუენ ჰარგრეივზი. ამას გარდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სებასტიან დაისლერის თამაშიც.

"შალკეს" წინააღმდეგ შეხვედრაში დაისლერმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მინდორი დაეტოვებინა. გუშინ კი მან დილის ვარჯიშში მონაწილეობა არ მიიღო. "უნდა დავიცადოთ, მაგრამ იმის შანსი, რომ დაისლერი მინდორზე გამოვა, ძალიან მცირეა", - განაცხადა ოტმარ ჰიტცფელდმა.

რაც შეეხება ოუენ ჰარგრეივზს, დაისლერის არ იყოს, მანაც ბარძაყი დაიზიანა. თუმცა, ფეხბურთში მისი დაბრუნების დრო ჯერ არ განუსაზღვრავთ. ის კი არა, ექიმებმა ჰარგრეივზს ჯერჯერობით ზუსტი დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს. მიუხედავად ამისა, ჰიტცფელდმა თამაშის წინ კარგი ამბებიც გაიგო. ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა, რომელმაც მუხლის ტრავმის გამო 6 კვირა გამოტოვა, "ბაიერნის" დუბლ-შემადგენლობაში ითამაშა. ფეხბურთელის თქმით, მუხლში ტკივილი მას არ უგრძვნია და ადვილი შესაძლებელია, "ლიონის" წინააღმდეგაც ითამაშოს.

ფრანგებთან თამაშის პრობლემა ტომას ლინკეს ნამდვილად არა აქვს, მაგრამ ის ვერ ითამაშებს ბუნდესლიგის 4 მატჩში, რადგან მას სწორედ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ, მას შემდეგ, რაც "ბაიერნისა" და "შალკეს" მატჩში ლინკემ მეტოქეს იდაყვი ჩაარტყა. გარდა ამისა, ლინკე გადაიხდის ჯარიმას, რომელსაც კლუბი დააკისრებს.

# "მანჩესტერ იუნაიტედი" ჰოლანდიელებს ეყრდნობა

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედი" უახლოეს პერიოდში რამდენიმე ჰოლანდიელი ფეხბურთელით გაძლიერდება. News of the World-ის ცნობით, მოლაპარაკებები 2004 წლის ზაფხულში ამსტერდამის "აიაქსის" ნახევარმცველის, რაფაელ ვან დერ ვაარტისა და "პსვ ეინდჰოვენის" ფორვარდის, არიენ რობერის "მანჩესტერში" გადასვლის შესახებ საკმაოდ შორს წავიდა. თუმცა, უკვე იანვარში სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს შეიძლება შეუერთდეს დაცვითი სტილის 23 წლის ნახევარმცველი პასკალ ბოსჰარტი, რომელიც ახლა "უტრეხტის" ღირსებას იცავს. ყოველ შემთხვევაში, კვირის მატჩზე "უტრეხტსა" და "ჰერენვენს" შორის სეზონში მეორედ შეამჩნიეს ალექს ფერგიუსონის ძმა მარტინ ფერგიუსონი, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" სკაუტის ფუნქციებს ასრულებს. ბოსჰარტის საორიენტაციო ფასი 4-დან 5 მილიონ ევრომდე მერყეობს.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 4 ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1997. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "DENVER NUGGETS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ჰამბურგი"
15:00 საბეხბურთო უიკ-ენდი
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" – "კორინთიანსი"
18:45 ინგლისის ჩემპიონატი. " ფულჰემი" – "ლივერპული"
20:30 "პოსტსკრიპტუმი"
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:05 თავისუფალი დარტყმა
22:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 ჩემპიონთა ლიგა. "პორტუ" – მარსელი"
01:45 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "გლაზგო რეინჯერსი"
03:40 03:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "Indiana Pacers" – "Denver Nuggets"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:25, 19:55 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი "SKATE CANADA"
14:15 "კვირის თემა"
15:15 "რკინის ფაქტორი"
15:45 როდეო. "Bull Riders"
16:30 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის
17:40 ტრიატლონი. მსოფლიო თასი ესპანეთში
18:30 კიეკუშინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
19:30 "სპორტული გლობუსი"
20:10 მაგიდის ჩოგბურთი. "Korea Open 2003"
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". იამაიკა. პირველი ნაწილი
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "პორტუ" – "მარსელი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 მარათონი. ნიუ იორკის მარათონი
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კატალონიაში
13:30 ფეხბურთი. ევროგოლები
14:30 ფეხბურთი. უეფა. კლასიკა
16:30 ფეხბურთი. უეფა. კლასიკა
17:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
19:00 ფეხბურთი. ევროგოლები
20:00 ფეხბურთი. უეფა. კლასიკა
22:00 ფეხბურთი. უეფა. კლასიკა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ინდიკარის ავტორბოლები. მსოფლიო სერია აშშ-ში
03:45 კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში
04:15 ახალი ამბები

# ქართველი მსაჯების სტილი უნდა შეიცვალოს

რამდენიმე დღის წინათ გამართული პრეზენტაციის შემდეგ საქართველოს პროფესიული ლიგა თავის ყოველდღიურ საქმიანობას დაუბრუნდა და საკმაოდ პრინციპულ ნაბიჯებსაც დგამს. ლიგის ხელმძღვანელობამ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებში მსაჯობაზე იმსჯელა და დასკვნებიც გააკეთა. სამსაჯო-საინსპექტრო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში დაკავებულმა მსაჯებმა მეტი სიხისტისა და ბრძოლისუნარიანობის გამოვლენის საშუალება მისცენ გუნდებს მოედანზე. "ასეთი სტილით მსაჯობა დიდი ხანია აპრობირებულია მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, უცხოელი მსაჯების გამოცდილების გაზიარება საგრძნობლად გაზრდის ქართული ფეხბურთის განვითარების დონეს. სამწუხაროდ, მსაჯობის ის ფორმა, რომელიც აქამდე გვაქვს საქართველოში, როდესაც არბიტრი ნებისმიერ პატარა შეხებაზეც კი აჩერებს თამაშს, საგრძნობლად აგდებს თამაშის ტემპს, შედეგად კი უფერულდება მთლიანად მატჩის საერთო სურათი. ყოველივე ეს ნათლად აისახება ევრო-ტურნირებზე ქართული კლუბების ასპარეზობისას", - ნათქვამია საქართველოს პროფესიული ლიგის განცხადებაში.


მსაჯები ფეხბურთელებს მეტ თავისუფლებას მისცემენ.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ანატოლი მილჩენკომ ლიგის ხელმძღვანელობის ეს რეკომენდაცია მთლიანად გაიზიარა და მსაჯებს შესაბამისი მითითებები მისცა.

ეს საკითხი პროფესიული ლიგის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზეც გაიტანეს. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ხუთი გუნდის ხელმძღვანელი, რომელთაც პროფესიული ლიგის ამ ინიციატივას მთლიანად დაუჭირეს მხარი. 6 ნოემბერს დაგეგმილია პროფესიული ლიგის ხელმძღვანელთა და საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორთა შეხვედრა, რომელზეც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ამ სიახლეზეც იქნება საუბარი.

ასე რომ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებში ამიერიდან მეტ ბრძოლას და სიხისტეს უნდა ველოდეთ, რაც, წესით, მართლაც, უნდა წაადგეს ქართველი ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

სიახლეა საკადრო საკითხებშიც. პროფესიული ლიგის საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელად დაინიშნა ნოდარ კაკულია. იგი წარადგინა პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმა რამიშვილმა, რომელიც კაკულიაზე დიდ იმედებს ამყარებს.

# ჩემპიონთა ლიგაში სიტუაცია იძაბება

### ზოგიერთისთვის დღეს ბოლო შანსი იქნება

*დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება. სატურნირო მდგომარეობა თანდათან იძაბება, შესაბამისად, პრინციპული მატჩების რაოდენობაც იზრდება. დღეს საღამოს გაიმართება E, F, G და H ჯგუფების მატჩები, მათ შორის, "მანჩესტერ"-"რეინჯერსის" შეხვედრაც, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებს ქართველ გულშემატკივარს. არველაძისა და ხიზანიშვილის "რეინჯერსი" დღეს სტუმრად თამაშობს "მანჩესტერთან", ჩვენ კი ისევ არველაძის პირველი საჩემპიონთალიგო გოლის მოლოდინში ვართ.*

აკა ტონია

**E ჯგუფი**

**მანჩესტერი – რეინჯერსი**
**პანათინაიკოსი – შტუტგარტი**

უკანასკნელ მატჩში "რეინჯერსი" შინ დამარცხდა "მანჩესტერთან" (0:1). ახლა მათ "ოლდ ტრაფორდზე" მოუწევთ ალექს ფერგიუსონის ბიჭებთან თამაში. "რეინჯერსი" კარგს არაფერს უნდა ელოდეს, ამ მატჩის აშკარა ფავორიტი სწორედ "მანჩესტერია", რომელიც ახლავე ეცდება, "შტუტგარტს" ჯგუფის ლიდერობა ჩამოართვას. "რეინჯერსს" სერიოზული საკადრო პრობლემებიც აქვს. გამორიცხულია გერმანელი ნახევარმცველის, კრისტიან ნერლინგერის თამაში. ამ ფაქტს ადასტურებს "რეინჯერსის" მწვრთნელი ალექს მაკლიშიც, რომელმაც განაცხადა, რომ, ნერლინგერის გარდა, გუნდის დანიელი მცველის, ფერნანდო რიქსენის თამაშიც ეჭვქვეშ დგას. შეგახსენებთ, რომ "რეინჯერსს" კვლავინდებურად ვერ დაეხმარებიან რონალდ დე ბური და სტივენ ტომპსონი. "ასეთ სიტუაციაში ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელების გამოყენება მოგვიწევს. დამეთანხმებით, "მანჩესტერთან" მატჩის წინ ეს არცთუ ისე სასიამოვნო სიტუაციაა", - ამბობს მაკლიში. სანუგეშო, ალბათ, ის არის, რომ მწყობრში არიან შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი, რომელთაც "ოლდ ტრაფორდზე" აუცილებლად მოუწევთ თამაში.

ჯგუფის მოულოდნელი ლიდერი "შტუტგარტი" ათენში ადგილობრივ "პანათინაიკოსს" შეხვდება. ბერძნები ჯგუფის ბოლო საფეხურზე არიან "რეინჯერსთან" შინ მოპოვებული ერთადერთი ქულით, თუმცა, საკუთარ კედლებში მათ ნებისმიერი გუნდის გამწარება შეუძლიათ. ამიტომაც ფელიქს მაგატის გუნდი ფრთხილად უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ მატჩში "შტუტგარტს" ვერ დაეხმარება ბრაზილიელი მცველი მარსელო ბორდონი, რომელიც ტრავმირებული მუხლის ოპერაციას იკეთებს.

**F ჯგუფი**

**პარტიზანი – რეალი**
**პორტო – მარსელი**

მადრიდის "რეალს" 9 ქულა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეფო კლუბმა, ფაქტობრივად, გაინაღდა მერვედფინალის საგზური. "პარტიზანს" კი მხოლოდ ერთი ქულა აქვს და F ჯგუფის უკანასკნელ საფეხურზეა. ასეთი ცუდი სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, ლოთარ მათეუსის შეგირდებს ჯერ კიდევ აქვთ შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი, რადგან მეორე ადგილზე მყოფ "პორტოს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან. იმისთვის, რომ "პარტიზანმა" ეს თეორიული შანსი შეინარჩუნოს, დღევანდელ მატჩში მას გამარჯვება სჭირდება, რაც, ალბათ, ძალიან ძნელი იქნება. მადრიდის "რეალს" არც ერთი ვარსკვლავი არ აკლია, ყველანი მწყობრში არიან. ტრავმა მიიღო ხავიერ პორტილიომ, მაგრამ ის არ არის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ ბელგრადში "რეალმა" თავისი ახალგაზრდული გუნდის ორი მოთამაშე, ხუანფრანი და რიკი წაიყვანა.

F ჯგუფის მეორე მატჩი მისი მონაწილე ორივე გუნდისთვის უაღრესად პრინციპულია. მეორე ადგილზე მყოფი "პორტო" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს ფრანგულ "მარსელს". თანაც, პორტუგალიელები შინ თამაშობენ და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ. ორივე გუნდს ძირითადი შემადგენლობის თითო ფეხბურთელი აკლია. ვერ ითამაშებს "პორტოს" გარემარბი სეზარ პეიშოტო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში, იმავე "მარსელთან" მატჩში, მუხლის ტრავმა მიიღო. ფრანგულ კლუბს კი, სავარაუდოდ, მცველი ჰაბიბ ბეიე დააკლდება.

**G ჯგუფი**

**ბეშიქთაში – სპარტა**
**ლაციო – ჩელსი**

G ჯგუფში ჯერ არაფერია გარკვეული, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს. თითოეული მათგანი იმდენად არასტაბილურად ასპარეზობს, რომ წინასწარ რაიმეს თქმა შეუძლებელია. თურქული "ბეშიქთაში" ბოლო ადგილზეა, თუმცა, მან ლონდონში "ჩელსის" დამარცხება შეძლო და მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ "სპარტას" და "ლაციოს" მხოლოდ თითო ქულით ჩამორჩება. თუ დღეს თურქები "სპარტას" დაამარცხებენ, ისინი მეორე ადგილზე გადაინაცვლებენ, "სპარტას" კი, გამარჯვების შემთხვევაში, პირველ ადგილზე გადასვლის შანსიც აქვს.

ცენტრალური მატჩი, ცხადია, რომში, ადგილობრივ "ლაციოსა" და "ჩელსის" შორის გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებული G ჯგუფს ჩაუდგება სათავეში.

**H ჯგუფი**

**სელტა – აიაქსი**
**ბრიუგე – მილანი**

G ჯგუფის მსგავსი ვითარებაა H ჯგუფში, იმ განსხვავებით, რომ ამ ჯგუფის უკანასკნელ ადგილზე მყოფ "სელტას" მხოლოდ ორი ქულა აქვს, მაშინ როდესაც "ბეშიქთაშმა" სამი ქულა მოაგროვა. მიუხედავად ამისა, ესპანელებს მაინც აქვთ მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი. ამისთვის დღეს საღამოს ჯგუფის ლიდერის, ამსტერდამის "აიაქსის" დამარცხებაა საჭირო.

არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია იტალიური "მილანი". დღეს კახა კალაძის გუნდი სტუმრობს ბელგიურ "ბრიუგეს", გუნდს, რომელთანაც წინა ტურში შინ დამარცხდა. თუ მილანელებმა ისევ წააგეს, მერვედფინალში მათი გასვლის შანსი მკვეთრად შემცირდება. თანაც, "მილანს" ვერ დაეხმარება ტრავმირებული ფილიპო ინძაგი, ასევე ბრაზილიელი სერჟინიო. ვერ ითამაშებს ვერც კახა კალაძე, რომელიც ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პერიოდშია.

| E | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 2 | მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 6 |
| 3 | რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4 | პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |

| F | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 2 | პორტო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 3 | მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-7 | 3 |
| 4 | პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

| G | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| 2 | სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3 | ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 4 | ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |

| H | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| 2 | ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 3 | მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 4 | სელტა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მიჩელ სალგადო "რეალში" რჩება. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში გახშირდა საუბარი სალგადოს ახალი კონტრაქტის შესახებ. ამ ფეხბურთელს ლონდონის "ჩელსი" ეპატიჟებოდა და "რეალზე" ბევრად უკეთეს ფინანსურ პირობებსაც სთავაზობდა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ სალგადოს შენარჩუნება სურდა, თუმცა, "ჩელსის" მსგავს პირობებს ვერ შესთავაზებდა. და აი, ფეხბურთელიც და "რეალიც" ადასტურებენ, რომ სალგადო ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს დადებს "რეალთან". "ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ჩემით "ჩელსის" და "მანჩესტერის" მსგავსი გუნდები დაინტერესდნენ. მაგრამ მე "რეალში" მინდოდა დარჩენა და მივიღე ის, რაც მინდოდა", - განაცხადა სალგადომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური რომას პრეზიდენტმა, ფრანკო სენსიმ "მილანის" და "იუვენტუსის" მატჩის კომენტირებისას განაცხადა, რომ შეხვედრის შედეგი მოლაპარაკებული იყო. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. "მილანისა" და "იუვენტუსის" ფრე დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით მეტი არაფერი მაქვს სათქმელი", - განაცხადა სენსიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ "იუვენტუსი" იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დიდი დახმარებით სარგებლობს. მის ამ განცხადებებზე "იუვენტუსს" კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია სენსის უკვე სთხოვს ახსნა-განმარტებას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბულგარეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 36 წლის იორდან ლეჩკოვი მშობლიური ქალაქის, სლივენის მერად აირჩიეს. ლეჩკოვმა 1998 წელს დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, რის შემდეგაც ბიზნესს მოკიდა ხელი და სასტუმრო გახსნა. ახლა კი, როგორც ხედავთ, პოლიტიკაში ცდის ბედს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრიტანული პრესა ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ერთბაშად რამდენიმე ჰოლანდიელი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. ინგლისელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ამსტერდამის "აიაქსის" ნახევარმცველით, ვან დერ ვაარტითა და "ეინდჰოვენის" თავდამსხმელით, არიენ რობენით დაინტერესდა. საუბარია კიდევ ერთ ფეხბურთელზე. უკვე იანვარში, "მანჩესტერმა", შესაძლოა, "უტრეხტის" დაცვითი ხასიათის ნახევარმცველი პასკალ ბოსხარტი შეიძინოს. ყოველ შემთხვევაში, 23 წლის ფეხბურთელის თამაშს პერიოდულად აკვირდება ალექს ფერგიუსონის ძმა, "მანჩესტერის" სკაუტი მარტინ ფერგიუსონი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიცფელდმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდის მცველს, თომას ლინკეს "შალკეს" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში მიღებული წითელი ბარათისთვის საჯარიმო სანქციას დააკისრებენ. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის 33-ე წუთზე ლინკემ იდაყვი ჩაარტყა შალკელ ნილს უდე კამპჰუისს. ამის გამო ლინკეს სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს. "ლინკე ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. მას არა აქვს სათამაშო ეპიზოდში ასე მოქცევის უფლება. ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოვითხოვ", - განაცხადა ჰიცფელდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ალენ ჟირესი კონგოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. სწორედ ჟირესი უხელმძღვანელებს კონგოს ნაკრებს აფრიკის თასის დასკვნით ეტაპზე. ამ პოსტზე მან შეცვალა ჟოზეფ მუკებუ, რომელიც ერთ-ერთი სამხრეთამერიკული კლუბის მწვრთნელად დაინიშნა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კვირას, "ბრეშას" წინააღმდეგ მატჩისას, "პარმას" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა. აღმოჩნდა, რომ ადრიანოს ბარძაყის კუნთი დაუზიანდა. დღეს მას სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ, თუმცა, წინასწარი დათვალიერების შედეგებით, ადრიანოს 3-4-კვირიანი შესვენება მოუწევს.




## ინფოთეკა

**მოგზაურობა.** თავზეხელაღებულმა ფრანგმა რაფაელა ლე გუველომ ერთგვარი აფრიანი დაფით თუ ტივით წყნარი ოკეანე გადასერა. ფათერაკების მაძიებელს მიზნის მისაღწევად 89 დღე და 14 საათი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ფრანგმა ზღვაოსანმა 4400 საზღვაო მილი, ანუ დაახლოებით 8200 კილომეტრი დაფარა. ღუზა კი გუშინ, დილით, ტაიტიზე, საფრანგეთის პოლინეზიაში ჩაუშვა. მამაც ზღვაოსანს ათობით აფრიანი ნავი თუ კატარღა შეეგება. ნაპირზე პოლინეზიური ორკესტრი უკრავდა.

მოგზაურობაში 45 წლის რაფაელა პერუს დედაქალაქის ლიმას სარეწაო პორტიდან კორილოსადან 5 აგვისტოს გაემართა. რაც შეეხება "ხომალდს", მისი დაფა სიგანეში 1,3, ხოლო სიგრძეში 7,8 მეტრი იყო. ფრანგმა ზღვაოსანმა სამი თვის განმავლობაში ლეგენდარული "კონტიკის" მარშრუტი განვლო, მარშრუტი, რომლითაც 1947 წელს ტურ ჰეიერდალმა წყნარი ოკეანე გადასერა. გუველოს მიზანი კი ის გახლდათ, რომ მას ძველ პოლინეზიელთა შესაძლებლობების დამტკიცება სურდა, ანუ რამდენად იყო შესაძლებელი იგივე მარშრუტის გავლით სამხრეთ ამერიკამდე შესაბამისი დაფით თუ ტივით გადაცურვა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2004 წლის სეზონში "იაგუარის" მეორე პილოტობაზე პრეტენზიას აცხადებს 20 წლის ავსტრიელი კრისტიან კლიენი. მას მხარს უჭერს ენერგეტიკული სასმელების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა Red Bull. რაც შეეხება თავად კლიენს, მან წლეულს მოიგო პრესტიჟული ფორმულა 3-ის Marlboro Masters-ი, რომელსაც ყოველწლიურად ჰოლანდიური ზანდვოორტი მასპინძლობს. გარდა ამისა, მან ფორმულა 3-ის ევროსერიებშიც წარმატებით იასპარეზა. უფრო ზუსტად კი, ოდნავ ჩამორჩა ამ სერიის გამარჯვებულ რაიან ბრისკოს, რომელიც, თავის მხრივ, "ტოიოტას" ტესტ-პილოტია.

აღსანიშნავია, რომ "იაგუარში" მარკ უებერის პარტნიორად კლიენის თანამემამულე ალექს ვურციც მოიაზრება. იმ შემთხვევაში, თუ კრისტიან კლიენი მეორე პილოტის ადგილს ვერ მიიღებს, მაშინ სავსებით შესაძლებელია, იგი საჯინიბოს ტესტ-პილოტად მოგვევლინოს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ცოტა ხნის წინ სუპერმოდელმა ჰაიდი კლუმმა გადაწყვიტა, საცხოვრებლად ამერიკაში გადაბარგებულიყო. ნიუ იორკში უკვე ბინაც კი შეუგულებია: "ერთი სული მაქვს, როდის გადავალ ახალ ბინაში".

თუმცა, საყვარელი ქალის სურვილის მიუხედავად, "რენოს" ბოსი ფლავიო ბრიატორე, რომელიც კლუმის ცხოვრების თანამგზავრია, ევროპიდან წასვლას არ აპირებს, რადგან ამერიკას იდეალურ საცხოვრებელ ადგილად არ მიიჩნევს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა ვინუს უილიამსმა სეზონის დასკვნითი - WTA Tour Championships ტურნირიდან, რომლის საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია, ასპარეზობისგან მოხსნა საკუთარი თავი. მიზეზი დაშავებული კუნთია. პლანეტის უძლიერეს რვა ჩოგბურთელს შორის ვინუსის ადგილი მეორე ამერიკელს ჩანდა რუბინს დარჩა. საინტერესოა, რომ დიდი სლემის ოთხი ტურნირის მომგებს ივნისის შემდეგ აღარ უასპარეზია.

■ ■ ■

**კრივი.** რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ლენოქს ლუისის კარიერის შესაძლო დასასრულზე შევიტყვეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ ინფორმაციის წყაროდ ლუისის დამრიგებელი ემანუელ სტიუარტი სახელდებოდა. ცნობილმა მწვრთნელმა კი ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საკმაოდ მკვახე განცხადება გააკეთა: "ლუისზე ასეთი რამ საერთოდ არ მითქვამს. ვიცი, რაც მათ დაწერეს, მაგრამ, გარწმუნებთ, ყოველივე სრული სიცრუეა. არა, რატომ უნდა მეთქვა ასეთი რამ? და საერთოდ, ლუისი თავად გადაწყვეტს, თუ რა გააკეთოს. ახლა იგი საკუთარი საქმეების მოგვარებითაა დაკავებული, მაგრამ თუ ჩვენს შორის გამართული ბოლო საუბრის მიხედვით ვიმსჯელებთ, შემიძლია ვივარაუდო, რომ იგი კვლავაც გავა რინგზე. და კიდევ, მთელი ეს ისტორია ნეხვია და მეტი არაფერი".

■ ■ ■

**ორთაბრძოლები.** 6 დეკემბერს ტოკიოში შერეულ მხედრულ ორთაბრძოლათა ლიგის K-1 ფინალური ტურნირი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მანამდე (21 სექტემბერსა და 11 ოქტომბერს) შესარჩევი ტურნირი მოეწყო. ამჯერად რვა საუკეთესო მოჩხუბარსა თუ მებრძოლს ფინალურ სტადიაში მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. გამარჯვებული კი, ჯილდოს სახით, მილიონ დოლარს მიიღებს.

---

*რაგბი*

# ნახევარფინალი ნახევარფინალად დარჩა

პაატა თოთაძე

*შარშანდელის მსგავსად, ბათუმელებს ევროპის რეგიონთა თასის ფინალის საგზურს ფრანგები შეეცილებიან.*

ზედიზედ მეორე წელია, აჭარის რეგიონის ნაკრებს ევროპის რეგიონთა თასის ნახევარფინალში უწევს თამაში. მართალია, ეს ტურნირი დიდი პრესტიჟულობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ რაც უნდა იყოს, მასში, სხვებთან ერთად, ფრანგული და იტალიური გუნდები მონაწილეობენ. ამდენად, ქართული კლუბები, ასე ვთქვათ, ევროპულ მარაქაში ერევიან.

ზედიზედ ორ წელიწადს ტურნირის ნახევარფინალში თამაში, უდავოდ, წარმატებაა, თანაც, ამ ხნის მანძილზე ბათუმელებმა ექვსი ქვეყნის პროვინციის ნაკრების დამარცხება მოასწრეს. ბოლო, ანუ მეექვსე, იტალიის ვენეტოს პროვინციის ნაკრები იყო, რომელიც აჭარლებმა გუშინწინ დაამარცხეს ბათუმში - 30:0.

ვენეტოს პროვინციის გუნდი, რომელიც ვენეციის, როვიგოს, ვიჩენცას, ტრევიზოსა და პადოვას მორაგბეებით არის დაკომპლექტებული, სამი წლის წინათ შეიქმნა და რეგიონთა თასის პირველივე გათამაშებაში ნახევარფინალამდე მიაღწია. წლეულს გუნდს უკეთესი შედეგის მიღწევა სურდა, მით უმეტეს, რომ მაღალი რეიტინგის გამო ნაკრები მეოთხედფინალიდან ჩაერთო ასპარეზობაში, ანუ ერთი მატჩის მოგება იტალიელებს ნახევარფინალში თამაშის საშუალებას აძლევდა. "სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, თანაც, ასეთი ანგარიშით. ასეთი შედეგი, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ბიჭები ჯერ სასურველ ფორმაში არ არიან. ამით ბათუმელთა გამარჯვებას არ ვაკნინებ, მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო და გამარჯვებასაც იმსახურებდა", - წაგებული მატჩის შემდეგ განაცხადა იტალიელთა თავკაცმა ფაბიო კოპომ.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართველმა მორაგბეებმა შარშანდელი შედეგი გააუმჯობესონ? თუ ნახევარფინალი ის ზღვარია, რომელიც აჭარელთათვის, შესაძლოა, კვლავაც გადაულახავ ბარიერად იქცეს? ამას სამ კვირაში გავიგებთ, მაგრამ მანამდე შევეცადოთ, ბათუმელთა შანსები განვსაზღვროთ. ნახევარფინალში ქართველთა მეტოქე საფრანგეთის პროვანსის პროვინციის ნაკრები იქნება. სწორედ ის, შარშან რომ დაამარცხა ბათუმელები ნახევარფინალში. მაშინ, გიორგობის დღესასწაულზე, მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს ფრანგებს. ზოგიერთ ეპიზოდში ქართველები სჯობდნენ მეტოქეს და იმის ილუზია იქმნებოდა, რომ მასპინძლები საბოლოოდ მაინც მოახერხებდნენ მეტოქის დაძლევას, მაგრამ ეს ეპიზოდური კარგი თამაში ფრანგთა დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. წლეულს ფრანგები გათამაშებაში მეოთხედფინალიდან ჩაერთვნენ და ესპანელები დაამარცხეს სტუმრად (19:14). სხვათა შორის, ესპანელებს მანამდე იტალიის ლომბარდიის პროვინციის ნაკრები ჰყავდათ დამარცხებული. ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი ფრანგული გუნდია, ანუ ნახევარფინალში გასული ერთადერთი არაფრანგული გუნდი სწორედ ქართულია. მეორე ნახევარფინალში ბურგუნდიის პროვინციის ნაკრები რუსიონის გუნდს უმასპინძლებს.

"ვფიქრობ, ამ გუნდს შესწევს საიმისო ძალა, რომ ნახევარფინალში გაიმარჯვოს, საამისო პოტენციალი ნამდვილად აქვს", - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა აჭარის რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა მერაბ დანელიამ. მისი თქმით, კარგიც კია, ბათუმელებს სწორედ პროვანსის გუნდი რომ ერგოთ მეტოქედ. "შარშანდელი მარცხისგან სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და წლეულს დავამტკიცებთ, რომ ის მარცხი კანონზომიერი არ იყო", - განაცხადა დანელიამ. როგორც გაირკვა, ბათუმელები მომავალი მატჩისთვის არავის დამატებას არ აპირებენ. ფრანგებს ის გუნდი დაუპირისპირდება, რომელმაც იტალიელები დაამარცხა. ერთადერთი მატება აჭარელთა შემადგენლობაში გოჩა ხონელიძე იქნება. "დათვების" გარემარბი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული მსოფლიო თასზე სათამაშოდ და იტალიელებთან მატჩიც ამიტომ გაუცდა.

---

*ფორმულა 1*

# „ტოიოტა" თუ „ფერარის" კლონი?

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის სამყარო სკანდალმა მოიცვა. "ფერარი" "ტოიოტას" სამრეწველო ჯაშუშობაში სდებს ბრალს. ეს მაშინ, როდესაც საჯინიბოთა ფარეხები დახურულ, გასაიდუმლოებულ ბაზებს წააგავს, სადაც დაუკითხავად ბუზიც ვერ შეფრინდება. საქმე ის არის, რომ ყოველი სეზონის წინ ესა თუ ის გუნდი, შესაძლებლობის მიხედვით, აურაცხელ თანხას ხარჯავს იმისთვის, რომ მათი ბოლიდი ტექნოლოგიურად ყველაზე დახვეწილი იყოს, რათა გარკვეულ უპირატესობას ფლობდეს მეტოქე გუნდებზე. ვის რამდენად გამოსდის, ეს სხვა საკითხია. თუმცა, ფაქტია, "წითელი ბარონის" საჯინიბოდან გამოჟონილმა ინფორმაციამ სამეფო რბოლები სკანდალში გაახვია. და მაინც, რა მოხდა? იტალიურ "Gazzeta dello Sport"-ის ინფორმაციით, გერმანიის პოლიციამ ორი წლის წინათ "ფერარიზე", ამჟამად კი "ტოიოტაზე" მომუშავე იტალიელი ინჟინრის ბინაში ჩხრეკა მოაწყო. გარდა ამისა, გერმანელმა სამართალდამცველებმა დაკითხეს ეჭვმიტანილი ინჟინრის კოლეგები და ფაქტების გამოსამზეურებლად კიოლნში "ტოიოტას" შტაბბინას ხუთშაბათს, დილაუთენია ეწვივნენ. კანონდამცველებს განსაკუთრებით თურმე აეროდინამიკის განყოფილება იზიდავდათ.



იტალიური გაზეთი აღნიშნავს, რომ სამრეწველო ჯაშუშობაში, ჯერჯერობით, ბრალი ედება მხოლოდ "ტოიოტას" კონკრეტულ თანამშრომელს და არა მთლიანად საჯინიბოს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცავები ეჭვმიტანილის სახელს არ ახმაურებენ. თუმცა, ბრალდებულს პირობითად "რობერტო" შეარქვეს.

რაც შეეხება თავად "ტოიოტას", მისი ხელმძღვანელობა ამ ყველაფერთან საჯინიბოს კავშირს გამორიცხავს, თუმცა, სამართალდამცველთა სტუმრობას არ უარყოფს: "დიახ, პოლიცია მართლაც სტუმრობდა ჩვენს ოფისს, - აცხადებს გუნდის პრეს-მდივანი ანდრეა ფიკარელი. – ამ საქმესთან ჩვენი ერთადერთი კავშირი ის არის, რომ ეს კაცი ამჟამად ჩვენთან მუშაობს, მაგრამ, გარწმუნებთ, გუნდი აქ არაფერ შუაშია".

ბუნებრივია, მომხდარით გაოგნებულნი არიან "ტოიოტას" გულშემატკივრებიც, რომლებიც შემდგომ დასაშოშმინებლებიც გახდნენ. ამ მისიის შესრულება კი "ტოიოტას" შეფს ოვე ანდერსონს მოუწია: "ტოიოტა მოტოსპორტს" არავინ ადანაშაულებს. ჯაშუშობაში აეროდინამიკის განყოფილების მუშაკს სდებენ ბრალს და არა საჯინიბოს".

მოვლენათა განვითარებას მოუთმენლად ელიან როგორც კიოლნში, სადაც "ტოიოტას" შტაბბინაა განთავსებული, ისე მარანელოში - "ფერარის" სამშობლოში. ექსპერტთა ვარაუდით, რობერტო, რომელსაც ამასობაში მეორე პირობით სახელად "ანდრეა სიც" შეარქვეს, "ფერარიდან" "ტოიოტაში" გადასვლისას თუ გააყოლებდა ხელს საიდუმლო მასალებსო. როგორც უნდა ყოფილიყო, ფაქტია, ორი წლის წინანდელი ინფორმაცია უკვე მოძველებული უნდა იყოს, რადგან წლეულს, უფრო სწორად, სან მარინოს გრან-პრიზე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპზე (20 აპრილი) "ფერარიმ" ახალი ბოლიდი - F2003-GA გაიყვანა სტარტზე. 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საწყის ეტაპზე, ანუ მაშინ, როდესაც მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ჯერაც 2002 წლის მოდელით - F2002 გავიდნენ სტარტზე, სპეციალისტთა და გულშემატკივართა ერთი ნაწილი აღნიშნავდა: "ტოიოტას" ბოლიდი "ფერარის" ორეულივით გამოიყურებაო. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი ამა თუ იმ ბოლიდის კლონირების შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავს, რადგან ამისთვის საჭიროა უამრავი ნახაზი და ინფორმაციით გაჯერებული რამდენიმე დისკი. "მაკლარენის" ტექნიკური დირექტორის ედრიან ნიუის თქმით კი: "ამისთვის საჭიროა, გქონდეთ ისეთივე ქარხანა და გყავდეთ იგივე მუშახელი".

---

*ჩოგბურთი*

# როდიკმა პირველობა დაიბრუნა



როდიკი ისევ პირველია.

სანდრო კუპრავა

უკანასკნელი მასტერსის გათამაშების შემდეგ საჩემპიონო რბოლაშიც და ახალ რეიტინგშიც ცვლილებებია. ამერიკელმა ენდი როდიკმა ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს ისევ წაართვა პირველი ადგილი და ახლა სათავეში უდგას პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (atp) რეიტინგს. ამერიკელი პირველ ადგილზე გადავიდა საჩემპიონო რბოლაშიც. მან პარიზულ მასტერსში ფერეროზე უკეთესი გამოსვლის გამო დაიბრუნა პირველი პოზიცია. ესპანელი 26 ქულას აგებს ამერიკელთან და, გამორიცხული არ არის, ჰიუსტონის მასტერსის თასის გათამაშების შემდეგ ყველაფერი ესპანელის სასარგებლოდ დასრულდეს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ სეზონის ბოლოს რეიტინგის სათავეში ესპანელი ჩოგბურთელი ყოფილიყო. ფერეროს კარგი შანსი ეძლევა იმისთვის, რომ მომავალ წელს ეს სტატისტიკა დაარღვიოს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფერერომ ეს შანსი უკვე გაუშვა ხელიდან. სპეციალისტები თვლიან, რომ შვეიცარიელს გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს, მეტიც: გილიერმო კორიასთან მან შეიძლება მესამე პოზიციაც დათმოს. თავის მხრივ, არგენტინელი ძალიან კარგ ფორმაშია და, რომ არა გრიპი, რომელიც მას პარიზული მასტერსის დროს შეეყარა, დიდი შანსი იყო იმისა, რომ ტურნირი მოეგო. ახლა არგენტინელი მეოთხე ადგილზეა, რომელიც ამერიკელ ანდრე აგასის წაართვა. აგასიმ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო დანარჩენებმა შეინარჩუნეს ის პოზიციები, რომლებზეც იყვნენ.

### ახალი რეიტინგი

| ვაჟები | | საჩემპიონო რბოლა | | ქალები | |
|---|---|---|---|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ) | 4335 | ენდი როდიკი (აშშ) | 867 | კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6596.00 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 4205 | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 841 | ჟიუსტინ ენინ არდენი (ბელგია) | 6461.00 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 3625 | როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 725 | სერენა უილიამსი (აშშ) | 4400.00 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 3230 | გილიერმო კორია (არგენტინა) | 646 | ლინდსეი დევენპორტი (აშშ) | 3057.00 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 3025 | ანდრე აგასი (აშშ) | 605 | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2746.00 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 3005 | რაინერ შუტლერი (გერმანია) | 601 | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2736.00 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 2180 | კარლოს მოია (ესპანეთი) | 436 | ვენუს უილიამსი (აშშ) | 2507.00 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1960 | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 392 | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2492.00 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1615 | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 323 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2340.00 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 1610 | სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 322 | 10. ჩანდა რუბინი (აშშ) | 2231.00 |

---

*კალათბურთი*

# ლიდერები მოწყენილი სახეებით

სანდრო ნავერიანი

გუშინ, გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის ერთადერთი მატჩი გაიმართა. ლოს ანჯელესში ადგილობრივმა "ლეიკერსმა" საკუთარ "სთეფლეს ცენტრში" "გოლდენ სთეით ვორიორზს" უმასპინძლა. აქამდე "ლეიკერსმა" ორი მატჩი ჩაატარა და ორივეში გაიმარჯვა, მაგრამ საკუთარ მოედანზე ეს პირველი თამაში იყო. ლოსანჯელესელებმა თავისი გულშემატკივარი არ გააწბილეს და მატჩი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოიგეს.

კო-ბი! კო-ბი! კო-ბი! - გაიძახოდა გულშემატკივარი. ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივარს სულ არ აინტერესებს, კობი ბრაიანტს გაუპატიურებაში ადანაშაულებენ თუ აქლემის მოპარვას სდებენ ბრალად, მათთვის მთავარია, კობიმ კალათბურთი ითამაშოს, თან ისეთი კალათბურთი, როგორსაც მისგან ელიან. მატჩი საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო. ფილ ჯექსონმა არც ერთი ლიდერი არ დააყენა სასტარტო შემადგენლობაში. კობი ბრაიანტი, შაკილ ო`ნილი, გერი პეიტონი და კარლ მელოუნი მოწყენილი სახეებით სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ. ეს, რა თქმა უნდა, დროებითი იყო და ამას ყველა ხვდებოდა, მაგრამ თამაში ისე დაიწყო, არავითარი აუცილებლობა არ იყო იმისა, რომ ამ ოთხთაგან რომელიმე თამაშში შესულიყო. "ლეიკერსი" ლიდერების გარეშეც იოლადართმევდა თავს იმ ამოცანას, რაც მათ ფილ ჯექსონმა დაუსახა.



REUTERS

კობი ბრაიანტი თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

გოლდენსთეითელმა მებრძოლებმა იმდენად სუსტად დაიწყეს მატჩი, თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ისინი "ლეიკერსს" სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ქელბერტ ჩეინი და კლიფორდ რობინსონი მარტო ვერაფერს გახდებოდნენ - არც ერთია ჯორდანი და არც მეორეა დრექსლერი. რობინსონმა და ჩეინმა, შესაბამისად, 19 და 17 ქულა შესძინეს თავის გუნდს. ეს იმ დროს, როცა "ლეიკერსის" ლიდერები მოედანზე არ იყვნენ.

წინა მატჩში, რომელიც "ლეიკერსმა" ფენიქსში, ადგილობრივ "სანსთან" გამართა, გულშემატკივრები კობი ბრაიანტის მოედანზე გამოსვლას სტვენით და მის გარშემო ატეხილ სკანდალთან შესაბამისი ტრანსპარანტებით შეხვდნენ. ლოს ანჯელესში კი საქმე სულ სხვანაირად იყო. ბრაიანტის მოედანზე გამოსვლას გულშემატკივარი ოვაციით შეხვდა. კობიმ ეს მხარდაჭერა დაუფასა გულშემატკივარს და გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. მან 21 ქულა და 2 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ოთხჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ხუთჯერ ჩაჭრა გადაცემა. ბრაიანტთან ერთად შაკილ ო`ნილმა, კარლ მელოუნმა და გერი პეიტონმა, შესაბამისად, 17, 16 და 10 ქულა მოუტანეს თავის გუნდს. კარგად გამოიყურებოდა დივენ ჯორჯი, რომელმაც გუნდს 12 ქულა შესძინა.

იყო დრო, როცა ეს კალათბურთელები სხვადასხვა გუნდში გამოდიოდნენ. კარლ მელოუნი იმ "იუტა ჯაზის" ლიდერი იყო, რომელიც ათი წლის განმავლობაში ბრწყინავდა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. შაკილ ო`ნილი "ორლანდო მეჯიქიდან" რომ წამოვიდა, სწორედ მაშინ დაიწყო ორლანდოელთა რეგრესი. გერი პეიტონი კი შონ კემპთან ერთად "სიეტლ სუპერსონიქსის" ლიდერი გახლდათ. რაც შეეხება კობი ბრაიანტს, ის "ლეიკერსის" სკოლის აღზრდილია.

ასე რომ, "ლეიკერსი" აგრძელებს გამარჯვებათა სერიას. ამ სეზონში ის, ალბათ, უპირველესი ფავორიტია.

"ლოს ანჯელეს ლეიკერსი" – "გოლდენ სთეით ვორიორზი" - 87:72.

# მეექვსე თაობის "კორვეტი" სადებიუტოდ ემზადება


ახალი "კორვეტი" ჯერ ავ თვალს ემალება

დეტროიტის ავტოსალონზე, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება, ბევრი საინტერესო სიახლეა მოსალოდნელი, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია "შევროლე კორვეტის" მეექვსე თაობის სპორტულ ავტომობილს, რომელიც წლეულს დაარსების 50-წლიან იუბილეს აღნიშნავს.

ავტომობილი, რომელმაც თავის დროზე დასაბამი დაუდო ამერიკული ავტოინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულსა და "შევროლეს" მარკისგან ლამის ცალკე მდგარ დინასტიას, უფრო სწორედ, ამ ავტომობილის მეექვსე "შთამომავალი", საგზაო გამოცდებს გერმანიაში, "ნურბურგრინგის" ტრასაზე გადის. სწორედ ამ ტრასაზე ტესტირების დროსაა თქვენს წინაშე წარმოდგენილი მსტოვრული ფოტო. როგორც წესი, კომპანია არ ჩქარობს ამ ავტომობილის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. უფრო მეტიც, ტესტირების დროს "ვეტე" შენიღბულია, რაც იმას ნიშნავს, რომ "ჯენერალ მოტორსში" ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნიათ მათი სიახლის გარეგნობის გამომზეურება.

და მაინც, დღესვე შეიძლება იმის თქმა, რომ წინა თაობის მოდელთან შედარებით მეექვსე თაობის "კორვეტს" გარეგნობის მხრივ, დიდი ცვლილება არ განუცდია – კვლავ დარჩება ამ ავტომობილისთვის დამახასიათებელი გრძელი კაპოტი, შესამჩნევად უკან დაწეული კაბინა, შეწყვილებული და, რაც მთავარია, მრგვალი უკანა ფარები. ყველაფერი ეს პირველი "კორვეტიდან" მოდის და მას აქეთ ყველა თაობაში ხელუხლებელი რჩებოდა და გამონაკლისი არც ამჯერად გაკეთებულა. სწორედ მათი წყალობით, "კორვეტის" სხვა ამგვარ "მხეცში" არევა შეუძლებელია.

სამაგიეროდ, სტილისტებმა რამდენიმე სიახლე დაუმატეს ტრადიციულ შტრიხებს, რომელთა წყალობითაც "ვეტე" უფრო აგრესიულ და ეფექტურ გამომეტყველებას მიიღებს. მაგალითად, უკანა მხრიდან თვალშისაცემია ქრომირებული გამოსაბოლქვი მილები, წინ კი სათავო ფარები აღარ ჩაიმალებიან კაპოტის ქვეშ, როგორც ეს წინა თაობის მოდელებს შეეძლოთ. უფრო მეტიც, ფარები პრაქტიკულად აღარც ფიგურირებს, მათი ადგილი უკავიათ ქსენონის მძლავრ პროჟექტორებს.

ავტომობილის დამზადებისას ფართოდ გამოიყენება კომპოზიციური მასალები და მსუბუქი მეტალები, რომელთა წყალობითაც "კორვეტი" გაცილებით შემსუბუქებულია. მეექვსე თაობის "ვეტესთვის" "ჯენერალ მოტორსის" კონსტრუქტორებმა სპეციალურად დაამზადეს სრულიად ახალი პლატფორმა, რომელშიც ასევე ფართოდ გამოიყენება კომპოზიტები და ალუმინი.

ავტომობილის დაკიდება აღჭურვილია დამხმარე ელექტრონული სისტემით "მაგნეტიკ რაიდ კონტროლ", რომლის წყალობითაც, თუ მის შემქმნელებს დავუჯერებთ, მძღოლს ავტომობილის მართვისგან დიდი სიამოვნება აქვს გარანტირებული. ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ "კორვეტი" საუკეთესო ავტომობილია თავის კლასში და ამას განაპირობებს ავტომობილის თვისებებში შეხამებული დაბალანსებული მოძრაობის უნარი, შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები და სპორტული ავტომობილისთვის კომფორტის "მისაღები" დონე.

ჯერჯერობით ბევრი არაფერია ცნობილი ახალი "ვეტეს" ძრავის შესახებ. უბრალოდ, "ჯენერალ მოტორსში" კარგად ეხერხებათ ნანატრი ავტომობილის გამოჩენის მოლოდინთან დაკავშირებული ინტრიგის ბოლომდე შენარჩუნება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ "კორვეტი" კვლავ V8 კონფიგურაციის ძრავით აღიჭურვება, რომლის მუშა მოცულობაც ამერიკელთათვის მისაღები, 5.7 ლიტრია, სიმძლავრე კი 400 ცხენის ძალის ფარგლებში.

სხვა ვერსიით, გამორიცხული არაა, რომ ახალი "კორვეტი" უნიკალური, 16-ცილინდრიანი ძრავით აღიჭურვოს, რომელიც "ჯენერალ მოტორსმა" პირველად წლეულს, დეტროიტის ავტოსალონზე აჩვენა, ოღონდ "კადილაკის" მარკით. ამ ძრავის მუშა მოცულობა 13.6 (!) ლიტრია, სიმძლავრე – 1000 ცხენის ძალა, მაბრუნი მომენტი კი – 1000 ნმ.

"დეტროიტ ფრი პრესის" ინფორმაციით, ახალ "კორვეტს", რომლის გაყიდვებიც 2004 წლის ზაფხულში დაიწყება, სერიოზული კონკურენტები დახვდება ბაზარზე. კერძოდ, მას მყიდველისთვის ბრძოლა მოუწევს ამერიკელთათვის არანაკლებ საყვარელ ავტომობილთან - "ფორდ მუსტანგთან", რომელიც "ცისფერმა ოვალმა" დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა და რომელიც ასევე მერმის გამოჩნდება ბაზარზე.

ახალი "მუსტანგი" რომლის საგზაო ტესტები დღეისათვის სრული მასშტაბით მიმდინარეობს, გარეგნულად ძლიერ წააგავს პირველ მუსტანგს, რომელმაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან შეაყვარა თავი ამერიკელ (და არამხოლოდ ამერიკელ) ავტომოყვარულს.

გარდა ამისა, "ფორდი" თავის თაყვანისმცემელს კიდევ ერთ შესანიშნავ სიახლეს უმზადებს სპორტული GT-ს სახით, რომელიც ავტობაზრის ამ სეგმენტის ისეთ ლიდერებს გაუწევს კონკურენციას, როგორებიც არიან "ფერარი" და "ლმბორგინი".

# "ჰამერი" თანდათან პატარავდება


ჰამერ H2

მას შემდეგ, რაც მარკა "ჰამერი" "ჯენერალ მოტორსის" კუთვნილება გახდა, ამ კომპანიის სამოდელო რიგი საგრძნობლად გაფართოვდა, გაყიდვებმა კი არნახულ დონეს მიაღწია და ბუნებრივია, კორპორაციაში წარმოების კიდევ უფრო გაფართოებაზე დაიწყეს ფიქრი. ჰოდა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დღეს მსოფლიოს უდიდესი ავტოკომპანია იმაზე ფიქრობს, გამოუშვას თუ არა მცირეგაბარიტიანი "ჰამერი", რომელსაც ინდექსად შეიძლება H4 ეწოდოს.

სანამ მეოთხე თაობის, დამცრობილი "ჰამვის" შესახებ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ბაზარმა ერთობ კარგად მიიღო "სამოქალაქო" H2 და მალე ამ ავტომობლის ბაზაზე შექმნილ პიკაპსაც ვიხილავთ. როგორც ამბობენ, უკვე დაწყებულია მუშაობა H3-ზეც, მაგრამ "გენერლები" შიშობენ, რომ უფრო მცირე გაბარიტის მქონე "ჰამერებს" მყიდველი არ მიიღებს და ეს სამარკეტინგო თვალსაზრისით არ იქნება გამართლებული ნაბიჯი.

დღეს "ჰამერი" ნამდვილ საავტომობილო მაჩოდაა მიჩნეული. ხვალ თუ მას შემცირებული სახით ვიხილავთ, შეიძლება ის განსაკუთრებული ხიბლი დაეკარგოს, რითაც დაფასებულია მყიდველთა შორის. თუმცა, მეორეს მხრივ, რისკი გამართლებულია, რადგან მცირეგაბარიტიანი "ჰამერი" იმ მყიდველს მიიზიდავს, რომლებიც ჩვეულებრივი უგზოობის ავტომობილებსაა ჩვეული.

კომპანია იმედოვნებს, რომ H2 და H3-ის საშუალებით "ჰამერების" გაყიდვების რაოდენობა 100 ათასს გადასცდება. ეს ის ზღვარია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება "ჯენერალ მოტორსის" სხვა მარკებისგან დამოუკიდებელი სადილერო ქსელის ჩამოყალიბება, რასაც ამდენი ხანია, ესწრაფვის "ჰამერი".

"ჰამერ H1"-ის საბაზო ღირებულება თუ 105 ათას დოლარს შეადგენს, H2 49 ათასი დოლარი ღირს, H3-ის ღირებულება კი 40 ათას დოლარზე ნაკლები უნდა იყოს. ამ უკანასკნელის ფასს ბევრად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მისთვის გამოყენებული იქნება საშუალო ზომის პიკაპ "შევროლე კოლორადოს" პლატფორმა.

თუმცა, "ჯენერალ მოტორსი" არც ამით კმაყოფილდება და "ჰამერის" სამოდელო რიგის შემდგომ გაფართოებაზე მაინც ფიქრობს, რაც ჯერ კიდევ მარტში "შემთხვევით" დაადასტურა კორპორაციის ვიცე-აღმასრულებელმა ჯონ დივაინმა, როცა ჟენევის ავტოსალონის დღეებში განაცხადა - ჩვენ ვფიქრობთ H4-ზეო. მოგვიანებით ეს ინფორმაცია დაადასტურა "ჰამერის" მარკეტინგის განყოფილების დირექტორმა მაიკ ჯოვანიმ, თუმცა ისიც დასძინა, რომ მარკისთვის მიუღებელი იქნება ეგრეთ წოდებული პარკეტის ჯიპების წარმოების დაწყება.

გარდა ამისა, აგვისტოში "ჯენერალ მოტორსმა" და რუსულმა კომპანია "ავტოტორმა" გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, რუსული კომპანიის კუთვნილი კალინინგრადის ქარხანა წლის ბოლომდე შეუდგება H2-ის წარმოებას. სულ დამზადებული იქნება 50 ცალი H2, რომლებსაც დაშლილი სახით მიაწოდებენ ქარხანას. მერმის წარმოების მოცულობა 250-300 ცალამდე გაიზრდება. ამასთან, რუსული წარმოების "ჰამერის" ღირებულება ამერიკულისაზე 20 პროცენტით ნაკლები იქნება.

# ვოლგისპირელები გააქტიურდნენ


ავტოვაზის რევოლუცია

დიდი ხანია, ვოლჟსკის ავტოქარხანას თავისი პროდუქციის მომხმარებლებისთვის სიახლე არ შეუთავაზებია და აი, წლეულს რუსეთის უდიდესი ავტომწარმოებელი გააქტიურდა – ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ფრანკფურტის ავტოსალონზე მნახველს ერთბაშად სამი სიახლე წარუდგინა.

ფრანკფურტში "ავტოვაზს" პარტნიორობას უწევდა გერმანიაში კომპანიის სადისტრიბიუტორო ქსელის მფლობელი "ლადა აუტომობილი", რომლის დახმარებითაც რუსებმა ევროპის ახალი ნორმებისადმი მისადაგებული ავტომობილები წარმოადგინეს თავიანთ პავილიონში.

ვოლჟსკის ავტოქარხნის სამი სიახლიდან ყველაზე ეფექტური და თვალისმომჭრელი იყო ღია სპორტული ავტომობილი "ლადა რევოლუშნ", რომლის ბაზაზეც "ავტოვაზს" ახლო მომავალში ეროვნული სარბოლი მონოსერიის შექმნა აქვს გადაწყვეტილი და ამ მონოსერიაში მერმის რუსეთის ჩემპიონატის ჩატარებასაც აპირებს.

აღნიშნული ავტომობილი, სანამ მისი გაყიდვები დაიწყებოდეს, პირველად სწორედ სპორტში გადადგამს ნაბიჯებს. რბოლებში იგი ტესტირების პროგრამასაც გაივლის და როცა მწარმოებელი დარწმუნდება, რომ "რევოლუციამ" თავი დააღწია ყველა "ბავშვურ ავადმყოფობას", სწორედ მაშინ გადაწყდება მისი წარმოების დაწყების საკითხიც.

სპორტისთვის განკუთვნილია სამი ტიპის "რევოლუციის" - იუნიორის, სპორტისა და სუპერსპორტის მოდიფიკაციის დამზადება. ამასთან, პირველი ყველაზე ნაკლები სიმძლავრის ძრავს და, შესაბამისად, მარტივ აღჭურვილობას მიიღებს. შედარებით მძლავრი იქნება სპორტის კლასის "რევოლუცია", გამას კი დააგვირგვინებს 230 ცხენისძალიანი სუპერსპორტი, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად, სეკვენტალური 6-საფეხურიანი ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფიც ექნება.

მეორე სიახლეა ვაზ-2170-ის პროტოტიპი, რომელმაც პერსპექტივაში უნდა გააგრძელოს "ათიანების" დინასტია. ამის დასტურად იგი იმავე პლატფორმაზეა შექმნილი, რომელიც გამოიყენება ვაზ-2110-ის წარმოებისას. ავტომობილის გარეგნობაში ყურადღებას იქცევს მისი წინა ნაწილის გაფორმება ახალი ოპტიკითა და რადიატორის მოყვანილობით. ამასთან, მას სრულიად ახალი ფორმის უკანა ნაწილი გააჩნია. ვაზ-2170-ს და მის წინამორბედს სრულიად განსხვავებული ძარის ნაწილები კი აქვთ, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება გარკვეული მსგავსება. გარდა ამისა, ვაზ-2170 აღიჭურვება 1.6 ან 1.8-ლიტრიანი ძრავით. ამ უკანასკნელს ასევე მიიღებს ავტომობილის დაგრძელებული ვარიანტი სახელად "პრემიერი".

ქარხნის ხელმძღვანელთა განცხადებით, მოდელ ვაზ-2170-ის პირველი საცდელი ნიმუშები მომავალ წელს გამოჩნდება რუსეთის გზებზე. სამაგიეროდ, ჯერაც უცნობია თუ როდის მიაღწევს იგი კონვეიერამდე.

"ავტოვაზის" მესამე სიახლეა მოდელ "ოკას" ახალი თაობის ჰეტჩბეკი რომლის ინდექსია ვაზ-1121, სახელად კი "ოკა2" ეწოდება. ეს სამკარიანი კომპაქტური ავტომობილი გაცილებით სიმპათიურია ვიდრე მისი წინამორბედი, დიზაინით კი თავისივე კლასის "ოპელ კორსას" მოგვაგონებს. განახლებული გარეგნობის გარდა, ახალი "ოკა" გაზრდილი ბაზითა და, შესაბამისად, უფრო დიდი მოცულობის სალონითაც გამოირჩევა. როგორც ქარხნის წარმომადგენლები ამბობენ, ამ ავტომობილზე შეიძლება გამოიყენონ 750-დან 1100 კუბური სანტიმეტრის მუშა მოცულობის (0.75 და 1.1 ლიტრი) მქონე ძრავები რომლებიც, ევრო2 და ევრო3 სტანდარტებს შეესაბამება.

# წლის საუკეთესო ევროპული ფურგონი


"ფოლკსვაგენის ტრანსპორტერი"

საერთაშორისო ჟიურიმ, რომელშიც ევროპის ქვეყნების 18 უმსხვილესი საავტომობილო გამოცემის ჟურნალისტები შედიოდნენ, ევროპის 2004 წლის საუკეთესო ფურგონად დაასახელა "ფოლკსვაგენის" წარმოების ახალი თაობის მსუბუქი სატვირთო ავტომობილი "ტრანსპორტერი".

ამ ავტომობილმა 126 შესაძლებლიდან 115 ხმა დაიმსახურა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი. რაც მთავარია, ამდენი ქულა ჯილდოს არსებობის ისტორიაში პირველად მიიღო ერთმა, თუნდაც გამარჯვებულმა ავტომობილმა.

"შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მეხუთე თაობის "ტრანსპორტერით" "ფოლკსვაგენმა" პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო. დღემდე ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ისედაც მეტად წარმატებული მეოთხე თაობის "ტრანსპორტერის" ასე დახვეწა იყო შესაძლებელი. ახალი ავტომობილი გამოირჩევა უფრო მძლავრი ძრავით, შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლებით, გაზრდილი სატვირთო მოცულობითა და დღეისათვის უთუოდ შეუდარებელია თავის კლასში", - გამარჯვებულის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა ჟიურის წარმომადგენელმა პიტერ ვიმანმა.

"ტრანსპორტერის" მისამართით ქათინაურები ჟიურის სხვა წევრებმაც გამოთქვეს. თითქმის ყველანი, პირველ რიგში, ახალ, ხუთცილინდრიან ძრავს და მასთან შეწყვილებულ ექვსსაფეხურიან გადაცემათა კოლოფს აღნიშნავენ. მათი თქმით, ამ აგრეგატების წყალობით, მძღოლი თავს სპორტულ ავტომობილში იგრძნობს, საიდანაც "გამოსვლა აღარ მოუნდება". ასევე აღინიშნა სიახლის კომფორტულობა და მისით სარგებლობის მოხერხებულობა.

აქვე იმის თქმაც ეგების, რომ არანაკლებ პოპულარული და ტიტულოვანი იყო მეოთხე თაობის "ტრანსპორტერი", რომელმაც არსებობის 13 წლის განმავლობაში 30-ზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო პრიზი მოიპოვა. როგორც ჩანს, მალე ახალი "ტრანსპორტერიც" არანაკლებ ტიტულს მოიხვეჭს – ევროპის წლის საუკეთესო ფურგონის გარდა, ანალოგიური წოდება მან უკვე მოიპოვა გერმანიასა და ინგლისში.

გარდა ამისა, დასასრულს უახლოვდება კონკურსი სახელწოდებით "ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილი", რომელშიც უკვე შერჩეულია შვიდი ფინალისტი. კონკურსში ევროპის უმსხვილესი და პოპულარული ავტოგამოცემების 58 ჟურნალისტი მონაწილეობს, რომლებმაც ასი ავტომობილიდან პირველ ეტაპზე 35 საუკეთესო შეარჩიეს. მომდევნო ეტაპის შემდეგ კი ფინალს შვიდი ახალი ავტომობილი – მე-5 სერიის "ბეემვე", "ფიატ პანდა", "მაზდა 3", "ნისან მიკრა", "ოპელ მერივა", "ტოიოტა ავენსისი" და, რაღა თქმა უნდა, მეხუთე თაობის "ფოლკსვაგენ გოლფი" შემორჩა.

კონკურსის წესის შესაბამისად, ჟიურის ყველა წევრს გასანაწილებლად ეძლევა 25 ქულა, რომლებსაც თავისი შეხედულებისამებრ დაუწერს თავის რჩეულებს. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის შედეგები ნოემბრის დასაწყისშივე იქნება ცნობილი, ისინი მხოლოდ 18 ნოემბერს გამოქვეყნდება.

შეგახსენებთ, რომ შარშან კონკურსი "ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილი" ახალმა "რენო მეგანმა" მოიგო.

# ექვსბორბლიანი სუპერკარის დებიუტი ჟენევაში შედგება


"კოვინი C6W"

პატარა იტალიურმა საავტომობილო კომპანია "კოვინიმ" პრაქტიკულად დაასრულა უჩვეულო, ექვსბორბლიანი სუპერავტომობილის შექმნა და მას ჟენევის ავტოსალონისთვის ამზადებს სადებიუტოდ. სიახლის სახელია "კოვინი C6W" და კომპანია მას მხოლოდ შეკვეთებით დაამზადებს.

რა თქმა უნდა, ავტომობილს, პირველ რიგში, უცნაური, ექვსბორბლიანი შასი გამოარჩევს. მათგან ოთხი, 15-დუიმიანი ბორბალი წინაა განლაგებული, ორი, 20-დუიმიანი კი – უკან. ამასთან, "კოვინი C6W"-ს უკანა თვლები აქვს წამყვანი, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავს 4.2 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე რვაცილინდრიან ძრავს 320 ცხენის ძალით. ძრავთან შეწყვილებულია ექვსსაფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი. ამ აგრეგატების მეშვეობით, 1150 კილოგრამიან ავტომობილს შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები გააჩნია, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი თითქმის 300 კმ/სთ-ია.

"კოვინის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოთხი წინა თვლის გამოყენების სურვილი მათ დიდი ხანია გააჩნიათ და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მსგავსი სქემა პირველად იქნა გამოყენებული ფორმულა ერთის (70-იანების შუა წლებში) ბოლიდებში.

ცნობილია, რომ ამგვარი კონსტრუქციის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ოთხი თვალი გზის საფართან უკეთეს ჩაჭიდებას უზრუნველყოფს, რითაც პრაქტიკულად გამორიცხავს მათ მოულოდნელ მოცურებას. გარდა ამისა, ოთხი თვლის საშუალებით იზრდება დამუხრუჭების ეფექტურობა. ამ სქემის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ წინა შეჯახების შემთხვევაში, მაღალია მძღოლის უსაფრთხოება.

ამ უპირატესობათა მიუხედავად, ფორმულა ერთის ღია ბოლიდებში ექვსმა ბორბალმა დამკვიდრება ვერ შეძლო, რადგან მათ გამო მკვეთრად უარესდებოდა სარბოლი ავტომობილების აეროდინამიკური მახასიათებლები, რასაც ფორმულა ერთში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სამაგიეროდ, ეს პრობლემა პრაქტიკულად გამორიცხულია საგზაო ავტომობილებში, სადაც ბორბლები ძარითაა დაფარული და ამდენად, ისინი არ აუარესებენ ავტომობილის გარსშემოდენილობას და, შესაბამისად, არც ჰაერის არასასურველი ნაკადების წარმოქმნას უწყობენ ხელს.

"კოვინის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ შეძლებენ საკმარისი რაოდენობის შეკვეთების მიღებას და აქედან გამომდინარე, ამ ეგზოტიკური ავტომობილის მცირესერიული წარმოების დაწყებას. კერძოდ, წარმოების რენტაბელობისთვის აუცილებელია წლიურად რვა ცალი "კოვინი C6W"-ის გაყიდვა, რომელთა ღირებულებაც 165 ათასი დოლარი იქნება.

**გვერდი მოამზადა მერაბ ლორთქიფანიძემ**

# ქალი და სარკე



ნუ იფიქრებთ, რომ სარკის წინ ტრიალი თქვენს ცხოვრებას სასიკეთოდ შეცვლის! უკანასკნელი გამოკვლევების შედეგებმა ნათელჰყო, რომ ის ქალები, რომლებიც საკუთარ გარეგნობას მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევენ, თავს ცუდად გრძნობენ ხოლმე, ისევე, როგორც ის მანდილოსნები, რომლებიც ვარჯიშის დროს კედლის სარკეში ხედავენ საკუთარ ანარეკლს.

კანადელ ფსიქოლოგ ქალბატონს, ქეთლინ მარტინ გინისს, რომელიც ონტარიოს უნივერსიტეტში მოღვაწეობს, უჩვეულო ინტერესი გაუჩნდა: ნეტა, როგორ მოქმედებს სავარჯიშო დარბაზების უზარმაზარი სარკეები ქალის ფსიქიკაზე? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მან 58 ახალგაზრდა ქალი მოიწვია, რომლებიც სპორტით არიან დაკავებული.

20 წუთის განმავლობაში ქალები ტრენაჟორებზე იხვითქებოდნენ. ამ დროს ერთი ჯგუფი სარკეში საკუთარ გამოსახულებას შესცქეროდა, მეორე კი – ლურჯ ფარდას. შედეგი ასეთი იყო: საკუთარი თავის ცქერით გართული ქალები უკმაყოფილონი იყვნენ და მოდუნება ძალიან გაუჭირდათ, მაშინ, როცა სარკის გარეშე მოვარჯიშეები ჩინებულად გრძნობდნენ თავს.

"ქალები ძალიან ბევრს ფიქრობენ საკუთარ თავზე," - ახსნა მარტინ გინისმა. - "როცა დიდხანს შესცქერიან ხოლმე საკუთარ ანარეკლს, ათასგვარი კითხვა ებადებათ: ნეტა, მიმზიდველი ვარ? ნეტა, კარგი დედა ვარ? ნეტა, სამსახურში ჩემზე რას ფიქრობენ?"

ეს იმ ქალებსაც კი ეხებათ, რომლებსაც საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა აქვთ. გიტისის თქმით, მამაკაცებს თვითკრიტიკა ნაკლებად ახასიათებთ.

# დეიდა ნიანგის წინააღმდეგ

მანუელ პასკო დეიდამისის ძალით ძალიან ამაყობს: ხუმრობა საქმეა? ქალბატონმა მის დასაცავად ნიანგის გალახვა შეძლო.

სამმეტრიანი რეპტილია 19 წლის პასკოს ფეხში ჩაეჭიდა და წყალში შეთრევას უპირებდა, როცა საქმეში დეიდა ჩაერია. "მუშტი დრუნჩში ჩავცხე და იესოს მოვუხმე საშველად. ნიანგმა თავი დაგვანება," მოყვა დეიდა მარგარეტი.

მის დისწულს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში იხვებზე ნადირობა უნდოდა. ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა, რომ არა დეიდის სულისკვეთება: "დეიდამ ჯერ მუშტი ჩაარტყა და მერე წიხლიც მიაყოლა," ყვება მანუელ პასკო, რომელიც ურჩხულის თავდასხმის შემდეგ იარებს საავადმყოფოში იშუშებს.






## სკანვორდი



№283-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები: [illegible]

## TV პროგრამა

4 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი "ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** დოკ. ფილმი "ჯაზი" **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "ლაციო"-"ჩელსი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "შავი მანტია" **17.00** დოკ. სერიალი "გაცოცხლებული ქვები" **17.30** თბილისი და თბილისელები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** ჩვენი ფეხბურთი **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** კრიმინალური ქრონიკა **21.40** ღამის ჯაზი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "წარსული ცხოვრების დრამა".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ვაშინგტონის მოედანი" მთ.რ-ში ჯენიფერ ჯეისონ ლი, ბენ ჩაპლინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "არარატი" მთ.რ-ში შარლ აზნავური, ბრიუს გრინვუდი. **01.40** "ღამურა" "ლეგენდა ვამპირზე" მთ.რ-ში ჯულიან სენდსი, სიუზანა ჰამილტონი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ნუ ემუქრები სამხრეთის ცენტრალს" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ინგლისელი პაციენტი"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "მე-9 სესია" **21.00** ისტორიანი **21.30** ქვეყნები - ლიბანი. 1-ლი ნ. **22.10** მხ. ფილმი "რისკის ხარისხი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "გზაჯვარედინი" **13.30** მხ. ფილმი "შერბურული ქოლგები" **15.00** მხ. ფილმი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ზაზუნას დღე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ცხოველი" **22.30** მხ. ფილმი "ამერიკული თავგადასავალი"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მაჩვენე სიყვარული" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "შტარტუპის შთამომავლობა" **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი "ნეკრესი" **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "თოვლის კაცი" **13.15** დოკ. ფილმი "ბასტერ კიტონი" 1-ლი ნ. **14.00** მულტფილმი "უმცროსი დრაკულა" **14.50** "ოსტატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 1-ლი ს. **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ღამის ექიმები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი "არავინ დაზარალდება" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "მდინარე სუჩიუს საიდუმლო"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** "გოლი" - სერია "ა" **12.10** სერიალი "გვირაბი" 1-ლი ს. **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "იმპერია ნობლ ჰაუზი" **15.15** მხ. ფილმი "ქალბატონ დეიზის მძღოლი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** მხ. ფილმი "სისხლი და ღვინო" **21.30** ლარის მახე **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო "მკვლელობა უცხო ქალაქში"

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.20** სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი "ძარცვა" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი "ძარცვა" (გაგრძ.) **14.30** კომედია "არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში" **15.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "იმპერიის დამცველები" **17.20** მხ. ფილმი "სახელმწიფო მეთაური" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** კომედია "აგენტი ჯონი ინგლიში" **21.25** მუსიკა **21.50** "გალერეა" **23.00 Пресс-папье 23.05** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" 2 ს. **03.40** ისტორიული ფილმი "ბუს ციხესიმაგრე"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **11.55** ტელესერიალი "გრაფინია დე მონსორო" 22-ე ს. **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია **18.15** მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა **18.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** ავტოტრეკინგი **22.15** მობილურები **22.20** "კინოკლუბი" - "ჯეკი ბრაუნი". როლებში: რობერტ დე ნირო. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - "ჯვაროსნული ლაშქრობა" **01.30** კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20 Худ. фильм "СЛЕД МЕДВЕДЯ" 11.30 Сериал "ЗНАХАРЬ". 1-я с. 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20** "Город женщин" **14.10 Детектив "ИНСПЕКТОР УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" 16.20, 01.50** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00** Большая стирка **19.30** "Любовные истории". И. Лобачева и И. Авербах **20.50 Сериал "Побег" 22.00, 00.30** Время **22.30 Комедия "БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ" 1-я с. 23.40** Тайны века. "Золото батьки Махно" **00.50** На футболе **01.20** "Подводный мир Андрея Макаревича" **02.20 Боевик "ОКТАГОН" 04.20 Комедия "ПРЕСТУПЛЕНИЯ И ПРОСТУПКИ" 06.05 "УБОЙНАЯ СЛУЖБА" 06.20** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45** "Не скуЧАЙ!" **11.45, 14.45, 17.30, 01.15** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Короткое замыкание **13.45, 22.55 Сериал "КИДНЕПИНГ" 15.30** Что хочет женщина **16.30 Сериал "ЛЕДИ БОСС" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** "Городок" **21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+. **00.20** "Как Сталин снимал кино" **01.30** Народный артист **01.40 Боевик "ТЕХАССКИЕ РЕЙНДЖЕРЫ" 03.25** Дорожный патруль **03.40 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 04.35 Сериал "ТИТАНЫ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50, 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15** Сегодня **13.35** Мультфильм "Аргонавты" **13.55 Комедия "СЕМЬ НЯНЕК" 15.35** По праву **16.35** "Жертвы моды". Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 23.00** "Страна и мир" **23.35** Футбол. Лига чемпионов. "Лацио" - "Челси" **02.10** Гордон **03.10** Дневник Лиги чемпионов

# გარბენა ყველა კონტინენტზე



ცნობილმა ბრიტანელმა მოგზაურმა სერ რანულფ ფაინსმა კვირას თავისი უჩვეულო მარათონი დაასრულა. გარბენა ერთ კვირას, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გაგრძლედა, 7 მარათონი – მსოფლიოს 7 ქალაქში.

ბოლო გარბენა ნიუ იორკში გაიმართა. სერ რანულფმა დისტანცია 5 საათსა და 25 წუთში დაფარა.

ლონდონში ფაინსმა 42 კილომეტრი და 195 მეტრის დისტანცია, 4 საათსა 41 წუთში დაძლია. 4 საათიანი ძილის შემდეგ მან სტარტი ქაიროში აიღო, სადაც სიცხისა და ეროვნული დღესასწაულის - რამადანის გამო, ქუჩაში უამრავი მანქანის მიუხედავად, ფაინსმა დროში გარბენა გააუმჯობესა.

ფაინსმა მარათონი თავის ძველ მოგობართან მაიკლ სტრუდომთან ერთად გამართა.

59 წლის ფაინსმა (ჰოლივუდის ვარსკვლავების რალფ და ჯოზეფ ფაინსების მამამ) ახლო წარსულში გულის შუნტირების ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია. მორბენალებს სინგაპურში არნახული სიცხე ელოდათ, რის გამოც მარათონელებს კუჭი აეშალათ, მაგრამ გარბენა მათ არ გადაუდვიათ.

1993-ში ფაინსი და სტრუდი იყვნენ პირველები, ვინაც ანტარქტიდის ფეხით გადაკვეთა შეძლეს. გინესის რეკორდების წიგნში ფაინსი "ჩვენი დროის უდიდეს მოგზაურად" დაასახელეს.

მარათონელებს მილიონის მოპოვების იმედი აქვთ. დაზოგილი თანხა, საჭიროებისამებრ, მთლიანად გადაირიცხება ბრიტანეთის ფონდში, გულის დაავადებების სამკურნალოდ.

მარათონელების მარშრუტი პლანეტის ყველა კონტინენტზე იყო გადაჭიმული: სერ რანულფმა ფოლკლენდის კუნძულებზე, ჩილეში, ავსტრალიაში, სინგაპურში, ქაიროში, ბრიტანეთსა და ახლა უკვე ამერიკაშიც გაირბინა.

# წვეროსნები მსოფლიო პირველობისთვის იბრძვიან

ამერიკის შტატ ნევადაში საუკეთესო ულვაშისა და წვერის საერთაშორისო კონკურსი გაიმართა.

ღონისძიების ორგანიზატორებმა მას მსოფლიო ჩემპიონატი უწოდეს.

პირველობისთვის მებრძოლები 17 კატეგორიად გაიყვნენ – წვერებისა და ულვაშების სახესხვაობების მიხედვით; კლასიკური ევროპულიდან დაწყებული, "თავისუფალი სტილით" დამთავრებული.

კონკურსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. მისი ორგანიზატორების რიცხვში – სულ ცოტა 9 სახელმწიფოს წარმომადგენელი შედის.

2001 წელს მსოფლიო ჩემპიონი წვეროსნებს შორის გერმანელი ვილი შევალიე გახდა. გამარჯვებულს სახეზე, მისივე თქმით, "ვარიაცია თემაზე - კალმაროს ცხოვრებიდან" ჰქონდა.

წელს კონკურსში 130 ადამიანი მონაწილეობდა. გამარჯვება უკანასკნელ წუთამდე ბეწვზე ეკიდა.

"ჩვენთვის ეს კონკურსი იგივეა, რაც ოლიმპიური თამაშები", - ასე ხსნის გახურებული გატაცების მიზეზს ლოს ანჯელესელი კაი კოფერი.

მონაწილეთა შორის, კონკურსის ფავორიტი ბრიტანელი ტედ სედმანი გახდა, რომლის ულვაშები, გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც ყველაზე გრძელი ულვაშები მთელ დიდ ბრიტანეთში.



# ქრისტეს ცოლი?

*ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი ტელეჟურნალისტის აზრით, ტელეკომპანია ეი-ბი-სიმ დიდად სარისკო საქმეს მოჰკიდა ხელი. მის მიერ შექმნილ დოკუმენტურ ფილმში უჩვეულო და ზოგიერთებისთვის მკრეხელური კითხვაა დასმული: ჰყავდა თუ არა ცოლი იესო ქრისტეს?*

ელიზაბეტ ვარგასმა თქვა, რომ ფილმი "იესო, მარიამი და და ვინჩი", რომელიც დღეს ეთერში გადის, "შეძლებისდაგვარად, პატივისცემითაა გაკეთებული". მაგრამ, ის იმასაც აღიარებს, რომ "ასეთ თემაზე საუბარი შეუძლებელია ისე, რომ ინტრიგა არ შექმნა და აუდიტორიის ნაწილის გრძნობებს უხეშად არ შეეხო".

ტელეგადაცემა, ნაწილობრივ, დენ ბრაუნის წიგნის "და ვინჩის კოდის" მიხედვით შეიქმნა. ამ წიგნში გამოთქმულია აზრი, რომ ბიბლიური მარიამ მაგდალინელი, მეძავი კი არა, იესო ქრისტეს ცოლი იყო. წიგნში ისიცაა ნათქვამი, რომ ჯვარცმის შემდეგ მან იესოს შვილთან ერთად იერუსალიმი დატოვა. თურმე, ამ ამბავს საუკუნეების განმავლობაში ინახავდა საიდუმლო საზოგადოება, რომლის წევრიც, სხვათა შორის, აღორძინების ხანის დიდი ოსტატი, ლეონარდო და ვინჩიც იყო. მან ეს ისტორია თავის შემოქმედებაში ასახა და ასე შეუნახა ის მომავალ თაობებს.

ფილმის გაშვებამდე ეი-ბი-სი-მ უკვე აჩვენა გადაცემა, რომელშიც ქრისტეს ცოლის ამბავს თეოლოგები, მღვდლები და ჟურნალისტები განიხილავენ. შესაბამისად, კრიტიკულმა შენიშვნებმაც არ დააყოვნა. კათოლიკური ლიგის წარმომადგენელმა ჯოზეფ ფეომ განაცხადა, რომ ფილმი, ძირითადად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვრის, მამა რიჩარდ მაკბრაიენის თვალსაზრისს ეყრდნობა – მამა მაკბრაიენი თვლის, რომ მარიამ მაგდალინელის ისტორიული მნიშვნელობა სათანადოდ არაა შეფასებული. თავად ფეო აღშფოთებულია: "გადაცემის მონაწილეთა უმრავლესობა მთელ ამ ამბავს ან დასაშვებად თვლის, ან ბრმად იჯერებს დენ ბრაუნის მტკიცებულებებს. არადა, ფაქტია, რომ გიჟურ იდეასთან გვაქვს საქმე".

თავის მხრივ, ჟურნალისტმა ელიზაბეტ ვარგასმა ბრძანა, რომ ეი-ბი-სი ქრისტეს ცოლის არსებობა-არარსებობას ვერაფრით დაამტკიცებს, მაგრამ ამა თუ იმ თეორიის შესახებ მოყოლას მას ვერავინ დაუშლის. "პირადად მე ეს გადაცემა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიის უკეთ გაგებაში დამეხმარა, და – ბედის ირონიაა! - ის ჩემთვის უფრო საინტერესო გახადა," - თქვა ქალბატონმა ვარგასმა.

# ეს სილამაზე სახიფათოა!

## რით გაგვახარებს ელვის კოსტელო



ეს ალბომი დღეს და ღამეს აერთიანებს, სწორედ იქ, სადაც განსხვავებები იშლება, სადაც დრო ჩერდება და არ იცი, რომელი საათია. ეს სწორედ ის დროა, როცა დაღლილობას ველარ ერევი, როცა რამის სათქმელად ენის მობრუნების ძალა აღარ გაქვს და ისეთი რამ დაგცდება, რისი თქმაც დღის სინათლეში კატასტროფას გამოიწვევდა. ეს მუსიკა სახიფათოა, რადგან შეიძლება დაუშვებელი სინაზისკენ გიბიძგოთ. ის უკანასკნელი, გულახდილი საუბრებისკენ გიბიძგებთ, და იოლი წარმოსადგენია, რომ გვიან ღამით, ნახევრად დაცარიელებულ ბარში, ოდესღაც შეყვარებული წყვილი ერთმანეთს ამ სიმღერების სიტყვებს ეჩურჩულება. შესაძლოა, მღერიან კიდეც. ყოველ შემთხვევაში, North ცხადად გვაჩვენებს: ყველაფერი ასეა, რადგან ასეც უნდა იყოს.

კრიტიკოსთა თქმით, ეს მუსიკა ძალიან სახიფათოა, რადგან ძალიან ლამაზია. ის ყველაზე ლიტონ სიტყვასაც სითბოს ანიჭებს. სიმებიანი საკრავები გეალერსებათ, საფორტეპიანო აკორდები რბილ ტალღებად მოგორავს, გული სევდით და ტკბილი ტკივილით ივსება. თუკი ეს დაცემაა, დაცემა ნეტარება ყოფილა. ალბათ, გეცნობათ მიტოვებული მამაკაცი, რომელიც ღამით ბარში ზის და ამ ტკბილ დარდს ეძლევა...

რატომ ჰქვია ალბომს "ჩრდილოეთი"? პასუხად კოსტელომ, რომელიც მის გარეკანზეა გამოსახული (აბუზული, პალტოში გამოხვეული კაცი, რომელიც სველ ქუჩას მიუყვება), წყნარად თქვა: "რადგან ჩემი გზა იქით მიდის".

ოცდახუთ წელიწადზე მეტია, რაც ბრიტანელი კოსტელო გარდასახვის დიდოსტატადაა აღიარებული. ამაში მას ბადალი არ ჰყავს. კოსტელო გიტარისტ ბილ ფრიზელთან ერთად ქანთრიჯაზს უკრავდა, შვედ მეცო-სოპრანოსთან, ან-სოფი ფონ ოტერთან ერთად გამოდიოდა... ამჯერად კოსტელომ მარტომ იმუშავა. North მისი შედევრია. ციკლი 11 "ღამის ნაწარმოებისგან" შედგება. ყოველი მათგან ცალ-ცალკეც შესანიშნავია, მაგრამ ერთად, მართლაც, საოცარ პანორამას ქმნის, აქ ვნებაცაა და უსაზღვრო სევდაც. ეს სიმღერები სიყვარულს ეძღვნება.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.